ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

cfvif,fsb7 !& fghbkb7 @)!@ 190 (5780) afcb5 #) stshb

## ზურაბ ჭიაბერაშვილი: „ჯერ ბრაზიანად არ გამოვიყურები“

გვ. 6



# ეკატერინა ხვედელიძე: სააკაშვილმა ჩემი ქმრის საქმეები მიითვისა



რა ინფორმაციას აქვეყნებს ბიზნესმენის მეუღლე გვ. 2

## ანაკლია 2 ათას ლარად გაიყიდა, გრიგოლეთი – 100-ად

საკურორტო ზონების განვითარება ადგილობრივ მოსახლეობას ქონების გარეშე ტოვებს გვ. 4





გვ. 3

## რატომ ალაპარაკდა ალასანია აქციებზე

## გელა ნიკოლაიშვილი: „სახალხო დამცველმა პოლიტიკურად ლოიალური ანგარიში წარმოადგინა“

გვ. 5

ვინ არის რეალურად ციხეების მინისტრი





გვ. 6

## გოგი ხუციშვილი: „საქართველოში არანორმალური საარჩევნო გარემოა“

## თბილისი რუსეთის საგარეო უწყების განცხადებას პროვოკაციულს უწოდებს

გვ. 6





გვ. 6

## გიგი უგულავამ უხუცეს პედიატრს აღდგომის დღესასწაული მიულოცა



ტელეკომპანია „მეცხრე არხი“ ეთერში სავარაუდოდ დღეს გავა გვ. 2

ISSN 1987-9385

9 771987 938006

2 სააკაშვილმა 2008 წლის რუსული აგრესიის შედეგად დაღუპული გმირების მემორიალი გვირგვინით შეამკო

3 პატრიარქმა ბუდა-ბარის მშენებლობა გააკრიტიკა

2 მიხეილ სააკაშვილი: ენერგოდამოუკიდებლობის გარეშე თავი მუდმივად მტრის ხახაში გვექნება

5 21 წლის დეპუტატის დღიური

კე3]ბ ოზსტქზ .ღზსტქზ იფღზ

## აზერბაიჯანი საკუთარ მოქალაქეებს საქართველოზე რამდენიმე რჩევას აძლევს

აზერბაიჯანის საგარეო უწყება საკუთარ მოქალაქეებს მოუწოდებს საქართველოს მოქმედი ხელისუფლების ნებართვის გარეშე, მის მიერ ქვეყნის არაკონტროლებად ტერიტორიებზე მოგზაურობისგან თავი შეიკავონ.

ამის შესახებ აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტრო მიერ გავრცელებულ საგანგებო განცხადებაშია ნათქვამი.

„ქართული კანონმდებლობის თანახმად, ასეთი მოგზაურობა უკანონოდ ითვლება და შესაბამისად ისჯება. აზერბაიჯანის მოქალაქეებს, რომლებსაც საქართველოში გამგზავრება სურს ვურჩევთ, ამ ქვეყანაში გამგზავრებამდე ზემოთ აღნიშნული საკითხი გაითვალისწინონ“ – ნათქვამია განცხადებაში.

ნიუსპრესი

## ლეიბორისტები“ კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებს სააკაშვილი–ივანიშვილის გარიგებად აფასებენ

„ლეიბორისტულ პარტიაში“ კონსტიტუციაში შესატან ცვლილებას, რომელიც პარლამენტის წევრობის მინიმალური ასაკის 21 წლამდე დაწევას გულისხმობს, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერ ბიძინა ივანიშვილს შორის შეთანხმებად მიიჩნევენ. ამის შესახებ პარტიის იდეოლოგიურმა მდივანმა კახა ძაგანიამ განაცხადა.



კახა ძაგანია

მისი თქმით, „დიქტატორ სააკაშვილსა და ოლიგარქ ივანიშვილს“ შორის ფარული გარიგება შედგა.

„მრავალ მოქალაქეობა ნაცვალი ოლიგარქისა და მისი შვილის 21 წლის უტა ივანიშვილისათვის ამერიკელების დირიჟორობითა და ბოკერია-ალასანიას შუამავლობით, კონსტიტუციაში ცვლილებები შეაქვთ“ – განაცხადა ძაგანიამ.

მისივე განმარტებით, საარჩევნო სიას სათავეში მამაშვილი ივანიშვილები ჩაუდგებიან, რის სანაცვლოდაც სააკაშვილი გაყალბებული არჩევნებით ძალაუფლებას შეინარჩუნებს, გამარჯვებას კი, ივანიშვილების ოჯახი მიულოცავს.

„მივმართავთ გაეროს დისკრიმინაციის კომიტეტს უკანონო გარიგებაზე რეაგირება მოახდინოს“ – აღნიშნა მან.

საქართველოს პარლამენტში მომზადებული საკონსტიტუციო ცვლილებების თანახმად, სადეპუტატო ასაკი 25-დან 21 წლამდე მცირდება. ამ ცვლილების ინიციატორი 80 დეპუტატია.

ნიუსპრესი

# ეკატერინა ხვედელიძე: სააკაშვილმა ჩემი ქმრის საქმეები მიითვისა

### რა ინფორმაციას აქვეყნებს ბიზნესმენის მეუღლე

თეა მარხვაიძე

**ბიძინა ივანიშვილის სახელს ბევრი რამ უკავშირდება. ვარდების რევოლუციის შემდეგ ის წლების განმავლობაში აფინანსებდა ხელისუფლებას. მისი ფულებით უამრავი ობიექტი აშენდა. რომლებიც ხელისუფლებამ საკუთარ თავზე მიიწერა. ამ ობიექტებს საზეიმო ვითარებაში ხსნიდა საქართველოს პრეზიდენტი.**



ბიძინა ივანიშვილი

ლენტის გაჭრის ცერემონია პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა. სააკაშვილი, როგორც ყოველთვის, ბევრს საუბრობდა. ხანგრძლივი მონოლოგების დროს მას არცერთხელ არ უხსენებია ივანიშვილი. ახლა რომ არ ახსენებენ, გასაგებია, მაგრამ მაშინ ის ჯერ კიდევ არ იყო ოპოზიციაში გადასული.

ისე, ივანიშვილს ზედმეტი რეკლამა არ სჭირდებოდა. ხალხმა ისედაც კარგად იცოდა, რა საქმეები ჰქონდა მას გაკეთებული. მართალია მისი სურათი ბევრს ნანახი არ ჰქონდა, მაგრამ გაკეთებული საქმეები თითქმის ყველამ იცოდა.

თუმცა მერე გაირკვა, რომ ივანიშვილს იმაზე მეტი ჰქონდა გაკეთებული, ვიდრე ვინმეს ეგონა. ოპოზიციაში მისი გადასვლის შემდეგ გამოქვეყნდა ცნობები, თუ რა გააკეთა ივანიშვილმა. საუბარია ნაციონალების ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდზე. ამ თემაზე ჩვენში ბევრი დაიწერა. ეს თემა ამ დღეებში გახდა აქტუალური. ფეისბუქზე ივანიშვილის მეუღლემ საინტერესო ინფორმაცია გამოაქვეყნა.

ვიდრე ეკატერინა ხვედელიძის მიერ გამოქვეყნებულ მასალას ვნახავდეთ, ის ინფორმაცია გავიხსენოთ, რომელიც გასული წლის ნოემბერში გამოქვეყნდა.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა იმ პროექტების სია გამოაქვეყნა, რომლებიც საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით საქართველოში 2011 წელს ხორციელდებოდა.

ამ ინფორმაციის თანახმად, 2011 წელს განსახორციელებელი ან დასასრულებელი პროექტების (სულ 30 პროექტი) საერთო სახელშეკრულებო ღირებულებამ 115 488 911 ლარი შეადგინა. კერძოდ, რაგბის სტადიონების მშენებლობის პროექტი „ქართუს“ მიერ 12 710 000 ლარით დაფინანსდა, ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრის რეაბილიტაციის პროექტი – 12 647 000 ლარით, ხოლო ნატანების საკონცერტო დარბაზის მშენებლობა – 26 400 000 ლარით.

რამდენიმე ათეული მილიონი ლარითაა დაფინანსებული სხვადასხვა სახის პროექტები საჩხერეში, მათ შორის: სამედიცინო კომპლექსის მშენებლობა (18 800 000 ლარი), გაზიფიცირება (2 300 000 ლარი), შიდა გზების რეაბილიტაცია (4 200 000 ლარი), წყალკანალის ქსელის მშენებლობა (2 300 000 ლარი). 2011 წელს დაფინანებულ პროექტებს შორის არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის რეაბილიტაცია (5 100 000 ლარი), ბათუმის მერიის დახმარება ბათუმის პარკის ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად (1 100 000 ლარი), სოფელ ბორითთან ემერჯენსის მშენებლობა (2 600 000 ლარი) და სხვა.

ოფიციალური მონაცემებით, 2005-2010 წლებში ბიძინა ივანიშვილის საქველმოქმედო ფონდებიდან საქართველოში განხორციელებული სხვადასხვა სახის პროექტისთვის 966 897 320.12 ლარი დაიხარჯა, აქედან 2005 წელს – 82 020 017,48 ლარი, 2006-ში – 257 282 888,09 ლარი, 2007 წელს – 184 734 569 ლარი, 2008-ში – 174 421 998,95 ლარი, 2009 წელს – 129 732 300,8 ლარი და 2010 წელს – 138 705 545, 8 ლარი.

კოალიცია „ქართული ოცნების“ და არასამთავრობო ორგანიზაცია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ გავრცელებული ინფორმაციების მიხედვით, 2010-2011 წლებში, პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ საზეიმო ვითარებაში გახსნილი ბევრი ობიექტის მშენებლობა, ბიძინა ივანიშვილის მიერ არის დაფინანსებული.

სოციალურ ქსელში ბიძინა ივანიშვილის მეუღლემ ეკატერინე ხვედელიძემ გაავრცელა ინფორმაცია, საქართველოში ბიძინა ივანიშვილის მიერ, პოლიტიკაში მის მოსვლამდე განხორციელებული პროექტების შესახებ.

ჩამონათვალშია: სამების ტაძარი; ქობულეთის გასართობი ცენტრი „ციცინათელა“; საბაგირო გზა ბაკურიანში; თეატრების რემონტები (ოპერის, რუსთაველის, მარჯანიშვილის, კინომსახიობთა); იქვე მითითებულია, რომ თეატრები დღემდე იღებენ ხელფასს ივანიშვილისგან; ყველაფერი საჩხერის ირგვლივ; პრომეთეს მღვიმე; უნივერსიტეტის პირველი კორპუსი; ბათუმის დელფინარიუმი; ბათუმის ზოოპარკი; ბოტანიკური ბაღი; ყველა სარაგბო სტადიონი; რაგბის ნაკრების სპონსორობა; საფეხბურთო ცენტრი „ბასა“; ბათუმის ეშმაკის ბორბალი; გორი-ჭიათურა-ზესტაფონი ტრასის ასფალტირება; ფილარმონიის რემონტი; იაფი აფთიაქი „ფარმადეპო“; პატრულის მანქანები; სკოლების რეაბილიტაცია მთელ საქართველოში; ეროვნული ბიბლიოთეკის რემონტი; საჩხერის და გორის სამხედრო ბაზები; ავტობანის თბილისი–ხაშური თანადაფინანსება; სიღნაღი; ქუთაისის ძველი უბნების რეაბილიტაცია; უამრავი სახლ–მუზეუმი; თბილისის კანალიზაცია.

ვერაფერს იტყვი, მართლაც შთამბეჭდავი სიაა. ამ ადამიანს მართლაც ბევრი რამ აქვს ქვეყნისთვის გაკეთებული. მის მიერ შეძენილი მანქანებით დაქრის ჩვენი ხელისუფლების სიამაყე – პატრული.

ხელისუფლება ოდესღაც მისი მადლიერი იყო. მათ არც ის უქმნიდა დისკომფორტს, რომ ივანიშვილი რუსეთში ნაშოვნი ფულით აფინანსებდა. დარწმუნებული იყავით, დღესაც რომ დააფინანსოს ნაცები, თავიანთ გამონათქვამებს უკან წაიღებენ. ნუგზარ წიკლაური და გოკა გაბაშვილი კი ისეთივე წარმატებით დაიწყებენ მის ქებას, როგორც ახლა ლანძღავენ.

ამ სურათის შესაცვლელად მისი ერთი სიტყვაა საჭირო. ახლა მთავარია, ივანიშვილმა თქვას: მიშა მაგარია და მორჩა. გენერალი ლებედი, პუტინი და გაზპრომი სულ დაავიწყდებათ.

## ტელეკომპანია მეცხრე არხი“ ეთერში სავარაუდოდ დღეს გავა

ტელეკომპანია „მეცხრე არხი“ ეთერში სავარაუდოდ, დღეს გავა. ამის შესახებ „პირველს“ ტელევიზიის ერთ-ერთმა ჟურნალისტმა განუცხადა.

„მეცხრე არხის“ დირექტორის კახა ბექაურის განმარტებით კი, ეთერში გასვლის თარიღი ჯერ დადგენილი კვლავ არ არის.

„ახალი არაფერია ცნობილი ამ საკითხთან დაკავშირებით. დაზუსტებით შემიძლია, ვთქვა, რომ ეთერში აპრილში გავალთ, თუმცა ზუსტი თარიღი უცნობია“, – აღნიშნა ბექაურმა.

პირველი

## საჩხერეში დღეს ქართული ოცნების“ ოფისი გაიხსნება

დღეს საჩხერეში პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ ოფისი გაიხსნება.

ღონისძიებას კოალიციის ლიდერები ბიძინა ივანიშვილი და კახა შარტავა დაესწრებიან.

„ქართული ოცნების“ ოფისი საჩხერეში, დურმიშიძის ქ. №57-ში 12:00 საათზე გაიხსნება.

პირველი

## მიხეილ სააკაშვილი: ენერგოდამოუკიდებლობის გარეშე თავი მუდმივად მტრის ხახაში გვექნება

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას ქვეყნისთვის უმთავრეს ფაქტორად მიიჩნევს. ამის შესახებ მან „ლარსიჰესზე“ და „დარიალიჰესზე“ მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების დათვალიერების შემდეგ განაცხადა.

პრეზიდენტის თქმით, ენერგოდამოუკიდებლობის გარეშე ქვეყნის რეალური დამოუკიდებლობა შეუძლებელია.

„ენერგოდამოუკიდებლობის გა-



რეშე თავი მუდმივად მტრის ხახაში გვექნება. თავის დროზე რომ აგვეშენებინა ჰესები, აქედან 100 მეტრში მყოფი ჩვენი მეზობელი ქვეყანა 90-იან წლებში ველარ დაგვაშანტაჟებდა“ – განაცხადა პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, წარსულში საქართველოში გვირაბები რუსებს გაჰყავდათ, რომ ქვეყანას დამოუკიდებლობისთვის ვერ მიეღწია. ამის დასტურად მან როკის გვირაბი მოიყვანა.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ საქართველომ მსოფლიო ჰესების უნიკალური დანადგარები უნდა აითვისოს, შემდეგ კი, ქართველმა სპეციალისტებმა სხვადასხვა ქვეყნებში ჰიდროელექტროსადგურები უნდა ააშენონ.

მან დასაქმებაზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ჰესების მშენებლობაზე დასაქმებული უცხოელები თანდათანობით ქართველი კადრებით უნდა ჩანაცვლდეს.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრ ალექსანდრე ხეთაგურთან ერთად „ლარსიჰესზე“ და „დარიალიჰესზე“ მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერა.

ნიუსპრესი

## სააკაშვილმა 2008 წლის რუსული აგრესიის შედეგად დაღუპული გმირების მემორიალი გვირგვინით შეამკო

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 2008 წლის რუსული აგრესიის შედეგად დაღუპული გმირების მემორიალი გვირგვინით შეამკო.

საქართველოს პრეზიდენტი მიცვალებულთა ხსოვნის დღეს მუხათგვერდის სამხედრო სასაფლაოზე იმყოფებოდა, სადაც 2008 წლის რუსული აგრესიის შედეგად დაღუპული გმირების მემორიალი გვირგვინით შეამკო. ქვეყნის პირველ პირთან ერთად მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე თავდაცვის მინისტრი ბაჩო ახალაია და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

პირველი

ახალი თაობა

www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

თეა მარხვაიძე

# რატომ ალაპარაკდა ალასანია აქციებზე

**გაზაფხულსა და შემოდგომაზე საქართველოში მიტინგების სეზონი დგება ხოლმე. დროის ამ მონაკვეთში ქუჩისკენ გული კონსტრუქციულ ხალხსაც კი მიუწევს. ასე დაემართა ირაკლი ალასანიასაც, რომელიც ზედმეტად კონსტრუქციული ოპოზიციონერის იმიჯით არის აღჭურვილი. ის, შესაბამისად, ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა ქუჩის აქციებს. ახლა კი ლამისაა თავად პირველი გაიჭრას ქუჩაში და, საჭიროების შემთხვევაში, „მიშა, მოვედიო“ დაიძახოს. ეს ლევან გაჩეჩილაძის საავტორო ფრაზაა და შესაძლოა ამ უკანასკნელმა არ დათმოს.**



ირაკლი ალასანია

ეს ხუმრობით, სერიოზულად კი ძალიან სერიოზულად არის საქმე. ალასანია კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი გახლავთ. ეს ის კოალიციაა, რომელიც ხელისუფლების შეცვლას არჩევნების გზით აპირებს. მისმა ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლის დღიდან დაიჟინა, მიტინგი და მანიფესტაცია არ დამანახვოთო.

მისი პოზიცია ეგრევე გაიზიარეს მის მიერ მოწონებულმა პოლიტიკურმა პარტიებმა. რამდენიმე თვის განმავლობაში ისინი გვიმტკიცებდნენ, რომ ხელისუფლების შეცვლა მხოლოდ არჩევნების გზით უნდა მოხდეს.

არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლას მართლა არაფერი სჯობს. ასეთი ცვლილებები დემოკრატიული ქვეყნების ხვედრია. ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველო დემოკრატიული ქვეყნების რიგს არ მიეკუთვნება.

საქართველოში დემოკრატიული არჩევნები რომ არ ჩატარდებოდა, ამას „ქართულ ოცნებაშიც“ მიხვდნენ. ერთ-ერთ ინტერვიუში ივანიშვილმა განაცხადა, საჭირო თუ გახდა, ხალხს ქუჩაში გამოვიყვანო.

ამის შემდეგ კოალიციის სხვა წევრებსაც გაუნათდა გონება და ახლა ერთმანეთის მიყოლებით გაიძახიან, მამულს თუ დასჭირდა, ქუჩის აქციებსაც მოვაწყობთო. ეს განცხადება ყველაზე ადრე ირაკლი ალასანიამ გააკეთა. არადა, ცოტა ხნის წინ ის საპროტესტო აქციების კატეგორიული წინააღმდეგი იყო, მათ შორის, იმ აქციებისაც, რომელთა მოთხოვნაც საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება იყო.

არადა, ალასანიამ ძალიან კარგად იცის, რომ ამ საარჩევნო კანონმდებლობით ოპოზიციას არჩევნების მოგება გაუჭირდება, ხელისუფლება კი ამ გარემოს გაუმჯობესებას არ აპირებს. სხვა თუ არაფერი, ალასანია აქტიურად მონაწილეობდა ოპოზიციური რვიანის მიერ გამართულ მოლაპარაკებებში. ეს რვიანი ისე დაიშალა, რომ ხელისუფლებას ვერაფერი გამოსტყუეს, მხედველობაში თუ არ მივიღებთ იმას, რომ საარჩევნო გარემო კიდევ უფრო გაუარესდა.

საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მოთხოვნით აქციების ჩატარებას სხვა ოპოზიციური ძალებიც ითხოვდნენ. მათ ალასანიას ბოლო გადაწყვეტილება მოუწონეს. შესაძლოა, ეს სწორი გადაწყვეტილებაა.

ამასთან, ძალიან საინტერესოა იმის გარკვევა, როდის იყო ალასანია გულწრფელი, როცა აქციებში აზრს ვერ ხედავდა თუ ახლა, როცა აქციების ჩატარებას მხარს უჭერს.

მის მიმართ ბოლო დროს ბევრი კითხვის ნიშანი გაჩნდა. არადა, გაეროში საქართველოს ელჩის თანამდებობა რომ დატოვა, მის რეიტინგს საზღვარი ლამის არ ჰქონდა. მთელმა ერმა ის კინაღამ მესიად მონათლა.

მისმა რეიტინგმა მალევე დაიწია. ამაში განსაკუთრებული როლი ხელისუფლებამაც ითამაშა. მას ხან კულინარობა (მზარეული არ გეგონოთ, საუბარია კულინარების საძმოზე, რომელიც ერთ დროს მთელ თბილისს შიშის ზარს სცემდა), ხან იგორ გიორგაძის ნათლულობა და კინაღამ გრაფ დრაკულობაც კი დააბრალეს.

იაღლიში თავადაც ბევრი მოუვიდა. 2009 წლის საგაზაფხულო აქციებში ალასანიას იძულების წესით მიაღებინეს მონაწილეობა.

ამ აქციების მომდინარეობისას მას ძალიან კონსტრუქციული პოზა ეკავა. ერთხელ გაგანია აქციების დროს დავით ბაქრაძესთან ჩუმად წავიდა მოლაპარაკებებზე. ამის გამო მხოლოდ ალასანიას ნუ გავკიცხავთ. მისი ღამეული ვოიაჟი განსაჯაროვდა, თორემ ხელისუფლებასთან ფარულ მოლაპარაკებებს სხვა ლიდერებიც ხშირად აწარმოებენ.

ალასანიას სერიოზულ შეცდომად ჩაუთვალეს ზურაბ ნოღაიდელის ამბავიც. თვითმმართველობის არჩევნები, ალბათ, გახსოვთ, სადაც ოპოზიცია ცდილობდა, ერთიანი კანდიდატით გამოსულიყო. ეროვნული საბჭო, რომლის დიდი ნაწილი ახლა ივანიშვილს ურბენს გარშემო, საინტერესო წინადადებით გამოვიდა. ისინი ერთიანი ოპოზიციური კანდიდატის გამოსავლენად პრაიმერის ჩატარებას ითხოვდნენ.

იმ ეროვნულ საბჭოს ყოფილი პრემიერი ზურაბ ნოღაიდელი აფინანსებდა, უფრო სწორად, ითქვა, რომ აფინანსებდა, თორემ, როგორც შემდეგ საბჭოელებმა თქვეს, ნოღაიდელს ძლივს გააგდებინეს რამდენიმე ასეული ლარი. ნოღაიდელმა, ხელმომჭირნეობის გარდა, პრორუსულობაც გამოავლინა. ის იყო ქართველი პოლიტიკოსებისაგან პირველი, ვინც აგვისტოს ომის შემდეგ ვლადიმერ პუტინს შეხვდა მოსკოვში.

პუტინის მარჯვენას შეგებებულ ნოღაიდელთან თანამშრომლობის სურვილი ბევრ ჩვენებურ პოლიტიკოსს გაუქრა, მათ შორის, იმ ალიანსსაც, რომლის მერობის კანდიდატიც ალასანია იყო. ამის მიუხედავად, ალასანია მაინც მივიდა საბჭოელების შეკრებაზე და ნოღაიდელსაც ჩამოართვა ხელი.

თანამშრომლობა არ შედგა, რადგანაც ალიანსის სხვა ლიდერებმა დავით გამყრელიძემ და მისმა სეხნიამ უსუფაშვილმა ფორმულა შეიმუშავეს, რომელსაც ყველა მინუს ნოღაიდელი ერქვა. ალასანია ამ ფორმულას დაემორჩილა და ნოღაიდელს ზურგი აქცია.

ალასანია, მართალია, უშიშროებაში კარგა ხანს მუშაობდა, მაგრამ ხშირად სხვების გავლენის ქვეშ ექცევა. გამორიცხული არ არის, ახლაც აქციებზე ვიღაცის გავლენით ალაპარაკდა, ან, შეიძლება, გულწრფელად სჯერა, რომ აქციები საჭიროა.

ერთი წლის წინ ამის არ სჯეროდა. არადა, სახალხო კრება ამტკიცებდა, აქციების გარეშე არჩევნების ჩატარებას აზრი არა აქვსო. მაშინ ალასანია მათზე ძალიან უარყოფითი აზრის იყო.

სახალხო კრებამ შარშან, ალბათ, ბევრი შეცდომა დაუშვა, მაგრამ, ახლა რადგან „ოცნებაც“ აქციებისკენ იხრება, გამოდის, მთლად არც ისინი ტყუოდნენ.

კრებასთან დაკავშირებით ალასანიას ერთი იაღლიში მოუვიდა — 26 მაისის სისხლიანი ღამის შემდეგ, 28 მაისს, თბილისში პროტესტის ნიშნად მანიფესტაცია გაიმართა. იმ მანიფესტაციაზე გაეროში საქართველოს ყოფილმა ელჩმა თქვა, ხარისხიანი ოპოზიციონერები ჩვენ ვართო.

ამ ფრაზას მას ხშირად უხსენებენ. არჩევნების მოახლოებასთან ერთად, კიდევ უფრო ხშირად გაუხსენებენ. გასახსენებელი სხვებსაც ბევრი აქვთ, მაგრამ პროგრამაში ახლა ის არის.

მისმა განცხადებამ სამეგრელოში უკანონო ფორმირებების შესახებ ხელისუფლება ცუდ დღეში ჩააგდო. ოპოზიციის ნაწილი ზონდერბრიგადების შექმნის შესახებ შარშანაც საუბრობდა, მაგრამ ალასანიამ შარშან ეს ინფორმაცია „გაატარა“, ახლა კი თავად ააფრიალა კომპრომატები, რომელსაც ხელისუფლება სისულელეს უწოდებს.

ახლა ალასანია სამეგრელოშია გადასული, სადაც, როგორც თავად ამბობს, ადგილობრივი მოსახლეობა ახალაიების კლანისგან უნდა დაიცვას.

წინ საინტერესო მოვლენები გველოდება. არჩევნებზე აქ დიდ ამბებს ელიან. თუმცა, შესაძლოა ამბები არჩევნებამდე დაიწყოს. როგორც თავში უკვე ვთქვით, ქუჩისკენ ზეკონსტრუქციულმა ალასანიამაც კი გაიწია. პრინციპში, ისეთი ამინდებია, შეუძლებელია, ქუჩაში არ მოგინდეს გავლა.

„ქართულმა ოცნებამ“ თუ აქციები დაიწყო, მის დაფინანსებას ხელისუფლება რუსეთს დააბრალებს. საქართველოს საზღვრების სიახლოვეს რუს სპეცრაზმელებსაც დაინახავენ და, შესაძლოა, ზილის მარკის მანქანაც დააკავონ. ირაკლი ოქრუაშვილს თუ შემოჰყავდა რუსი „სალდათები“, ბიძინა ვერ იქირავებს თუ რა.

რადგან რუსეთზე ჩამოვარდა საუბარი, გოგი თოფაძის ამბავიც უნდა ვახსენოთ. ნოღაიდელის მსგავსად, პუტინისთვის მას ხელი არ ჩამოურთმევია. ამის მიუხედავად, ის მაინც პრორუსულად ითვლება, ყოველ შემთხვევაში, ნატოს წინააღმდეგია. მან ღიად თქვა, რომ არ სურს, ქართველი ჯარისკაცები ავღანეთსა და ერაყში სამშვიდობო მისიებში მონაწილეობდნენ. კოალიციის სხვა წევრები, ალასანიას ჩათვლით, ლამისაა თავად წავიდნენ ამ მისიის შესასრულებლად.

საინტერესოა, ამ განცხადების გამო თოფაძეს არ დაიფრენენ კოალიციიდან? ისეთ პროდასავლურობას აწვებიან, ამის გამო ქართული ლუდის მამა მწარედ უნდა გაეკრიტიკებინათ. სხვებს ასე აკრიტიკებენ ხოლმე. ასევე იქცეოდნენ აქციების შემთხვევაშიც. მაგრამ ივანიშვილი და ალასანია ამ იდეის გამო არ გაუკრიტიკებიათ. არადა, რა უცნაურია, კონსტიტუციის თანახმად, საქართველოში აქციის მოწყობის უფლება ყველას აქვს. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, აქციას ხარისხიანები აწყობენ თუ უხარისხოები.

## საქართველოს პროკურატურა ოზურგეთში საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდა

ოზურგეთის იუსტიციის სახლში პირველი ღონისძიება გაიმართა – 2012 წლის 13 აპრილს, საქართველოს მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე დავით საყვარელიძე საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდა. ოზურგეთის მოსახლეობას ის პროკურატურის ახალ პროექტებზე ესაუბრა. დავით საყვარელიძემ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მთავარი პროკურატურისა და იუსტიციის სამინისტროს მასშტაბურ ანტინარკოტიკულ კამპანიას და დამსწრეებს იმ კვლევის პრეზენტაცია წარუდგინა, რომლის შედეგებიც ცნობილი 2012 წლის თებერვალში გახდა, – აცნობეს „მედიანიუსს“ საქართველოს პროკურატურიდან.

მათივე ინფორმაციით, ნარკოდანაშაულის რაოდენობა ქვეყანაში 2011 წელს მნიშვნელოვნად შემცირდა, მიუხედავად ამისა, სოციოლოგიური კვლევისას გამოკითხულთა 33% ნარკომანიას საზოგადოების ყველაზე დიდ პრობლემად მიიჩნევს.

კვლევამ აჩვენა ისიც, რომ ე.წ. „მძიმე ნარკოტიკული საშუალებების“ შავ ბაზარზე უკანონო ბრუნვა შემცირდა. ნარკომომხმარებელთა ასაკობრივი ჯგუფების ანალიზიდან კი ირკვევა, რომ მცირდება ნარკოტიკული დანაშაულისათვის მსჯავრდებულ ახალგაზრდა ასაკის პირთა რიცხვი – ნარკომომხმარებელთა ასაკი ხანდაზმული გახდა.

დავით საყვარელიძემ დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა ანტინარკოტიკულ კამპანიაში საზოგადოების სხვადასხვა ფენების ჩართულობის მნიშვნელოვნებაზე, აღნიშნა, რომ მასში ეტაპობრივად ჩაერთვნენ ქალაქ თბილისის მერია, საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, აგრეთვე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროები, არასამთავრობო ორგანიზაციები. პროკურატურის ინიციატივები საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო მოსმენაზეც განიხილეს, ნარკომანიის პრევენციის მიზნით, საინფორმაციო და ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიის საწარმოებლად იუსტიციის სამინისტრომ არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის საგრანტო კონკურსიც გამოაცხადა.

შეხვედრის ბოლოს მთავარი პროკურორის პირველმა მოადგილემ ღონისძიების მონაწილეთა კითხვებს უპასუხა და აღნიშნულ საკითხებზე მათ მოსაზრებებს გაეცნო.

საქართველო პროკურატურა სხვადასხვა რაეგიონის წარმომადგენლების ინფორმირებას უწყებაში მიმდინარე პროექტების შესახებ მომავალშიც გააგრძელებს.

მედიანიუსი

## პატრიარქი ბუდა-ბარის აშენებას ეხმაურება

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II 100 000 ქართველის წამების უწმინდეს ადგილზე ბუდა-ბარის აშენებას, ხოლო ქალაქის ცენტრში „ცოდვის სახლების“ – კაზინოსა (თანაც საპატრიარქოს გვერდით) და ტოტალი-



ზატორის გახსნას იმ „ახალი იდეოლოგიის“ გამოვლინებად და გამოხატულებად მიჩნევს, რომელიც ადამიანში მხოლოდ ცხოველური ინსტინქტების წინ წამოწევას ემსახურება.

ამ მაგალითებით უწმინდესი სააღდგომო ეპისტოლეში საზოგადოებრივი ყოფისადმი „ახალ მიდგომაზე“ საუბრობს.

როგორც პატრიარქი ბრძანებს, ამგვარი მიდგომა გამოიხატება თუნდაც იმაში, რომ ამოქმედდა პრინციპი – ნებისმიერი ქმედება მისაღებია, თუ იგი არ ზღუდავს სხვის თავისუფლებას. „დაიწყო ამგვარი აზროვნების ყველგან დამკვიდრება, რაც არის აჯანყება ზნეობისა და ადამიანურობის წინააღმდეგ. თავისუფლება და ზნეობრიობა ბუნებითია ადამიანისათვის. რომელიმე მათგანის უგულვებელყოფა იწვევს პიროვნების და ასევე საზოგადოების დამახინჯებას. სეკულარიზაციის მიმდევრებმა წინ წამოწიეს რა ცრუ თავისუფლების იდეა, ზნეობა საერთოდ ჩამოაშორეს მას და ბოლოს უკვე ასეთი პრინციპიც წამოაყენეს – რაც მსურს, ყველაფერი ბუნებრივია, დასაშვები და მისაღებია! ეს ნიშნავს, რომ ბოროტებაც მისაღებია და ამაში ცუდი არაფერია!“, – აღნიშნავს პატრიარქი.

თუმცა, უწმინდესის თქმით, ასეთი ცხოვრების ფილოსოფია ერთ მნიშვნელობას ანიჭებს ყველა იდეასა და შეხედულებას, ღირებულებათა ყველა სისტემას და ადამიანს ნებისმიერი არჩევანის გამართლებას სთავაზობს.

როგორც ილია მეორე ბრძანებს, საყოველთაო ჭეშმარიტება აღარ არსებობს და რჩება მხოლოდ ინდივიდუალური „ჭეშმარიტებები“, რომელთა შორის წარმატებულია ის მიმართულება, რომელიც ინფორმაციული მანქანისგან მხარდაჭერილი და კარგად რეკლამირებულია.

„თეოლოგთა შეხედულებით, ფეხს იკიდებს ვულგარული აზროვნება, რომელიც ადამიანში მხოლოდ ცხოველური ინსტინქტების წინ წამოწევას ემსახურება. ეს არის ჭეშმარიტი თავისუფლების სრული ანტიპოდი. ეს არის ცოდვის და ეშმაკის ისეთი ბატონობა, რომლის მსგავსიც არ ახსოვს კაცთა მოდგმას!

ამგვარი აზროვნების წესსა და დამოკიდებულებას პროპაგანდას უწევენ ყველგან და მათ შორის საქართველოშიც. როგორც ჩანს, ამ „ახალი იდეოლოგიის“ გამოვლინება და გამოხატულებაა 100 000 ქართველის წამების უწმიდეს ადგილზე ბუდა-ბარის აშენება, ასევე, ქალაქის ცენტრში ცოდვის სახლების – კაზინოსა (თანაც საპატრიარქოს გვერდით) და ტოტალიზატორის გახსნა, სოდომ-გომორის ცოდვის ჩამდენთა და მათი მსგავსი სხვა „გმირების“ პოპულარიზაცია. ეკლესიას, რომელიც მის წევრთა პიროვნული ნაკლულევანების მიუხედავად, ყოვლად წმინდაა და სრულიად უცდომელი, ქრისტეს მცნებისამებრ, ყველა უყვარს და ცდილობს, დაეხმაროს მათ, მაგრამ ეს სიყვარული სულაც არ ნიშნავს ცოდვასთან შემგუებლობას. პირიქით, ჩვენი რწმენა მოითხოვს, რომ ცოდვა მოვიძულოთ და ვებრძოლოთ მას, ხოლო ადამიანი გავაფრთხილოთ და დავიცვათ. ასეთი დაწესებულებები ბევრ ცივილიზებულ და დემოკრატიულ ქვეყანაში ჯერჯერობით აკრძალულია, ხოლო, სადაც დაშვებულია, მათ კანონით მკაცრად განსაზღვრული მდებარეობა აქვთ – მოცილებულნი არიან სასწავლო და რელიგიურ დაწესებულებებს, ქალაქის ცენტრს, საზოგადოების დასვენებისა და კულტურული თავშეყრის ადგილებს“, – ბრძანებს პატრიარქი.

ამავდროულად, უწმინდესი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მიუხედავად დიდი მცდელობისა და მრავალი ხელშემწყობი ფაქტორისა, ახალგაზრდების დიდმა ნაწილმა და ქართველმა ხალხმა ამ საცდურს გაუძლო და ზნეობისა და ტრადიციული ღირებულებების დამცველად დარჩა.

ინტერპრესნიუსი

## წალკაში ქართული ენის სახლი გაიხსნა

ქართული ენის დღეს წალკის რაიონში ქართული ენის სახლი გაიხსნა. დაწესებულება ქვემო ქართლის გუბერნატორმა დავით კირკიტაძემ და განათლების სამინისტროს წარმომადგენლებმა გახსნეს.

როგორც გუბერნატორმა აღნიშნა, ცენტრში ნებისმიერი მსურველი შეძლებს ქართულ ენას დაეუფლოს.

„ქართული ენის სახლით, პირველ რიგში, მასწავლებლები და სახელმწიფო მოხელეები ისარგებლებენ“,-აღნიშნა დავით კირკიტაძემ.

ცნობისთვის: განათლების სამინისტროს პროექტის ფარგლებში ქართული ენის სახლები არაქართველებით დასახლებულ საქართველოს ყველა რეგიონში იხსნება

მედიანიუსი

# ანაკლია 2 ათას ლარად გაიყიდა, გრიგოლეთი — 100-ად

## საკურორტო ზონების განვითარება ადგილობრივ მოსახლეობას ქონების გარეშე ტოვებს

**მრავალჯერ დამტკიცდა, რომ თითოეული ჩვენგანის საკუთრების უფლება იქ მთავრდება, სადაც ჩვენს კუთვნილ ქონებაზე სახელმწიფოს ინტერესი იწყება. ვითომცდა დიადი მიზნებისათვის, ხელისუფლება რიგითი მოქალაქეების ინტერესებს უხეშად არღვევს. არასამთავრობო ორგანიზაციებმა: „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“, „საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაციამ“ და ასოციაცია „მწვანე ალტერნატივამ“ მოიკვლიეს კონკრეტული მაგალითები, როცა სახელმწიფომ სხვისი ქონება გაასხვისა.**



შალვა ჯოხაძე

— საჯარო რეესტრს საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული აზომვის ორი სხვადასხვა სისტემის გამოყენებით (აზომვითი ნახაზის ელექტრონული და ქაღალდის ვერსია) შემუშავებული ნახაზების ერთმანეთთან შედარება არ შეუძლია და უკვე დარეგისტრირებულ საკუთრებას ხელახლა სხვაზე არეგისტრირებს ისე, რომ განაცხადებს შორის კონფლიქტს თუ გადაფარვას ვერ ხედავს. სამწუხაროდ, ხშირად დაზარალებულებს ვერც სასამართლო იცავს.

ბოლო დროს გახშირდა შემთხვევები, როდესაც საჯარო რეესტრში ქაღალდის საკადასტრო აზომვითი ნახაზით დარეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებს ხელახლა სხვა პირებზე არეგისტრირებენ. ახალი მფლობელი კი, უმრავლეს შემთხვევაში, სახელმწიფოა. ასეთი ფაქტები განსაკუთრებით სახელმწიფოს მიერ ტურისტულ ადგილებად გამოცხადებულ ზონებში გვხვდება, — აცხადებენ არასამთავრობოები.

რაც შეეხება კონკრეტულ ფაქტებს, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ყვებიან ანაკლიის მაგალითის შესახებ. 2009 წელს საჯარო რეესტრის ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურმა ეკონომიკის სამინისტროს ანაკლიაში მდებარე 150 მიწის ნაკვეთი დაურეგისტრირა. როგორც ჩანს, რეესტრს არც კი გადაუმოწმებია ინფორმაცია მოთხოვნილ მიწებზე სხვისი საკუთრების უფლების არსებობის შესახებ. საჯარო რეესტრის მიერ სახელმწიფოსათვის დარეგისტრირებულ მიწებს შორის აღმოჩნდა სოსო აქუბარდიას მიწის ნაკვეთიც, 47.92 ჰა ფართობით, რომელსაც ის 2007 წლიდან კანონიერად, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ფორმით ფლობდა. 2009 წლის 8 სექტემბერს პრეზიდენტმა ანაკლია ახალ საკურორტო ზონად გამოაცხადა და მისი განვითარებების პროექტის შედგენა ესპანელ არქიტექტორებს დაავალა. ადგილობრივები პრეზიდენტის იდეას სიხარულით შეხვდნენ, თუმცა ალბათ ვერ წარმოიდგენდნენ, რომ იდეის განხორციელებას მათი უძრავი ქონება შეეწირებოდა.

— იდეის განხორციელება საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 20 ოქტომბრის ¹732 განკარგულებით დაიწყო, რომლის თანახმადაც პრეზიდენტმა მოიწონა კომპანია „ანაკლია-პორტის“ წინადადება, ზუგდიდისა და ხობის მუნიციპალიტეტებში საერთო სატრანსპორტო კვანძის მშენებლობის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტიდან ირკვევა, რომ სატრანსპორტო კვანძის მშენებლობა მოიცავს: საზღვაო ნავსადგურის, სატვირთო აეროპორტის, მისასვლელი რკინიგზებისა და საავტომობილო გზების, სარკინიგზო და საავტომობილო გადაზიდვების ინფრასტრუქტურის, ენერგეტიკული და საინჟინრო მომსახურების ინფრასტრუქტურისა და ახალი დასახლების მშენებლობას.

საბოლოოდ „ანაკლია პორტთან“ დაიდო პირობიანი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მან აიღო ვალდებულება, 2013 წლამდე განახორციელოს 5 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტირება ზემოთჩამოთვლილი ობიექტების მშენებლობით.

თავად „ანაკლია პორტის“ მესაკუთრედ და 100% წილის მფლობელად იმ დროისათვის რუსეთში მოღვაწე ქართველი მილიონერი თემურ ქარჩავა ფიქსირდებოდა. ქარჩავამ, როგორც ჩანს, მოსკოვში მოხდილი ორწლიანი პატიმრობის შემდეგ სამშობლოში დაბრუნება და ქონების ანაკლიაში ინვესტირება გადაწყვიტა, — აცხადებენ არასამთავრობოები.

მათივე ინფორმაციით, დაახლოებით თვენახევარში, 2009 წლის 21 დეკემბერს, პრეზიდენტმა გამოსცა ახალი განკრაგულება №92219, რომლის საფუძველზეც დაკმაყოფილდა კომპანია „ანაკლია-პორტის“ თხოვნა და მას პირდაპირი მიყიდვის წესით, 6 340 445 ლარად გადაეცა დაახლოებით 2 113 ჰექტარი მიწა, საერთო ჯამში 298 ერთეული ნაკვეთით. ხელშეკრულების ერთ-ერთი პირობად განისაზღვრა შპს „ანაკლია პორტის“ მიერ ხელშეკრულების დადებიდან 5 წლის ვადაში 5 მილიარდი დოლარის ინვესტირების განხორციელება.

— აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ხელშეკრულების გაფორმებას წინ უსწრებდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოსა 2009 წლის 4 დეკემბრის №2-16\202 მიმართვა საჯარო რეესტრის ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურისადმი, რომლითაც ანაკლიაში მდებარე 150 მიწის ნაკვეთის სამინისტროს საკუთრებაში გადაცემა იყო მოთხოვნილი. 2009 წლის 6 დეკემბერს საჯარო რეესტრის ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურმა დააკმაყოფილა ეკონომიკის სამინისტროს მოთხოვნა. როგორც ჩანს, რეესტრს არც კი გადაუმოწმებია ინფორმაცია მოთხოვნილ მიწებზე სხვისი საკუთრების უფლების არსებობის შესახებ.

საჯარო რეესტრის მიერ სახელმწიფოსათვის დარეგისტრირებულ მიწებს შორის აღმოჩნდა სოსო აქუბარდიას მიწის ნაკვეთიც 47.92 ჰა ფართობით, რომელსაც ის 2007 წლიდან კანონიერად, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ფორმით ფლობდა.

სოსო აქუბარდიას მამამ, ომარ აქუბარდიამ საჯარო რეესტრის მიერ 2009 წლის 3 დეკემბერს გაცემულ ამონაწერში ცვლილებები აღმოაჩინა. ამონაწერის გრაფაში სიტყვა „დაზუსტებული“ შეიცვალა სიტყვა „დაუზუსტებლით“, ხოლო ნაკვეთის საკადასტრო ნომერი შეიცვალა და ნაცვლად №43.31.01.011-ისა გახდა №43.28.02.209.

კითხვაზე, თუ რა გახდა ასეთი ცვლილების განხორციელების მიზეზი, საჯარო რეესტრი პასუხობდა, რომ პრობლემა უახლოეს მომავალში გამოსწორდებოდა. მიუხედავად დაპირებისა, საჯარო რეესტრმა 2009 წლის 6 დეკემბერს ეკონომიკის სამინიტროს საკუთრებაში დაურეგისტრირა 150 მიწის ნაკვეთი, მათ შორის სოსო აქუბარდიას კუთვნილიც, რომელსაც კვლავ ახალი საკადასტრო კოდი №43.28.43.012 მიანიჭა, — საუბარია არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ საკუთრების უფლების დარღვევებთან დაკავშირებით ჩატარებულ კვლევაში.

აქუბარდიებმა ჯერ საჯარო რეესტრში სცადეს თავიანთი სიმართლის დამტკიცება, თუმცა უშედეგოდ. მოგვიანებით, სოსო აქუბარდიამ სასამართლოს მიმართა და პირვანდელი მდგომარებით საკუთრების უფლების აღდგენა მოითხოვა. მან აგრეთვე მოითხოვა უძრავი ქონების დაყადაღებაც, რადგან სადავო მიწის გასხვისების საშიშროება არსებობდა, თუმცა ყადაღის დადება აქუბარდიამ ვერ მიაღწია. მას განუმარტეს, რომ მიწა, რომელზეც ის ყადაღის დადებას ითხოვდა, შპს „ანაკლია პორტის“ საკუთრებად დარეგისტრირდა. პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა სოსო აქუბარდიას სარჩელი საკუთრების უფლების აღდგენის თაობაზე. უზენაესმა სასამართლომ კი საერთოდ უარი განაცხადა საქმის წარმოებაში მიღებაზე.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ წარმომადგენლები იმყოფებოდნენ სოსო აქუბარდიასათვის ჩამორთმეულ მიწის ნაკვეთზე. მიუხედავად იმისა, რომ მიწა შპს „ანაკლია პორტის“ საკუთრებაა, იქ შესვლა და დათვალიერება დაუბრკოლებლად შეიძლება, რადგან შპს „ანაკლია პორტის“ მიერ გეგმით გათვალისწინებული მშენებლობა დაწყებული არ არის და ტერიტორიაზე გადაადგილება არავის ეზღუდება. ამავე მიზეზის გამო, ყოფილი საკუთრების გარკვეულ ნაწილზე აქუბარდიას ახლაც მოჰყავს სიმინდი, რაც დავის დაწყებამდე აქუბარდიების საოჯახო ბიზნესი იყო და სიმინდიც მიწის ნაკვეთის მთელს ტერიტორიაზე მოჰყავდათ. სოსო აქუბარდია რეგისტრირებულია გადამხდელად, როგორც მეწარმე ფიზიკური პირი და ყოველწლიურად იხდიდა კანონით გათვალისწინებულ სხვადასხვა (მათ შორის მიწის) გადასახადს. მეტიც, სოსო აქუბარდიას დღემდე მოსდის შეტყობინება მიწის გადასახადის შესახებ.

ამჟამად აქუბარდიას საქმე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გადაინაცვლა.

რაც შეეხება ტერიტორიის ახალ მესაკუთრეებს, 2010 წლის 10 ივნისს შპს „ანაკლია პორტის“ მფლობელმა თეიმურაზ ქარჩავამ კომპანია თავისი მრავალმილიონიანი ქონებით მიჰყიდა ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებულ კომპანია „ოლიმპ მენეჯმენტ ლიმითედს“ სულ რაღაც 2 000 ლარად. 2011 წლის 27 სექტემბერს კი ამ კომპანიის ერთადერთმა დირექტორმა, ვინმე რია კლეინმა შპს „ანაკლია პორტის“ დირექტორად და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ თემურ ქარჩავა დანიშნა.

— ხელშეკრულების საგნის ღირებულება და ამ კომპანიის მმართველად კვლავ თეიმურაზ ქარჩავას დანიშვნის ფაქტი იძლევა საფუძვლიან ეჭვს, რომ ადგილი აქვს მოჩვენებით გარიგებას, რაც საშუალებას მისცემს „ანაკლია პორტის“ რეალურ მესაკუთრეს, თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა პირობით დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. აღსანიშნავია ისიც, რომ ამჟამინდელი მდგომარეობით შპს „ანაკლია პორტის“ უძრავი ქონება დაყადაღებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, — აცხადებენ არასამთავრობოები.

კიდევ ერთი მგავსი ფაქტი გრიგოლეთში მოხდა.

— უძრავი ქონების ხელყოფის ფაქტები ძირითადად იქ ფიქსირდება, სადაც საინვესტიციო ან ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება იგეგმება. ამ შემთხვევაში გრიგოლეთიც არ არის გამონაკლისი. ამ ტერიტორიაზე სუფსის ექვსნავსადგომიანი პორტის აშენება იგეგმება. ლანჩხუთის მიმდებარე სანაპირო ზოლში საფუძველი ჩაეყარა ახალი პორტის მშენებლობას, რომელსაც კომპანია „ბლექ-სი პროდაქტი“ განახორციელებს. უშუალოდ ნავსადგურის ტერიტორია 46 ჰა მიწის ფართობს მოიცავს, ხოლო მთლიანად პორტი, მთელი ინფრასტრუქტურით 180 ჰა-ზე გაშენდება.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე არსებული მონაცემებით, იმ მიწების უმრავლესობა, რომელიც „ბლექ-სი პროდაქტმა“ უკვე დაირეგისტრირა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსგანაა შესყიდული. უცნობია ის, თუ ვისი იყო აღნიშნული მიწები მანამდე, სანამ სახელმწიფომ საკუთრებაში დაირეგისტრირებდა და შემდგომ „ბლექ-სი პროდაქტს“ მიჰყიდა. მაგრამ ჩვენ მიერ მოკვლეული რამდენიმე შემთხვევიდან გამომდინარე, გამორიცხული არ არის, სახელმწიფოს საკუთრებაში ეს მიწები ადგილობრივ კერძო მესაკუთრეთა უფლებების დარღვევით აღმოჩენილიყო, — აცხადებენ არასამთავრობოები.

შარშან, 8 აგვისტოს მოქალაქე მარინა მექვაბიშვილმა საჯარო რეესტრის ლანჩხუთის სარეგისტრაციო სამსახურს მიმართა და მის საკუთრებაში დარეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ცვლილებების რეგისტრაცია მოითხოვა.

კერძოდ, მან წარადგინა მიწის ნაკვეთის ელექტრონული აზომვითი ნახაზი და ქონების საზღვრების დაზუსტება მოითხოვა. კანონმდებლობის თანახმად, მარინა მექვაბიშვილს ამის ვალდებულება არ ჰქონდა, მაგრამ სოფელ გრიგოლეთში გავრცელებული ინფორმაციით, სახელმწიფოს მოსახლეობის მიწები საკუთრებაში ჰქონდა დარეგისტრირებული და დიდი იყო იმის ალბათობა, რომ მექვაბიშვილის მიწის ნაკვეთიც მათ შორის ყოფილიყო.

მარინა მექვაბიშვილმა სოფელ გრიგოლეთში მდებარე 1 500 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთი 2004 წლის 12 მარტს დაირეგისტრირა საკუთრებაში. საჯარო რეესტრის ამონაწერში არსებული მონაცემების თანახმად, რეგისტრაციას საფუძვლად დაედო საგადასახადო სია, რომელიც კანონმდებლობის თანახმად მიწაზე მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელ დოკუმენტად ითვლება. მარინა მექვაბიშვილმა მიწა, სხვების მსგავსად, მიწის ნაკვეთის ქაღალდის აზომვითი ნახაზის საშუალებით დაირეგისტრირა საკუთრებაში და მას მიწით ფლობის/სარგებლობის არანაირი პრობლემა არ ჰქონდა მანამ, სანამ არ აღმოაჩინა, რომ დარეგისტრირებული უძრავი ქონება უკვე მისი აღარ იყო.

— 2011 წლის 12 აგვისტოს საჯარო რეესტრის ლანჩხუთის სარეგისტრაციო სამსახურმა შეაჩერა სარეგისტრაციო წარმოება მარინა მექვაბიშვილის განაცხადზე იმ მოტივით, რომ მიწა, რომელზეც ის საზღვრების დაზუსტებას ითხოვდა, ზედდებაში იყო სახელმწიფოს საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთთან.

მარინა მექვაბიშვილის საქმე უკვე სასამართლოშია. ის ცდილობს დაიბრუნოს მიწის ნაკვეთი მანამ, სანამ სახელმწიფომ გაასხვისებს. ამავე გზით მოუწევს სიმართლის ძიება მექვაბიშვილის მეზობელს ზურაბ მიქაძესაც. მიწის ნაკვეთი მასაც ქაღალდის საკადასტრო აზომვითი ნახაზით ჰქონდა საკუთრებაში რეგისტრირებული, თუმცა, ერთ დღეს აღმოაჩინა, რომ მისი მიწა სახელმწიფომ მიითვისა.

და ბოლოს, „ბლექ-სი პროდაქტიც“ „ანაკლია პორტის“ მსგავსად 2010 წელს მისმა მფლობელებმა სიმბოლურ ფასად, საერთო ჯამში 100 ლარად მიჰყიდეს კვიპროსში (ოფშორულ ზონაში) დარეგისტრირებულ კომპანია „ემ თი ბლექ სი ჰოლდინგ ლიმიტედს“. ხოლო, ახალი მესაკუთრის წარმომადგენლებად საქართველოში კომპანიის ძველი მფლობელები დარეგისტრირდნენ, — აღნიშნავენ არასამთავრობოები.

რაც შეეხება პორტის მშენებლობას, გავრცელებული ინფორმაციით საერთოდ გაურკვეველია ამ პროექტის განხორციელების ბედი. ჩვენ მიერ მოყვანილი შემთხვევებიდან კარგად ჩანს, რომ საკუთრების უფლებებთან დაკავშირებული პრობლემის აქტუალურობის მიუხედავად, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოები მისი მოგვარების ეფექტური მექანიზმის შემუშავებას ვერ ახერხებენ. შელახული უფლებების დასაცავად მესაკუთრეს ერთადერთი გზა, სასამართლოსთვის მიმართვა, რჩება. თუმცა, ვერც არსებული სასამართლო პრაქტიკა უზრუნველყოფს მესაკუთრის უფლებების დაცვას.

არასამთავრობოების მოსაზრებით, სასამართლოში დავის დროს, როგორც წესი, უფლებადარღვეული მესაკუთრის მოთხოვნა რეესტრის იმ გადაწყვეტილების ბათილად ცნობაა (გაუქმება), რომლითაც თავდაპირველი მესაკუთრის მიწაზე სხვისი საკუთრების უფლების რეგისტრაცია განხორციელდა. სასამართლო არ ცდილობს გაერკვეს წარდგენილ მტკიცებულებებში, რომლებზე დაყრდნობითაც ხდება მიწის მდებარეობის განსაზღვრა და ამ მტკიცებულებათა უგულებელყოფით იღებს გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე. გადაწყვეტილებებში სასამართლო განმარტავს, რომ რეესტრის მიერ

გადაწყვეტილების მიღებისას კანონის მოთხოვნათა დარღვევას ადგილი არ ჰქონია და მისი ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობს. სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისას განმარტავს, რომ რეესტრის ვალდებულებას წარმოადგენს მხოლოდ ელექტრონული ნახაზების ურთიერთშესაბამისობის კონტროლი, თუმცა, მსგავსი რამ არც ერთ კანონში არ წერია. ამით სასამართლო პრაქტიკულად უცვლელად იზიარებს რეესტრის პოზიციას.

ცხადია, რომ ვერც კანონმდებლობა, ვერც საჯარო რეესტრი, ვერც სხვა ადმინისტრაციული ორგანო და ვერც სასამართლო მსგავს შემთხვევებში ვერ უზრუნველყოფს საკუთრების უფლების ეფექტურ დაცვას.

### ბი-ბი-სიმ“ თამთა ლიპარტელიანის შესახებ სიუჟეტი მოამზადა

ტელეკომპანია „ბი-ბი-სიმ“ თამთა ლიპარტელიანის შესახებ სიუჟეტი მოამზადა, რომელიც ნორვეგიელი ტერორისტის, ანდერს ბრეივიკის ტერორისტულ აქტს ემსხვერპლა. თამთას და, ზოგადად, მისი ბიოგრაფიის შესახებ სიუჟეტში დედამისი ლეილა ასათიანი საუბრობს.

სიუჟეტის ბოლოს ნათქვამია, რომ თამთა ლიპარტელიანის მშობლები არ ეთანხმებიან ანდერს ბრეივიკისთვის 21 წლით თავისუფლების აღკვეთას. გარდაცვლილის მამა ავთანდილ ლიპარტელიანი იმედოვნებს, რომ ოსლოში დღეს დაწყებულ სასამართლო პროცესზე გამოსვლას მოახერხებს, რომელზეც ტერორისტისთვის სამუდამო პატიმრობას მოითხოვს.

მისი თქმით, სასამართლოს სხდომაზე მის მსგავსად, ალბათ, სხვა გარდაცვლილების მშობლებიც იქნებიან, რომლებიც ასევე მოითხოვენ დამნაშავისთვის სამუდამო პატიმრობას. „არ ვიცი, შეიძლება ისინი ამ 21-წლიანმა სასჯელმაც დააკმაყოფილოს, მაგრამ მე ასეთი გადაწყვეტილება არ დამაკმაყოფილებს“, — აცხადებს ავთანდილ ლიპარტელიანი.

ნორვეგიაში, ახალგაზრდულ ბანაკში 2011 წლის 22 ივლისს ანდერს ბრეივიკის მიერ განხორციელებული ტერორისტული აქტის შედეგად, ქართველი სტუდენტი თამთა ლიპარტელიანი გარდაიცვალა. ის ტერორისტის მიერ ნასროლი რამდენიმე ტყვიის შედეგად დაიღუპა.

დღეს ოსლოში ანდერს ბრეივიკის სასამართლო პროცესი დაიწყო, რომელიც 10 კვირის განმავლობაში გაგრძელდება და დადგინდება, არის თუ არა ტერორისტი შეურაცხადი.

**ინტერპრესნიუსი**

# 21 წლის დეპუტატის დღიური

### ორშაბათი

ორშაბათობით პლენარული სხდომები არ არის, და ამიტომ თავისუფლად შემიძლია გეპეიში ლექციაზე წავიდე. ქიმიის ლექტორი ძალიან მკაცრი ქალია და შეიძლება წლის ბოლოს გამოცდა შემტენოს. სულ არ ედარდება, რომ პარლამენტარი ვარ, სიცილით კვდება ამას რომ ვეუბნები – არ სჯერა. სამშაბათი

დღეს საკომიტეტო განხილვას უნდა დავესწრო, ალბათ ვერ მივუსწრებ, რადგან ჩემს შეყვარებულს უნდა გავუარო და სკოლაში წავიყვანო. რაც სამსახურის მანქანა და მძღოლი მომცეს, სულ მე დამყავს. კომიტეტის თავმჯდომარე შაკოს დავუმესიჯებ, რომ უჩემოდ დაიწყონ. ჩვენს კომიტეტში შაკო ყველაზე უფროსია, ერთი კვირის წინ 23 წლის გახდა, თავმჯდომარედაც ამ პრინციპით ავირჩიეთ, შარშან უნივერსიტეტიც დაამთავრა და ლექციები ხელს აღარ უშლის.

### ოთხშაბათი

მაესტროზე გადაცემაში ვარ მიწვეული. იმედია კარგი ვიზაჟისტები ყავთ, რადგან გუშინ უბანში ბიჭები ფეხბურთს უბერავდნენ, მეც ჩავერთე და თამაშის ბოლოს ნიკუშას იდაყვი მომხვდა ცხვირში, დამაფინგალა. ბებიაჩემი გადაირია, რომ დამინახა, ემოციური ქალია, ძალიან.

გადაცემაში ოპოზიციის წარმომადგენელმა ბოლომდე გამწურა, სულ ცხვირმოუხოცავი ლაწირაკი მეძახა. მაგას რას ვერჩი, წამყვანია მისაჩემი. ასეთი დაუბალანსებლობა როგორ შეიძლება? კი, ბატონო, შედარებით ახალგაზრდა და გამოუცდელი ვარ, ამით ისარგებლა და ოპონენტად 27-28 წლის ჭარმაგი მამაკაცი დამისვა.

### ხუთშაბათი

ამ პლენარულმა სხდომებმა ტვინი წაიღო, ვერ ვიტან, მღლის. ამიტომ სხდომებზე ჩემ ფრაქციელ ზუკას სამკარტა ბურას ვეთამაშები ხოლმე, ხუთკარტა ვერაფრით ვასწავლე, – ვერ ითვისებს.

სხდომის მერე, აგარაკზე ავედით ზუკასთან. მძღოლები არ გვინდოდა და დავითხოვეთ. ზუკას მამის მანქანა ვითრიეთ. ჩემი ჯგუფელი გოგოები ჩავისვით და წავედით. ლუდი გვქონდა და ნემიროვი – ერთმანეთში ავურიეთ. ჰოდა, ერთი გოგო ცუდად გაგვიხდა, გაითიშა. ხელში ატატებული შევიტანე რესპუბლიკურში, გადასხმა დაუყენეს და 3 საათში გამოვიდა. მედავებოდა კიდეც, მთვრალი გოგო არ გინახავს, საავადმყოფოში რას მომაქანებდიო.

### პარასკევი

დღეს მაგარი თამაშია: ბარსა – რეალი, კლასიკო. ივენთ-ჰოლში, დიდ ეკრანზე უნდა ვუყურო ბიჭებთან ერთად. ტოტალიზატორის კუშები არ მევასა და ხელზე გავმაზე. რო წავაგო, მამაჩემი მომკლავს – დეპუტატის ხელფასი სულ თავნებში მიმდის.

### შაბათი

დღეს ჩემი მეგობრები ქალაქგარეთ მიდიან, მე კიდე სამეცადინო მაქვს ორშაბათისთვის, შეტენილი გამოცდა უნდა გადავაბარო. რა ვქნა, რით დავარწმუნო ლექტორები, რო პარლამენტარი ვარ და უფრო პატივისცემით მომეპყრონ?

### კვირა

წესით უნდა ვისვენებდე, მაგრამ როცა კანონმდებელი ხარ, შენთვის კვირა არ არსებობს. თავმჯდომარისგან მესიჯი მომდის, რიგგარეშე სხდომაზე მომიწევს წასვლა. ახალ კანონპროექტს ვუყრით კენჭს. დეპუტატობა რთული საქმეა, ნამდვილად.

**ზურაბ ვარდიაშვილის ბლოგი, ჟურნალი „ლიბერალი“**

# გელა ნიკოლაიშვილი: სახალხო დამცველმა პოლიტიკურად ლოიალური ანგარიში წარმოადგინა“

## ვინ არის რეალურად ციხეების მინისტრი

**უფლებადამცველი გელა ნიკოლაიშვილი ფიქრობს, რომ სახალხო დამცველს უფრო მეტის დაწერა შეეძლო თავის მოხსენებაში, მაგრამ გიორგი ტუღუშს გარკვეული კომპლექსი აქვს. ნიკოლაიშვილის თქმით, მას ეშინია, პოლიტიკურად ანგაჟირებული არ უწოდონ.**




შორენა კოწოწაშვილი

რა ხარვეზები აქვს სახალხო დამცველის ანგარიშს და რა პოზიცია დაიკავა პარლამენტმა მინისტრ ხათუნა კალმახელიძის მიმართ, რომლის უწყებაშიც პატიმართა სიკვდილიანობა დღითიდღე მატულობს და საგანგაშო სტატისტიკას აღწევს? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ადვოკატ **გელა ნიკოლაიშვილთან**.

***– ბატონო გელა, როგორ შეაფასებდით სახალხო დამცველის ანგარიშს? ფაქტია, ხელისუფლება ისე წარმოაჩენს, რომ ამ მხრივ ქვეყანაში სერიოზული წინსვლაა.***

– ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ადამიანის უფლებების დარღვევა, როგორც წესი, როგორც ნორმა, ჩამოყალიბებულიყო საქართველოში ისე, რომ, ფაქტობრივად, ეს დარღვევა უკანონო, უსამართლო არ ყოფილიყო. შეეცადა, ყველაფერი მოექცია კანონის ფარგლებში, სამართლის ფარგლებში და ამიტომ ის თვლის, რომ არანაირი დარღვევაა, უმრავლეს შემთხვევაში, ძირითადად სისტემურ დარღვევას, ადგილი არა აქვს, თორემ თითო-ოროლა დარღვევას და გამონაკლის შემთხვევებს, რა თქმა უნდა, არც თვითონ უარყოფენ და ამას ყველა ქვეყანაში აქვს ადგილი. მაგრამ აქ მთავარი პრობლემა არის ის, რომ საქართველოში შექმნილი კანონმდებლობა და რეალური სიტუაცია განაპირობებს იმას, რომ საქართველოში ყოველი ფეხის ნაბიჯზე სისტემურად იყოს ადამიანის უფლებები დარღვეული. მაგალითად, რას ვგულისხმობ: პოლიცია აჩერებს ადამიანს, რომელიც მას თვალში არ მოსდის ან დავალებული აქვს, რომ ეს ადამიანი უნდა დააკავოს, ადმინისტრაციული სახდელი დაადოს, თანაც თუ ადმინისტრაციული სახდელი ადრე 15 დღე იყო, ახლა 90 დღეა. ადრე 90 დღით ადამიანის იზოლირება რომ მოეხდინათ, თანაც ყოველგვარი გამოგონილი მიზეზით, რა თქმა უნდა, ამაზე ატყდებოდა ერთი ამბავი და იქნებოდა საერთაშორისო რეზონანსი, რომ ირღვევა ადამიანის უფლებები. დღეს ეს ყველაფერი კანონის ფარგლებშია მოქცეული. პოლიციელს შეუძლია, სასამართლოში წაიყვანოს მოქალაქე მიტინგის თუ საპროტესტო აქციის დროს და თქვას, ეს ადამიანი არ დაემორჩილა ჩემს კანონიერ მოთხოვნასო. მორჩა, საკმარისია მისი ჩვენება სასამართლოში. რამდენი მოწმეც არ უნდა მივიდეს სასამართლოში და თქვას, რომ ეს ასე არ ყოფილა, არის პრეზუმფცია პირდაპირ, რომ პოლიციელი ყოველთვის მართალია. მას ხომ არ აქვს მისი პირადი ინტერესი, პირველ რიგში ამას ეკითხებიან ადამიანს, აბა, მაშინ რატომ მოგიყვანდა. პოლიციელი ყოველთვის მართალია. თითქოს ეს უკვე ჯდება კანონის დაცვისა და ადამიანის უფლებების ფარგლებში. რეალურად მოსამართლეს აქვს ასეთი მითითება, პირდაპირ უზენაესი სასამართლოს დადგენილებაა, რომ აი, ასე უნდა განსაჯოს მოსამართლემ. მოსამართლეს არ აქვს უფლება, გამოუძიებელი ანუ ცუდად გამოძიებული საქმე უკან დააბრუნოს ხელახალ გამოძიებაში. თან ახლა სასჯელთა შეკრების პრინციპია. ასე რომ, კანონის გამკაცრებით და სასტიკი კანონების მიღებით, კანონიერ ჩარჩოში მოექცა ადამიანის უფლებების დარღვევა და ამან სისტემური ხასიათი მიიღო. სწორედ ეს არის ერთ-ერთი მთავარი პრეტენზია სახალხო დამცველის მოხსენებისადმი, რომ მან ამ სისტემურ დარღვევებს და ჩამოყალიბებულ სისტემას კი არ მიაქცია ყურადღება, არამედ ყურადღება მიაქცია ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევებს, რომელიც, რა თქმა უნდა, დასაფასებელია, როდესაც აღწერა ხდება ამ შემთხვევებში, მაგრამ მიდგომა არის სრულიად არასაკმარისი, ანუ მიდგომა არის არასწორი.

***– სახალხო დამცველის ანგარიში უფრო პოლიტიკური მოტივაციიდან გამომდინარეა შერბილებული?***

– ეს ანგარიში არასრულყოფილია სხვადასხვა ნაწილში. რაზეც ზემოთ ვისაუბრე, ეს ყველა სფეროს ეხება. მე, პირადად, მაინტერესებს სამართალდამცველი ორგანოები, ციხეები და სასამართლო. ამ სამ სტრუქტურას თუ შევეხებით, მეტ-ნაკლებად უფრო სრული მდგომარეობა სახალხო დამცველს მოცემული აქვს პენიტენციალური სისტემისა, ციხეებში არსებული მდგომარეობა და საკმაოდ სრული და ღრმაც არის, მასშტაბური. ძალიან ბევრი კონკრეტული დარღვევის აქტია მოცემული. რეკომენდაციებიც არის, რომ, ვთქვათ, ესა თუ ის თანამდებობის პირი, რომელიც მხილებულია არაერთხელ ადამიანის უფლებების დარღვევებში კი არა, სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში, მას აქვს მოთხოვნილი პროკურატურის მიმართ, რომ ისინი შესაბამისად დაისაჯონ. პროკურატურა ამბობს, რომ გამოძიება დაწყებულია უფლებამოსილების გადამეტებით ან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით. თითქმის არასდროს არ მიმდინარეობს წამების მუხლით, რომელიც სხვადასხვა გარემოების გათვალისწინებით 7-დან 17 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. და, რაც მთავარია, არც ერთი მუხლით პრაქტიკულად არ ყოფილა, მილიონში ერთ გამონაკლის შემთხვევას თუ არ ჩავთვლით, ისიც სხვა მიზნები ჰქონდათ სამართალდამცავებს, რომ დასჯილიყო სისხლის სამართლებრივი წესით პენიტენციალური სისტემის ის მუშაკი, რომელმაც ჩაიდინა სისხლის სამართლის მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული და, პირიქით, ისინი ან აწინაურებდნენ მათ, ან დროებით მალავდნენ და გადაჰყავდათ ერთი დაწესებულების ხელმძღვანელობიდან მეორე დაწესებულების ხელმძღვანელად. ეს პრაქტიკა როდესაც არის, სახალხო დამცველმა ალბათ უფრო კატეგორიულად უნდა მოითხოვოს მათი დასჯა. თუნდაც უნდა მოიყვანოს მაგალითები, როგორ ისჯებიან ჩვეულებრივი მოქალაქეები, როდესაც თუნდაც რაღაც გადაცდომას ჩაიდენენ. ვთქვათ, იგივე დაუმორჩილებლობა იქნება თუ პოლიციელისთვის წინააღმდეგობის გაწევა ან თუნდაც მუქარა, ან რაღაც მიზნით ვიღაცის ცემა და როგორ არ ისჯებიან დეპარტამენტის წარმომადგენლები, ციხეების უფროსი ხელმძღვანელები თუ თანამშრომლები, რომლებიც პირდაპირ არათუ უბრალოდ მუქარით, ცემით, ლანძღვა-გინებით, არამედ თავს იჩენენ არაადამიანური, ღირსების შემლახავი მოპყრობით. ეს კონკრეტული შედარებითი მაგალითები, რომ მოქალაქის მიმართ როგორია დამოკიდებულება და პენიტენციალური დაწესებულების თანამშრომლების მიმართ როგორი, აი, ეს უნდა გამოიკვეთოს. უნდა გაკეთდეს დასკვნა, რომ ეს თითოეული თანამშრომლის გადაცდომა კი არ არის, არამედ ეს არის სახელმწიფო პოლიტიკა, რომლითაც წახალისებული არიან ციხეების თანამშრომლები და სწორედ ასე მოითხოვენ მათგან ასეთ ქმედებას. რეკომენდაცია ის კი არ უნდა იყოს შინაგან საქმეთა მინისტრისადმი, რომ ტრენინგები გაატარეთ შს თანამშრომლები, როგორ დაშალონ მიტინგები ისე, რომ გადაჭარბებული ძალა არ გამოიყენონო, არამედ ხაზი უნდა გაესვას, რომ ეს პოლიციელები მოქმედებენ სწორედ ბრძანების შესაბამისად. მათ ასეთი ბრძანება რომ არ ჰქონოდათ, რომ საერთოდ არ გაეშვათ, მაგალითად, 26 მაისს მომიტინგეები, ყველა გზა არ ჩაეხერგათ და სასტიკად არ გასწორებოდნენ და არ ეცემათ. ქალები უნდა გაეტარებინათ, ეს ბრძანება ჰქონდათ. ამიტომაც ქალი არავინ დაზარალდა. მამაკაცების მიმართ უკიდურესი სისასტიკე რომ უნდა გამოეჩინათ, ეს იმის ბრალი კი არ არის, რომ ტრენინგი არ გაუვლიათ. ეს იმის ბრალია, რომ ასეთი იყო პოლიტიკური ნება, ასეთი იყო ბრძანება და პასუხისმგებლობა არის მათი ხელმძღვანელების მიმართ. ის, რომ 16 პირს საყვედური გამოეცხადა ფორმალურად და 4 გათავისუფლდა სამსახურიდან, როდესაც იქ სისხლის სამართლის დანაშაულებია ჩადენილი და მკვლელობებია ჩადენილი, მინიმუმ 4 ადამიანია მოკლული, აი, ამაზე უფრო მკაფიო რეაგირებაა საჭირო. რაც შეეხება სასამართლოებს, აქ ხომ საერთოდ აქცენტი გამახვილებული მეორეხარისხოვან ნიუანსებზეა.

***– ანუ პოლიტიკურად ლოიალური ანგარიში წარმოადგინა სახალხო დამცველმა?***

– რა თქმა უნდა. ასეთი რეკომენდაცია აქვს ტუღუშს სასამართლოს ხელმძღვანელობისადმი, რომ უზრუნველყავით სხდომებზე დასწრების სურვილის მქონე მოქალაქეთა თავისუფალი დაშვებაო, რომ ბარიერები არ შეექმნათო; სტენოგრაფირების და აუდიოჩანაწერების გაკეთებაო; ფიზიკურად ხელმისაწვდომი გახდეს შეზღუდული შესაძლებლობის პირებისთვის გადაადგილება ანუ პანდუსები გააკეთეთო. ეს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი პრობლემებია, მაგრამ ეს არის მეასეხარისხოვანი პრობლემები იმასთან შედარებით, რაც რეალურად არის სასამართლოში, რომ ჩვენთან მართლმსაჯულება რეალურად არ არსებობს. არ არსებობს მოსამართლის რაიმე უფლება, არსებობს პროკურორის ნება და მეტი არაფერი. მოსამართლე არის ნოტარიუსად ქცეული.

***– უფრო მეტს ელოდით სახალხო დამცველისგან?***

– მართალი რომ გითხრათ, მეტ-ნაკლებად პენიტენციურ სისტემაში არსებულ მდგომარეობის აღწერამ და შეფასებამ მე დამაკმაყოფილა. მაგრამ, რაც შეეხება სამართალდამცავ და სასამართლო სტრუქტურებში არსებულ მდგომარეობას, სრულიად არ დამაკმაყოფილა თავისი სიღრმით და სიმწვავით. სახალხო დამცველს შეიძლებოდა მეტიც დაეწერა, იმიტომ, ჩვენ გამოცდილება გვაქვს, რომ ყოველწლიურად რომ იგივე წინა ომბუდსმენი სოზარ სუბარიც თანდათანობით უკეთეს და უკეთეს მოხსენებებს აკეთებდა. ვაღიარებ, რომ ტუღუშიც უფრო უკეთეს დასკვნებს წერს ყოველწლიურად, წინა წელთან შედარებით. შარშანდელ და შარშანწინდელ მოხსენებებს, ეს დასკვნა ნამდვილად ჯობია. მე არ ვამბობ, რომ ტუღუშს კვალიფიკაცია აკლია, მაგრამ უფრო მეტი უნდა იყოს გაბედულობა. იგივე, მაგალითად, პოლიტიკურ პატიმრებთან დაკავშირებით. ტუღუში ანგარიშში არ წერს, მაგრამ სიტყვიერად აცხადებს, რომ პოლიტიკური პატიმრის სამართლებრივი სტატუსი არ არსებობს არც ჩვენთან და არც საერთაშორისო დონეზე. ამიტომ მე ვერავის მივანიჭებ ამ სტატუსს. ამაში კი არ არის საქმე, რომ მან ვინმეს მიანიჭოს პოლიტიკური სტატუსი, ხომ ფაქტია, რომ პოლიტიკური ნიშნით როგორი დევნა ხდება იგივე პედაგოგების, ექიმების. არა აქვს მნიშვნელობა, ნებისმიერი პროფესიის ადამიანი გვინახავს, რომელიც პოლიტიკური ნიშნით გაათავისუფლეს სამსახურიდან. არაერთს მიუმართავს სახალხო დამცველისთვის, რომ მე ან ჩემი ოჯახის წევრი პოლიტიკური ნიშნით გაგვათავისუფლეს სამსახურიდანო. დაკავება ხდება, იგივე ნარკოტიკის ან იარაღის ჩადება იმ ადამიანებისთვის, ვისაც პოლიტიკური ნიშნით აპატიმრებენ. ეს არის პრობლემა და ეს არის პოლიტიკური ნიშნით დევნა. მე არ ვამბობ, რომ სახალხო დამცველმა მაინცდამაინც პოლიტიკური პატიმრის სტატუსი მიანიჭოს. მაგრამ, ხომ ფაქტია, რომ პოლიტიკური ნიშნით პატიმრები არიან ქვეყანაში და თანაც საკმაოდ ბევრი. ეს პრობლემა არსებობს, მით უმეტეს არჩევნების წელია, როცა ასეთი მასობრივი დაშინებები ხდება. აქედან გამომდინარე, ამას უნდა მიაქციოს მან ყურადღება და უნდა გაბედოს ამის დაწერა. მას ვერ ეტყვიან, შენ პოლიტიკურად ანგაჟირებული ხარო, როგორც სოზარ სუბარს ეუბნებოდნენ და, რა თქმა უნდა, არასწორადაც ეუბნებოდნენ. მე როგორც ვხედავ, გიორგი ტუღუშს ამის ეშინია. მე როგორც ვხედავ, ტუღუშს ამის კომპლექსი აქვს, მაგრამ მას ამისთვის არავინ გაკიცხავს.

***– ბატონო გელა, ციხეებში არსებული მძიმე ვითარება რომ უფრო მეტად მძიმდება, ამას პატიმართა სიკვდილიანობის სტატისტიკაც მოწმობს. ყველაფერი შერჩა კალმახელიძეს, როგორც პასუხისმგებელ პირს?***

– საქმე ისაა, რომ, მართალია, ომბუდსმენი მოხსენებაში პასუხისმგებლობის საკითხს არ აყენებს, მაგრამ როდესაც ამ პარლამენტში ჰკითხეს პასუხისმგებლობის საკითხზე, გიორგი ტუღუშმა თქვა, რომ ყველას პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს, ვინც სახალხო დამცველის რეკომენდაციებს არ ასრულებს, მათ შორის, ხათუნა კალმახელიძისაც. თუმცა, პირდაპირ მიუთითა, მე ამას ვერ გავაკეთებო. ანუ ეს უნდა გააკეთოს პარლამენტმა. პარლამენტი კი როგორ მოიქცა? – შენც კარგი ბიჭი ხარო, ტუღუშს უთხრა, შენც კარგი გოგო ხარო – კალმახელიძეს.

***– ანუ სახალხო დამცველის მოხსენებას პარლამენტში აზრი არა აქვს?***

– აზრი აქვს იმ თვალსაზრისით, რომ მაინც სახალხო დამცველს აქვს გარკვეული სტატუსი. გარკვეული წონა და მისი მოხსენებები საერთაშორისო დონეზე საკმაოდ რეზონანსულია. სულ მალე, ვფიქრობ, უკვე ამ კვირაში დაიბეჭდება ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიური მოხსენება და, დარწმუნებული ვარ, რომ სახალხო დამცველის მოხსენების გავლენის ქვეშ იქნება ეს მოხსენება. როგორც წესი, მარტის ბოლოს არის ხოლმე დეპარტამენტის მოხსენება. შეიძლება, ახლა იმიტომაც დაიგვიანა, რომ სახალხო დამცველის მოხსენებას დაელოდნენ. საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სახელმწიფო დეპარტმენტს აქვს საკმაოდ სერიოზული ზეგავლენა საქართველოს ხელისუფლებაზე. ისინი იძულებული არიან, რეაგირება მოახდინონ ამერიკის ელჩის და, საერთოდ, ამერიკის პოზიციაზე ივანიშვილის მოქალაქეობასთან დაკავშირებით. ჩვენ ვნახეთ კურიოზული უკანდახევა. კონსტიტუცია შეცვალეს ივანიშვილის გამო. ამერიკის მკვეთრი პოზიცია რომ არა, ისინი ამაზე არ წავიდოდნენ.

***– ორი დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ 25 წლის პატიმარმა ბინტით თავი ჩამოიხრჩო. რატომ გადაუსვეს თავზე ხელი კალმახელიძეს ამ მძიმე სტატისტიკის ფონზე?***

– კალმახელიძე არის ფასადი, თოჯინა უწყებაში. შეიძლება, ის რაღაცაში ერკვევა, მაგრამ არ წარმართავს ამ პოლიტიკას, ის არის მხოლოდ რაღაცის გამხმოვანებელი. მას უფლებამოსილებაც არ გააჩნია რეალური. რეალურად ციხეებს ვანო მერაბიშვილი წარმართავს და ის განაგებს ამ უწყებას. კალმახელიძე არის არაკომპეტენტური და მას, შესაბამისად, პასუხსაც არავინ სთხოვს.

# გოგი ხუციშვილი: საქართველოში არანორმალური საარჩევნო გარემოა“

ნათია ხურცილავა

**ინტერვიუ გოგი ხუციშვილთან:**

**გოგი ხუციშვილი, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის დირექტორი, აცხადებს, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები პასუხს გასცემს კითხვაზე, ამერიკა-საქართველოს შორის თუ როგორი იქნება სამომავლო ურთიერთობები.**


გოგი ხუციშვილი

***— ბატონო გოგი, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები საერთაშორისო დონეზე ერთგვარ ტესტად არის მიჩნეული. პრეზიდენტმა სააკაშვილმა საერთაშორისო დამკვირვებლები რამდენიმე თვით ადრე მოიწვია, რასაც საგარეო საქმეთა სამინისტროში უპრეცედენტო უწოდეს. რა მნიშვნელობა აქვს საარჩევნო პროცესის შეფასებისთვის უცხოელი დამკვირვებლების დასკვნას?***

— საპარლამენტო არჩევნები განსაკუთრებული მნიშვნელობის არის. არსებობს გრძელვადიანი დამკვირვებლები და მოკლევადიანი. მოკლევადიანი დამკვირვებლები ჩამოდიან ზუსტად არჩევნების წინ და ხმის მიცემის პროცესს აკვირდებიან, შემდეგ აფასებენ ამ პროცესს. გრძელვადიანი დამკვირვებლები რამდენიმე ხნით ადრე ჩამოდიან, მაგრამ არსად არ ყოფილა, რომ ასე ადრე, რამდენიმე თვით ადრე ჩამოვიდნენ. ისინი მთელ წინასაარჩევნო პროცესს დააკვირდებიან. პრეზიდენტის ინიციატივა, რომ ასე ადრე ჩამოსულიყვნენ საერთაშორისო დამკვირვებლები და დაეწყოთ მისია, დაკავშირებული იყო იმ დასკვნებთან, რომ საქართველოში არანორმალური წინასაარჩევნო ვითარებაა.

***— ასეთი დასკვნები არის საერთაშორისო დონეზე?***

— რასაკვირველია, დასკვნაა, რომ პოლიტიკური კონკურენტები თანაბარ ვითარებაში არ არიან ჩაყენებული. მათთვის გაუგებრად ძალიან გართულდა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის დაბრუნების საკითხი. ძალიან ბევრია საუბარი იმის შესახებ, რომ შეიარაღებული ფორმირებები იქმნება, რეზერვის საკითხი გაუგებარია. რეგიონებში არსებული ეს მდგომარეობა მიბმულია წინასაარჩევნო ვითარებასთან. როგორც ჩანს, ზეწოლა იქნება მოსახლეობაზე, განსაკუთრებით რეგიონებში იმისთვის, რომ ოპოზიციას ხმა არ მისცენ. ეს ინფორმაცია ტრიალებს და ამის განსამუხტავად თუ გასაბათილებლად პრეზიდენტმა გააკეთა ეს განცხადება. ის გამოვიდა ამ ინიციატივით იმისთვის, რომ პირველი, დაანახვოს, ხელისუფლება არაფერს მალავს. მეორე, არაფრის ეშინია. მესამე, დარწმუნებულია, პროცესები ისე წარიმართება, როგორც თავად აცხადებენ. განცხადებული მოტივაციაა, ჩამოდით და ნახეთ, კანონსაწინააღმდეგო აქ არაფერი ხდება, რომ აქ ყველაფერი გამჭვირვალეა და ჩვენ მზად ვართ, არჩევნები ღიად და დემოკრატიულად ჩავატაროთ. კიდევ სხვა მოტივაციაც არის.

***— სხვა მოტივაცია რა არის?***

— ის, რომ რაღაცნაირად გააბათილონ ის ბრალდებები და მუხტი, რომელიც გროვდება წინასაარჩევნო ვითარებაში. ამის პარალელურად ხელისუფლება ფიქრობს, იმდენი დამკვირვებელი მაინც ვერ ჩამოვა, რომ თითქმის 4 ათას საარჩევნო უბანს ყურადღება მიაქციოს. ხელისუფლების ეს მესიჯი, რომ ჩვენ არაფრის გვეშინია, გაშვებულია. ეს არის პიარი, რომელიც გამოიყენა ხელისუფლებამ. ამას ვუკავშირებ ევროკავშირის ელჩ ფილიპ დიმიტროვის განცხადებას.

***— კონკრეტულად?***

— პრაქტიკულად, თქვა, რომ არათუ არ ეთანხმება ალასანიას, ტყუილს ამბობსო, რომ სამეგრელოში უკანონო შეიარაღებული ფორმირებები იქმნება. დიმიტროვმა განაცხადა, სამეგრელოში ჩვენი სადამკვირვებლო მისია მოქმედებს და რამე ასეთი რომ იყოს, შეამჩნევდნენო. გამოდის, თქვენ ან ევროკავშირის მისიის მუშაობას ეჭვქვეშ აყენებთ, ან გამოდის, რომ ისინი თავიანთ საქმეს ვერ აკეთებენ.

***— დიმიტროვმა დიპლომატიის ეტიკეტიდან გასული განცხადება გააკეთა, თუ თქვა, რომ სამეგრელოში რეალურად არაფერი ხდება?***

— დიპლომატისთვის ძალიან მკვეთრი განცხადება იყო, მე ვიტყოდი, ცოტა უჩვეულოც. ევროკავშირი, რომელიც მოწოდებულია, ხელი შეუწყოს წინასაარჩევნო ვითარების დარეგულირებას, გამოდის, პრაქტიკულად, ეჭვქვეშ აყენებს ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის ნათქვამს, იმგვარად, რომ თითქოს ის ტყუილს ამბობს. ხელისუფლებამ დიპლომატიურ კორპუსთან ძალიან დიდი მუშაობა ჩაატარა, რათა დაერწმუნებინათ, რომ რეგიონებში, განსაკუთრებით სამეგრელოში ყველაფერი ჩვეულებრივად მიდის. არაფერი ისეთი არ ხდება, რასაც შეიძლება ოპოზიციის ან ოპოზიციური ელექტორატის დაშინება დაერქვას, მაგრამ, სამეგრელოში რომ ჩახვიდეთ და ხალხს გაესაუბროთ, მაშინ შეიძლება რეალური ინფორმაცია მიიღოთ. ერთია, რაც საერთაშორისო, გრძელვადიანი ევროკავშირის მისიისთვის ჩანს, რომლის მანდატი და ფუნქცია არის ადმინისტრაციული საზღვრის პერიმეტრზე დაკვირვება და არა მთლიანად საქართველოში პროცესების შესწავლა. მათი მანდატი პოსტკონფლიქტურია, ომის შემდგომი სიტუაციის მანდატია. ისინი აკვირდებიან ადმინისტრაციულ საზღვარზე მდგომარეობას, მიმდებარე ტერიტორიებს, მაგალითად, როგორიც არის გორის რაიონი, რადგან ახალგორთან არის ახლოს, ზუგდიდის რაიონი, რადგან ენგურთან ახლოს არის. ეს არის მათი მოქმედების სფერო. ევროკავშირის მონიტორინგის მისიაში ვერ შევა ადგილობრივი ადმინისტრაციასა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ურთიერთობათა სისტემის გაკონტროლება და მასში ჩაწვდომა. ისინი შეიძლება ამ რეგიონებში იყვნენ, მაგრამ ადგილობრივი ურთიერთობათა სისტემა მოქალაქეებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის საერთოდ ვერ გაიგონ. ჩვენც, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოქალაქეები ვართ, რომ ჩავიდეთ, მოგვეჩვენება, მიძინებულია ყველაფერი, მაგრამ, ვინც იქ ცხოვრობს და იმ რეალობის ნაწილია, მან მშვენივრად იცის, რა ხდება. მათ სახელებითა და გვარებით იციან, ვინ რას აკეთებს და რას უნდა ელოდოს, ამდენად, რას უნდა მიხვდეს დამკვირვებელი, რომელიც იქ ჩავა ან იქ არის.

***— როგორ ფიქრობთ, არჩევნების შემდეგ კითხვის ნიშნები თუ გაჩნდა და ეს ოპოზიციამ დაასაბუთა, რა შედეგებს უნდა ველოდოთ სტრატეგიული პარტნიორისგან — ამერიკისა და ევროპისგან?***

— ამერიკა ბოლო დროს ძალიან გააქტიურდა, ვგულისხმობ მათ გაფრთხილებებსა თუ ღია კრიტიკას. ეს ხელისუფლებაში ძალიან დიდ გაღიზიანებას უკვე იწვევს. ყველა ელოდება სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიურ ანგარიშს საქართველოში ადამიანის უფლებათა სფეროში არსებულ მდგომარეობაზე. მისი გამოქვეყნება დაგვიანდა კიდეც. ჩემი ვარაუდია, რომ იმ დოკუმენტში საკმაოდ სერიოზული კრიტიკა იქნება.

***— ადეკვატური ინფორმაცია ექნება სახელმწიფო დეპარტამენტს?***

— რასაკვირველია.

***— ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის ტელეხიდი გაიმართა, სადაც ოპოზიციის ლიდერები მონაწილეობდნენ. ეს რისი მანიშნებელია ამერიკის მხრიდან?***

— იმის, რომ სიტუაცია ჩარჩოებიდან გამოდის და მისი დაბრუნება უნდათ იმ რელსებზე, რომ საქართველო, რომელსაც ამერიკა ხელს უწყობს, რომელსაც მხარს უჭერს, რომელსაც აფინანსებს, რომ არა მხოლოდ საუბრობდეს დემოკრატიზაციაზე და სინამდვილეში სხვა რამეს აკეთებდეს, არამედ სიტყვისა და საქმის თანხვედრა იყოს. ეს არჩევნები იქნება ტესტი და თავადაც უკვე ხმარობენ ამ ტერმინს. საქართველო აპირებს თუ არა დემოკრატიული გზით სვლას და როგორ წარიმართება ამერიკისა და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა? ამ კითხვებს ეს არჩევნები გასცემს პასუხს.

## გიგი უგულავამ უხუცეს პედიატრს აღდგომის დღესასწაული მიულოცა


გიგი უგულავა

თბილისის მერმა გიგი უგულავამ დღეს 92 წლის ექიმ-პედიატრს, ქეთევან ნოდიას აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა.

თბილისის მერიის ინფორმაციით, ქეთევან ნოდია 93 წლის წინ აფხაზეთში სწორედ აღდგომის დღესასწაულზე დაიბადა და, შესაბამისად, ამ დღესასწაულს მისთვის ორმაგი დატვირთვა აქვს. ცნობილი პედიატრისა და სახელმწიფო მოღვაწის ოჯახი წლების განმავლობაში სოხუმში ცხოვრობდა. მისი 42 წლის ვაჟი, ფიზიკის მეცნიერებათა კანდიდატი შოთა შარტავა აფხაზეთის ომს შეეწირა. იგი სოხუმში დაკრძალეს.

აფხაზეთის დატოვების შემდეგ, ქეთევან ნოდია, რამდენიმე ქალაქში ცხოვრობდა და საბოლოოდ თბილისში, ნაძალადევის რაიონში დასახლდა. გიგი უგულვამ მას აღდგომის დღესასწაულთან ერთად დაბადების დღეც მიულოცა. ქეთევან ნოდია 22 აპრილს 93 წლის გახდება. თბილისის მერმა მას ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე უსურვა.

ინტერპრესნიუსი

## თბილისი რუსეთის საგარეო უწყების განცხადებას პროვოკაციულს უწოდებს

ოფიციალური თბილისი „ღია ცის შესახებ შეთანხმების“ თაობაზე რუსეთის საგარეო უწყების განცხადებას პროვოკაციულს უწოდებს.


ნინო კალანდაძე

როგორც ქართულ ტელეკომპანიებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძემ განუცხადა, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება არის ცალსახად პროვოკაციული, „უფრო მეტიც, ძალიან აბსურდული და კლასიკური გამოხატულება რუსული დიპლომატიის, რომ ყოველი საკუთარი შეცდომა სხვას გადააბრალოს და ამით ეცადოს თავი გაიმართლოს“. „უხეშად რომ ვთქვათ, ეს არის მცდელობა გამოძვრნენ იმ სიტუაციიდან, რომელიც თვითონვე შექმნეს“, — განაცხადა ნინო კალანდაძემ.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ალექსანდრ ლუკაშევიჩმა საქართველოს მიერ „ღია ცის შესახებ შეთანხმების“ ვალდებულების შეწყვეტის შესახებ კომენტარი გააკეთა და ქართული მხარე რუსეთის უფლებების დარღვევაში დაადანაშაულა.

„ქართული მხარის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ნიშნავს იმას, რომ საქართველო საკუთარ ტერიტორიაზე არ დაუშვებს სადამკვირვებლო ფრენებს რუსეთის მონაწილეობით. თბილისის აღნიშნული გადაწყვეტილება წარმოადგენს „ღია ცის შესახებ შეთანხმების“ უხეშ დარღვევას. შეთანხმება არ ითვალისწინებს იმის შესაძლებლობას, რომ მოხდეს რომელიმე მონაწილე ქვეყნის უფლების თვითნებური, დისკრიმინაციული აკრძალვა. ქართული მხარის ქმედება, შეთანხმების მიხედვით, რუსეთის ფედერაციის უფლების დარღვევას გამოიწვევს და საშიშ პრეცედენტს ქმნის, რომელიც რთულ სიტუაციასთან ერთად, რაც საკონსულტაციო კომისიაშია შექმნილი, ღია ცის შეთანხმების რღვევას განაპირობებს“, — აცხადებს ლუკაშევიჩი.

ინტერპრესნიუსი

## ლაშა მაქაცარიამ აღდგომის დღესასწაული ჭიათურლებს მიულოცა


ლაშა მაქაცარია

იმერეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა — გუბერნატორმა ლაშა მაქაცარიამ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული ჭიათურის მადლიერების სახლის ბენეფიციარებს მიულოცა. მადლირების სახლს 100 მარტოხელა, მიუსაფარი მოხუცი ჰყავს. გუბერნატორი ჭიათურის მადლიერების სახლის შემდეგ კულტურის სახლსაც ესტუმრა და უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული მაღაროელებსაც მიულოცა. გუბერნატორის თქმით, მალე დაწესდება სამთოლეთა პროფესიული დღე, რომელსაც მაღაროელები ყოველწლიურად აღნიშნავენ.

გუბერნატორთან ერთად ჭიათურაში ქუთაისელი მომღერალი მარიტა როხვაძეც ჩავიდა. „ჯეოსტარი 2011“-მა ჭაითურლებს აღდგომის დღესასწაული საკუთარი სიმღერებით მიულოცა.

ინტერპრესნიუსი

## ზურაბ ჭიაბერაშვილი: ჯერ ბრაზიანად არ გამოვიყურები“


ზურაბ ჭიაბერაშვილი

„პირადად შევესწარი ერთ-ერთ კლინიკაში ასეთ ფაქტს. იმის გამო რომ კონკრეტულ სადაზღვევოს ჰქონდა კლინიკის დავალიანება, დაზღვევის მქონე ადამიანი კლინიკამ უკან დააბრუნა. მე ჯერ ახალი ვარ და ძალიან ბრაზიანად არ შეიძლება გამოვიყურებოდე, მაგრამ რაღაც პერიოდის მერე ამაზე უფრო მძიმე რეაქციები მექნება, ვიდრე ახლა მაქვს“, — განაცხადა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა გურჯაანში, ექიმებთან შეხვედრის დროს.

„მეორე რაც არის, თვითონ სამედიცინო მომსახურების ხარისხია. კონკრეტულ დაავადებებს აქვს თავისი პროცენტი, როცა შემთხვევები ფატალური შედეგით სრულდება, ამიტომ ჩვენ გვჭირდება კარგი ინფორმირება ჩვენი საზოგადოების, სად არის ასეთი შემთხვევა და სად ჰქონდა ადგილი ექიმის ან ექთნის შეცდომას. არ შეიძლება ყველა ასეთი შემთხვევა ვაქციოთ ექიმების წინააღმდეგ ჯვაროსნულ ლაშქრობად. ჩვენ ახლა გადავალთ სისტემაზე, რომელშიც ყოველგვარი მედია აჟიოტაჟის გარეშე იქნება საჯარიმო სანქციები. ახლა თუ დაგვტოვებენ ჩვენი მეგობრები, შევძლებ, რომ უფრო დეტალებში წავიდე,“ — აღნიშნა მინისტრმა, რის შემდეგაც ჟურნალისტებს დარბაზი დაატოვებინეს.

ზურაბ ჭიაბერაშვილი ამ დღეებში გურჯაანში იმყოფებოდა. მან სოციალური მომსახურების სააგენტოს ადგილობრივი ოფისი დაათვალიერა, შემდეგ სოფელ გურჯაანში გოგიაშვილების სოციალურად დაუცველ ოჯახს ესტუმრა და ბოლოს ფრანგულ — ქართულ სამედიცინო ცენტრში „კახეთი — იონი“ ექიმებს შეხვდა. შეხვედრას კახეთის გუბერნატორი გიორგი ღვინიაშვილი, საფრანგეთის ურთიერთთანამშრომლობის სამინისტროს კაბინეტის უფროსი და „კახეთი-იონის“ დამფუძნებლებიც ესწრებოდნენ.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი

# ხრისტო სტოიჩკოვმა მადრიდს ატომური ბომბი უსურვა

1996 წელს „კამპ ნოუს“ სტადიონზე ტრადიციული წინასასეზონო გუნდის წარმოდგენა გაიმართა. სტადიონის ოვაციების ქვეშ ტრიბუნისქვეშა ოთახებიდან გამორბოდნენ „ბლაუგრანის“ ლიდერები — ხოსეპ გვარდიოლა და მიგელ ანჰელ ნადალი, თბილად შეხვდნენ აგრეთვე ახალ ფეხბურთელებსაც, — რონალდო და პიცი, ჯოვანი და ვიტორ ბაია. გუნდი მთელი შემადგენლობით წარსდგა მაყურებლის წინაშე და ცენტრალური წრის ირგვლივ მოეწყო. ჩამოვარდა სიჩუმე — მინდორზე არ გამოვიდა მხოლოდ ერთი მოთამაშე. ალბათ ის, რომელსაც ყველაზე მეტად ელოდნენ.

ის კი ამ დროს ჩაცუცქული იჯდა „კამპ ნოუს“ კატაკომბებში და არ შეეძლო მინდორზე გამოსვლა. ფეხბურთელს გადამეტებული ემოციებით გამოწვეული ცრემლები ახრჩობდა. გვერდით მდგომი დაცვის თანამშრომლები კი თვალს არიდებდნენ მას, — ისინი არ იყვნენ ნაჩვევი „ბარსელონას“ მრავალწლიანი ლიდერის ასეთ მდგომარეობაში ხილვისა. ის კი იჯდა და ტიროდა, და ვერაფერს ვერ უხერხებდა თავის თავს; მხოლოდ სველი ლაქები, როგორც წვიმა ფარავდა მოლურჯო-ბროწეულისფერ ფორმას.ბოლოს ადგა, შეიმშრალა სველი თვალები, თავისებურად გაიღიმა, და კატალონიურ ნაციონალურ კოსტუმებში გამოწყობილ ქალს და მამაკაცს ხელკავი გაუკეთა.

სტადიონი უკვე აფორიაქებას იწყებდა, მოლოდინი ძალიან გრძელი და მოუთმენელი იყო, და ფეხბურთელის მიმართ სიყვარული, რომელიც ჯერ მოედანზე არ გამოჩენილიყო — ძალიან ძლიერი. სამხრეთი ტრიბუნა სკანდირებდა: „გამოდი, გამოდი!“, მაგრამ ის პირველმა ცენტრალურმა სექტორმა შეამჩნია. როდესაც საყვარელი სილუეტი დაინახეს, რომელიც ესე ნაცნობი, ოდნავ დათვისებური სიარულის მანერით მოაბიჯებდა, ცენტრალური სექტორის მაყურებლები თავისი ადგილებიდან წამოხტნენ. და როდესაც ის კატალონიურ ნაციონალურ კოსტუმებში გამოწყობილ წყვილთან ერთად გამოჩნდა მოედანზე მთელი სტადიონი ადგა თავისი ადგილებიდან. ფეხბურთელმა მისალმების ნიშნით ასწია ხელი, შემოტრიალდა ვიპ-ლოჟისკენ, „ბარსას“ ემბლემას მკერდზე აკოცა და თავი დაუხარა ჰოსე ლუის ნუნიესს. „ნოუ კამპის“ მიერ გამოხატული ოვაცია ისეთი ხანგრძლივი იყო, რომ დიქტორს ერთწუთიანი პაუზის გაკეთება მოუწია. და როდესაც ტრიბუნები ცოტა ჩაწყნარდა, გაისმა ასეულობით დინამიკებით გაძლიერებული ელვისებური ხმა: „ნომერი რვა, ხრისტო“... „სტოიჩკოვი!!!“ — ისეთ ექსტაზში წამოიძახა ტრიბუნებმა, რომ დიქტორის ხმაც კი ჩაახშო.

ერთი წლის განშორების შემდეგ ყველა დროის უდიდესი ბულგარელი ფეხბურთელი „ბარსელონაში“ დაბრუნდა.



1990 წელს, როდესაც სტოიჩკოვი პირველად მივიდა „ბარსელონაში“, კატალონიის დედაქალაქში ამ შენაძენმა მრავალფეროვანი რეაქცია გამოიწვია. 50-60 წლებში ესპანურ ფეხბურთში ლეგენდარული აღმოსავლეთ ევროპული ექსპანსიის შემდეგ, ფეხბურთელებს აღმოსავლეთ ევროპიდან აქ მხოლოდ დიდ დღესასწაულებზე თუ იხსენებდნენ. მაგრამ ნუნიესმა კროიფს მთელი კარტ-ბლანში მისცა და „მფრინავმა ჰოლანდიელმაც“ ისარგებლა ამით. კატალონიელ პუბლიკას ჯერ კიდევ არ ჰყავდა საქმეში ნანახი სტოჩკოვი და უკვე მის მიერ სიმპათიით იყო განწყობილი. ხალხის ყურამდე მიაღწია იმ ფაქტმა, რომ ბულგარელმა ფორვარდმა 7.000 დოლარი (ეს თანხა იმ დროისთვის ეს ძალიან დიდი იყო) გაუგზავნა თავის პირველ მწვრთნელებს, — ოგნიან ატანასოვს და სავი სავოვს. ამას გარდა ენის შესასწავლად სტოიჩკოვმა ერთის მაგიერ ორი სპეციალისტი დაიქირავა. ესპანურის გარდა, როგორც სტოიჩკოვმა განაცხადა, მას სურდა რომ კატალონიურიც საფუძვლიანად შეესწავლა. მაგრამ კიდევ უფრო ძლიერად შეიყვარა მაყურებელმა სტოიჩკოვი მისი „რეალის“ შესახებ გამოთქმებისთვის, რომლებსაც ანალოგი არ ქონდა. თავის პირველ ინტერვიუში, „რეალის“ შესახებ კითხვაზე, სტოიჩკოვმა ცუდ ესპანურზე უპასუხა: „მე შესანიშნავად ვიცი კატალონიის ისტორია. მე ვიცი რა არის „რეალი“ „ბარსასთვის“ და „ბარსა“ „რეალისთვის“. თუ ხვალ მოიძებნება ისეთი ადამიანი, რომელიც მადრიდში ატომურ ბომბას ჩამოაგდებს, მე მას უბრალოდ ხელს ჩამოვართმევ“. დედაქალაქის გამოცემებმა იქვე მონათლეს სტოიჩკოვი ბულგარელ-კატალონიელ ნაციონალისტად და შოვინისტად.

ასეთი გამოთქმები სტოიჩკოვისთვის უცხო არ გახდა. ბულგარელი ფორვარდი არ გამოირჩეოდა დიდი მორიდებით და ამ მოურიდებლობის გამო ხშირად პრესის ფურცლებზე.

1992 წელთან სტოიჩკოვს აკავშირებს საუკეთესო მოგონებებიც და უდიდესი უსამრთლობაც. ამ წელს სპეციალისტების მიერ აღიარებული ფავორიტმა „ოქროს ბურთის“ მოპოვებაში, პირველობა დაუთმო მარკო ვან ბასტენს, რომელმაც მთელი კალენდარული წლის განმავლობაში მხოლოდ 20 მატჩი ითამაშა, სამაგიეროდ დეკემბერში, ხმის მიცემის წინ, შვედეთის „გეტებორგის“ კარებში 4 გოლი გაიტანა.

— მარკო უდიდესი ფეხბურთელია, მაგრამ ის ჩემზე მეტად არ იყო „ოქროს ბურთის“ ღირსი, — იტყვის შემდეგ სტოიჩკოვი.

სკანდალური ელფერი მიიღო „ბარსას“ და მოსკოვის „სპარტაკის“ ორთაბრძოლამ. სტოიჩკოვმა, მის მიერ მიცემულ ინტერვიუში გაიხსენა საბჭოთა ტანკების შესვლა სოფიაში და განაცხადა რომ ისე გადაუვლიდა „სპარტაკს“, როგორც იმ ტანკებმა მის ქვეყანას.

1996 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ არაორდინალური სტოიჩკოვი „აფეთქდა“, როდესაც ფედერაციამ გაანთავისუფლა ნაკრების მწვრთნელი დიმიტარ პანოვი. მან მარტო დამოუკიდებლად გამოხატა პროტესტი ამ, მისი აზრით, უსამართლობის მიმართ და მთელი წლის განმავლობაში იგნორირებდა ნაკრებში მიწვევებს.

ლუი ვან გაალთანაც ვერ გამოძებნა სტოიჩკოვმა საერთო ენა. ჰოლანდიელი მწვრთნელი მას როგორც ფეხბურთელს, რომელიც საროტაციო ბადეში შედიოდა, არ აღიქვამდა, შემდეგ საყოველთაოდ მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო სტოიჩკოვი დაცვის მარცხენა ფლანგზე ათამაშა. Aმის შემდეგ დაუმორჩილებელი სტოიჩკოვის შეჩერება ვერავინ შეძლო და ბულგარელმა ფეხბურთელმა კლუბთან თანამშრომლობა შეწყვიტა.

7 სეზონის განმავლობაში მოლურჯო-ბროწეულისფერ მაისურში, ხრისტო სტოიჩკოვმა მოწინააღმდეგის კარები 120-ჯერ აიღო. ის იყო ერთ-ერთი უსაყვარლესი ფეხბურთელი „ნოუ კამპზე“. გულშემატკივრების გულებში ის ყოველთვის დარჩება როგორც პირდაპირი და დაუმორჩილებელი ფეხბურთელი, რომელიც სულ წინ მიიწევდა, უკომპრომისო ხასიათით და ცხელი გულით. გამოირჩეოდა მუდმივი კამათით არბიტრებთან, რის შედეგადაც მოლურჯო-ბროწეულისფერ კარიერის განმავლობაში 55 ყვითელი და 10 წითელი ბარათი დაიმსახურა. ერთ-ერთი საუკეთესო მემარცხენე მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში. შედის მეოცე საუკუნის 100 საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში. „ბარსას“ საიუბილეო მე-100-ე გოლის ავტორი ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში. სტოიჩკოვი მხოლოდ 2000 წელს საბოლოოდ შეურიგდა იოჰან კროიფს და აღიარა, რომ ასეთი მწვრთნელის გარეშე არასდროს არ შედგებოდა როგორც დიდი ფეხბურთელი. რაც შეეხება ვან გაალს, მას ახლაც არ აღიქვამს მწვრთნელად. თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში სტოიჩკოვიუ ვან გაალზე წერს:

— ვან გალს არასდროს არ ესმოდა რა პოსტი ეჭირა მას კლუბში. მართალია ის ჯილდოებს იგებდა, მაგრამ ის ამავდროულად ანგრევდა ატმოსფეროს გუნდში. იმ დროს კი ეს „ბარსას“ ერთ-ერთი ძლიერი მხარე იყო. ეს კი თუ მწვრთნელია, უნდა იცოდეს. ვნანობ თუ არა რამეზე? კი, მაგრამ მე არასდროს არ ვეცემი სულით, იმიტომ რომ სულ გამოჩნდება მამაძაღლი, რომელიც მოინდომებს ჩემზე გადახტომას. მე რომ შემეძლოს თავიდან ყველაფრის დაწყება, არაფერს შევცვლიდი. ისევ იმ ადამიანად დავრჩებოდი.

ხრისტო სტოიჩკოვი ახლანდელ ფეხბურთს მოსაწყენს და უინტერესოდ თვლის და მიაჩნია, რომ ისეთი ფეხბურთი, რომელსაც მის დროს თამაშობენ, აღარ არის. საკმაოდ კრიტიკულ შეფასებებს აკეთებს ფეხბურთელების შესახებაც. კერძოდ, მისი ერთხელ კრიტიკის ქვეშ მოექცა ბრაზილიელი ემერსონი, რომელიც „თავისი სულელობით“ მიღებული ტრავმის გამო არ გაჰყვა ნაკრებს ჩემპიონატზე.

— მე ვთვლი რომ, ემერსონი ყველაზე დიდი იდიოტია პლანეტაზე, — თქვა სტოიჩკოვმა.

2004 წელს საბავშვო საფეხბურთო სკოლის საზეიმო გახსნაზე ბარსელონაში, მას კითხეს: „რატომ გადაწყვიტეთ სკოლის გახსნა მაინდამაინც აქ?“.

— იმიტომ რომ ზუსტად აქ, ბარსელონაში, სამუდამოდ დარჩება ჩემი გული, — უპასუხა სტოიჩკოვმა, რომელმაც ამგვარი სკოლა ჩიკაგოშიც გახსნა.

კარიერის შემდეგ სტოიჩკოვმა თავი სამწვრთნელო კარიერაშიც სცადა, მაგრამ მისი ხასიათის პატრონი ვერც წარმატებებს აღწევდა და ურთიერთობებსაც იფუჭებდა ფეხბურთელებთან. ამის გამო მისი სამწვრთნელო კარიერა დიდად წარმატებული არ გამოდგა.

# ყველაზე სკანდალური გერმანელი

შტეფან ეფენბერგი ფეხბურთელების იმ კატეგორიას მიეკუთვნება, ვისი სახელებიც არ ტოვებდნენ ყვითელი პრესის ფურცლებს. ყველაფერი კი იმიტომ ხდებოდა რომ, ის ძალიან ბევრს ლაპარაკობდა. მითუმეტეს ყოველთვის იმას არა, რაც ესიამოვნებოდა პარტნიორებს, მწვრთნელებს და გულშემატკივრებს.

ჯერ კიდევ ბავშვობაში პატარა შტეფანი თავისი გუნდის მწვრთნელებს თავს აბეზრებდა. ყველაფერზე თავისი აზრი უნდა გამოეხატა და რაც მთავარია — უსასრულოდ შეეძლო ამ აზრის მტკიცება. ეფენბერგის გარეგნული იერიც კი ამტკიცებდა მის ჯიჯიან ხასიათს — შეჭმუხნული წარბებიდან ჩხვლეტია და გამჭოლი გამოხედვა, არწივის ცხვირი და მუდმივად აწეწილი თმის ვარცხნილობა. სხვა სიტყვებით, ტიპიური რთული მოზარდი, რომელსაც თავისი მასწავლებლები მუდმივად ტერორში ყავდა და ზოგ-ზოგიერთ თავის კლასელებსაც არ აძლევდა გასაქანს. „ბოროტების“ ძირი კი, თუ ვიმსჯელებთ, მის აღზრდაშია, რომელშიც დიდი წვლილი მიუძღვის მამამისს, რომელიც უკმაყოფილო იყო იმით რომ მის შვილს როგორც უხეშს, ამაყს და ქედმაღალს მოიხსენიებდნენ. თვითონ ეფენბერგ-უფროსი თვლიდა, რომ მისი ბიჭი სამართლიანი და გულწრფელი ადამიანი იყო ნებისმიერ სიტუაციაში, რომელსაც არ შეეძლო, როგორც სხვებს, პირდაპირ პასუხს გაქცეოდა.

ამიტომაც, თავისი პირდაპირი გამონათქვამებისათვის ეფენბერგმა საკმაოდ მოკლე დროში დაიმსახურა ბუნდესლიგის ყველაზე არაპოპულარული ფეხბურთელის სახელი, რომელთანაც არ სურდათ რაიმე საერთო ქონოდათ მისი კლუბის პარტნიორებსაც კი. სწორედ ამან შეუშალა მის ეროვნულ ნაკრებში დამკვიდრებას ხელი ევრო-92 წლის წინ.

შტეფანის დებიუტი გერმანიის ნაკრების ფორმაში 1991 წელს შედგა, მაგრამ ძალიან მალე ბერტი ფოგტსი იძულებული იყო ის შემადგენლობიდან მოეკვეთა. აღმოჩნდა რომ ეს ნაკრების წამყვანი ფეხბურთელების მოთხოვნა იყო, რომლებსაც ახალგაზრდა 22 წლის ჰავბეკი აღიზიანებდა მუდმივი კრიტიკული გამოხტომებით როგორც მატჩის დროს, ასევე ვარჯიშისას. მაგრამ ეფენბერგის საფეხბურთო მონაცემები ხშირად გადაწონიდა მის ირგვლივ შექმნილ სკანდალურ იმიჯს. მისი კარიერის ტრაექტორია კი კლასიკურ სპირალს გავს: ის ხან მიდის გუნდიდან, ხან ბრუნდება მის შემადგენლობაში, მაგრამ ყოველ ჯერზე სულ სხვა ადამიანად.

პირველი პროფესიონალური კონტრაქტი მიონხეგლადბახის „ბორუსიასთან“ შტეფანმა 18 წლის ასაკში გააფორმა და ოთხი წლის შემდეგ კლუბის ლიდერი გახდა, მათთან ერთად გერმანიის სუპერთასი მოიპოვა. მაგრამ მისი გრძელი ენა არაერთხელ იყო კონფლიქტების მიზეზი, ამიტომაც ყველაფერი იმით დასრულდა, რომ „კვიცების“ ხელმძღვანელობამ თავისი საუკეთესო ნახევარმცველი დაუფარავი სიხარულით გაუშვეს მიუნხენის „ბაიერნში“, სადაც ზუსტად ის სიტუაცია განმეორდა, რაც მიონხეგლადბახში. სიტუაცია კიდევ იმით გართულდა, რომ ეფენბერგის მისვლის შემდეგ გუნდი გაცილებით ცუდათ თამაშობდა და რადგან შტეფანი პრესის მუდმივი ყურადღების ქვეშ იმყოფებოდა, პროპორციალურად გაიზარდა გარეთ გამოჟონილი არასასიამოვნო ისტორიების რიცხვიც. ამის შედეგად გულშმატკივრებში დამკვიდრდა აზრი რომ ყველა უბედურება მოდიოდა ახალი ფეხბურთელისგან, რომელის თვალსა და ხელს შუა ანგრევდა გუნდს და მისი გაგდება მოითხოვეს. ეს მოხდა მაშინ, როდესაც მოედანზე ეფენბერგი ობიექტურად ყველაზე ძლიერად გამოიყურებოდა, გულშემატკივრები ყოველ მის ბურთთან შეხებაზე სტვენას იწყებდნენ, რაც ფეხბურთელში კიდევ უფრო მეტ გაღიზიანებას იწვევდა.

როდესაც მისი ურთიერთობა პუბლიკასთან, მოთამაშეებთან და მწვრთნელ სორენ ლებრიუსთან მაქსიმუმამდე დაიძაბა, შტეფანმა საზღვარგარეთ თამაშს სურვილი გამოთქვა და ძალიან მალევე იტალიურ „ფიორენტინაში“ გადავიდა. მაგრამ მას აქაც არ გაუმართლა — „იებმა“ სერია ბ-ში გავარდნა მოახერხეს. ამას თან დაერთო, რომ ერთ-ერთ ვარჯიშზე მწვრთნელი შეეცადა დაეწყნარებინა გერმანელი ლეგიონერი და მათ შორის ჩხუბი დაიწყო.

საინტერესოა ის რომ, ამავე დროს ბერტი ფოგტსმა ეფენბერგი ამერიკაში გამართუ მსოფლიო ჩემპიონატში წაიყვანა, სადაც მისი აზრით შტეფანმა ყველაზე უაზრო საქციელი ჩაიდინა მის ცხოვრებაში — გულშემატკივრებს შუათანა თითი აჩვენა.



— იყო საშინელი სიცხე. ჩვენ კი ვეთამაშებოდით ბრწყინვალედ მომზადებულ კორეის გუნდს. ვიგებდით 3:0, მაგრამ მეორე ტაიმში დავილალეთ და მოწინააღმდეგემ გვაჯობა. რატომღაც ჩვენმა გულშემატკივარმა გადაწყვიტა რომ დამნაშავე მხოლოდ მე ვიყავი და როდესაც მწვრთნელმა შემცვალა, ვერ მოვითმინე შეურაცხყოფების კიდევ ერთი პორცია და გაბრაზებულმა ვაჩვენე ის რასაც მათზე ვფიქრობდი, — ასე დააკომენტარა ეს ეპიზოდი ეფენბერგმა შემდეგ თავის ავტობიოგრაფიაში.

არაწესიერი (უზდელური) ჟესტი, რომელიც ტელეკამერებმა დააფიქსირეს, ნიშნავდა ეფენბერგისა და ფოგტსის შორის და აგრეთვე გერმანულ საფეხბურთო კავშირთან ურთიერთობის დარღვევას, მაგრამ შტეფანის საფეხბურთო ნიჭმა კვლავ სძლია ყველა უსიამოვნებებს, რომელსაც ის თავის კლუბებს აყენებდა: ნახევარმცველის შეძენის უფლება კვლავ მიონხეგლადბახის „ბორუსიამ“ მოიპოვა, რომელსაც მოედნის ცენტრში პასის მიმწოდებელი არ ჰყავდა და ეფეც ყველაზე სერიოზული კანდიდატურა იყო. ასე წავიდა ეფენბერგის კარიერა მეორე წრეზე.

ფეხბურთელის ხელმეორედ გამოჩენა მიონხენგლადბახში გაცილებით წარმატებული აღმოჩნდა. მსოფლიო პირველობის ინცინდენტმაც აიძულა ეფენბერგი გადაეხედა თავისი ქცევის მანერებისთვის. ის შესამჩნევად წყნარი და გაწონასწორებული გახდა, კაპიტნის სამკლავური მიიღო, გამოჩნდა არა მარტო როგორც ნიჭიერი პლეიმეიკერი, არამედ გუნდის ლიდერი და ადგილობრივი გულშემატკივრებისთვის ყველაზე საყვარელი ფეხბურთელი. მართალია მიონხენგლადბახელებმა ჩემპიონატის მოგება ვერ შეძლეს, სამაგიეროდ ეფენბრგის დაბრუნებიდან პირველივე წელს გერმანიის თასი მოიპოვეს, რაც დღეისთვის ბოლო ჯილდო გუნდის ისტორიაში.

გასაკვირი არ არის რომ 1995 წლის წარმატების შემდეგ შესამჩნევად გააქტიურდნენ მდიდარი კლუბების მფლობელები, ყველანაირად უვლიდნენ ქვეყნის საუკეთესო ნახევარმცველს, მაგრამ ის არანაირად არ აპირებდა საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას. ასაბუთებდა ამას ყველაფერს იმით რომ, აქ მან ნამდვილი მეგობრები იპოვა, აქ იყო მისი ოჯახი და შეეძინა მესამე შვილი. მხოლოდ მეუღლის, მარტინას, რომელიც მისი პირადი მენეჯერის როლს ითავსებდა, დაჟინების შემდეგ ფეხბურთელმა გადაწყვიტა კიდევ ერთხელ ეცადა ბედი „ბაიერნში“ — ასე დასრულდა შტეფანის პროფესიული კარიერის მეორე წრე.

გერმანიის ყველაზე ტიტულოვან კლუბში მან კიდევ ოთხი სეზონი გაატარა, ევროპის ჩემპიონატის თასი მოიპოვა, სამჯერ ზედიზედ გახდა გერმანიის ჩემპიონი. 2002 წელს 34 წლის შტეფანმა დატოვა მიუნხენი და ერთი სეზონის განმავლობაში „ვოლფსბურგში“ გამოდიოდა, შემდეგ ერთი წლით ყატარში წავიდა, სადაც „ალ-არაბის“ ფერებს იცავდა. ასე რომ ცნობილი გამონათქვამის საწინააღმდეგოდ ეფენბერგს მოუწია ერთი და იმავე მდინარეში ორჯერ შესვლა. თანაც ორჯერ — მიონხენგლადბახში და მიუნხენში.

კარიერის დასარულს სტეფან ეფენბერგმა გადაწყვიტა ბოლომდე „გადარეულიყო“. მან ისე აქტიურად იზეიმა თავის სპორტიდან წასვლა, რომ გარისკა ლეგენდარულ და ბახუსის მოყვარულ ჯორჯ ბესტს დამსგავსებოდა. შამპანური, ლუდი და ფეიერვერკი ამას მხოლოდ ხელს უწყობს.

თავისი მეგობრის კლაუდიას დაბადების დღე და თავისი საბოლოო წასვლა ფეხბურთიდან ნახევარმცველმა ხელგაშლილად აღნიშნა. 15.000 ლიტრი ლუდი იქნა დალეული. ამ რაოდენობის ქაფიანი სასმელით გაუმასპინძლდნენ 38.000 გულშემატკივარს, რომლებიც ფეხბურთელის მეგობრების მონაწილეობით ამხანაგურ მატჩზე იყვნენ მოსულები. ამ დღეს ეფენბერგის ნაკრებმა ნაკლებადცნობილ გუნდთან ფრედ ითამაშა — 6:6. თვითონ სტეფანმა თქვა, რომ გადადის აშშ-ში, სადაც მისი ქალიშვილი სწავლობს და აქტიურად არის დაკავებული კალათბურთით.

ამბობენ, რომ ემიგრაციის სურვილი ფეხბურთელს, მას შემდეგ გაუჩნდა, როდესაც „ბაიერნისა“ და გერმანიის ნაკრების ყოფილი ვარსლვლავი შოკში ჩააგდო სასამართლოს გადაწყვეტილებამ, რომელმაც მას პოლიციელის შეურაწყოფისათვის ჯარიმის სახით 100.000 ევროს გადახდა დააკისრა. ქვემო საქსონიის სასამართლომ 36 წლის ეფენბერგს ასეთი მკაცრი განაჩენი იმისათვის გამოუტანა, რომ როდესაც მატ-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ვინ მიიღებს ეროვნულ და რუსთაველის პრემიებს?

ეკა ირემაშვილი

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ხელოვნებისა და მეცნიერების დარგებში შოთა რუსთაველის სახელობისა და საქართველოს ეროვნული პრემიების 2012 წლის კომისიამ განაცხადების მიღება დაასრულა. საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებით, შოთა რუსთაველის სახელობისა და ეროვნული პრემიების გაცემის რაოდენობა გაიზარდა. აღნიშნულთან დაკავშირებით მიხეილ სააკაშვილის ბრძანებულება „ხელოვნებისა და მეცნიერების დარგებში შოთა რუსთაველის სახელობისა და საქართველოს ეროვნული პრემიების დაწესების შესახებ" შევიდა ძალაში. დღემდე მხოლოდ შოთა რუსთავლის სახელობის სამი პრემიის გაცემა შეიძლებოდა, ხოლო პრეზიდენტის გადაწყვეტილებით მათი რაოდენობა 7-მდე გაიზარდა, თუმცა გასაცემი თანხა კვლავ 15.000 ათასი ლარი დაჯდა. რაც შეეხება საქართველოს ეროვნულ პრემიას, აქამდე სულ შვიდი ეროვნული პრემია გაიცემოდა, ახალი ბრძანებულების თანახმად კი, მათი რაოდენობა 10-მდე გაიზარდა, ხოლო თანხის ოდენობა კი კვლავ 10.000 ლარი დარჩა. აქედან გამომდინარე, თუკი დღემდე შოთა რუსთაველის სახელობისა და საქართველოს ეროვნული პრემიების გაცემისთვის 115.000 ათასი ლარი იყო საჭირო, მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ სახელმწიფოს აღნიშნული პრემიების გასაცემად 205.000 ლარი დასჭირდება.

როგორც კულტურის სამინისტროს წარმომადგენელმა ზაზა სოფრომაძემ „ახალ თაობას" განუცხადა, შოთა რუსთაველის სახელობისა და საქართველოს ეროვნული პრემიების მოსაპოვებლად მსურველთა განაცხადების მიღება მარტის ბოლოს შეწყდა. მისივე თქმით, შოთა რუსთაველის სახელობის და საქართველოს ეროვნული პრემიების მოსაპოვებლად კონკურსში კანდიდატთა წარდგენას თავისი პირობები და წესი აქვს: შოთა რუსთაველის სახელობისა და საქართველოს ეროვნული პრემიების მოსაპოვებლად კანდიდატთა წარდგენის უფლება ჰქონდათ იმ სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებს, შემოქმედებით და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც მოღვაწეობენ ხელოვნებისა და მეცნიერების დარგებში და აქვთ შესაბამისი ავტორიტეტი და კომპეტენცია. პრემიების მოსაპოვებლად შეიძლება წარდგენილი იყოს პირი მისი მოქალაქეობის მიუხედავად. პირი შეიძლება ერთდროულად წარდგენილ იქნეს ორივე პრემიის მოსაპოვებლად. კონკურსის პირობების თანახმად, პრემიების მოსაპოვებლად წარდგენილი კანდიდატი არ შეიძლება იყოს კომისიის წევრი. კონკურსებში ლიტერატურული ნაწარმოების წარდგენა დასაშვები იყო მხოლოდ მისი დასრულებული სახით გამოქვეყნების შემდეგ. მუსიკალური, სახვითი, თეატრალური, კინოხელოვნებისა და სატელევიზიო ნაწარმოების წარდგენა – მას შემდეგ, რაც მათ სრულად გაეცნობა საზოგადოება კონცერტებზე, გამოფენებზე, თეატრებში, კინოთეატრებში, პრესისა და რადიო-ტელევიზიის საშუალებებით, არქიტექტურის ნაწარმოებისა – მხოლოდ ობიექტის მშენებლობის დასრულების შემდეგ, მეცნიერების დარგში – მხოლოდ სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნებისა და/ან მისი პრაქტიკული განხორციელების შემდეგ. თუკი შემოქმედი ან მეცნიერი გარდაცვლილია, მას პრემია ენიჭება იმ შემთხვევაში, თუ იგი ამ პრემიებზე წარდგენილი იყო სიცოცხლეშივე, ან მოგვიანებით გამოქვეყნდა მისი ახალი, მანამდე უცნობი მნიშვნელოვანი ნაწარმოები.

შოთა რუსთაველისა და ეროვნულ პრემიებზე დაუშვებელია კომისიის მიერ უარყოფილი ნაწარმოების ხელმეორედ წარდგენა გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაწარმოები (ნაშრომი) ტექნიკური მიზეზების გამო არ იქნა დაშვებული საკონკურსოდ. კონკურსებში ავტორთა კოლექტივების წარდგენისას დასაშვებია წარდგენა არა უმეტეს 4 კანდიდატისა, გამარჯვების შემთხვევაში კი მათზე ფულადი ჯილდო თანაბრად განაწილდება.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში წარადგინეს ნაწარმოების, ნაშრომის აღწერა-დახასიათება იმ განსაკუთრებული ღირსებების აღნიშვნით, რის გამოც ხდება მისი ავტორის, შოთა რუსთაველის სახელობის ან საქართველოს ეროვნულ პრემიაზე წარდგენა, დოკუმენტს ხელი უნდა მოაწეროს წარმდგენი ორგანიზაციის ხელმძღვანელმა. ნაშრომს თან უნდა დაერთოს საკონკურსო ნაწარმოების შესახებ პრესაში გამოქვეყნებული რეცენზიები, აუდიო, ვიდეო, ფოტო და სხვა მასალები ნაწარმოებზე, ნაშრომზე წარმოდგენის შესაქმნელად, ლიტერატურული ნაწარმოები წარდგენილი უნდა იყოს 9 ეგზემპლარად, სამეცნიერო ნაშრომი – 5 ეგზემპლარად, სიმფონიური ნაწარმოების პარტიტურა – 1 ეგზემპლარად, კამერული მუსიკალური ნაწარმოების კლავირი – 3 ეგზემპლარად, ასევე აუდიო, ვიდეო ჩანაწერები.

ზაზა სოფრომაძე, კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი:

– ეროვნულ და რუსთაველის პრემიებზე განაცხადების მიღება დასრულებულია. ტრადიციულად, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიაზე განაცხადები მივიღეთ შემდეგ დარგებში – მხატვრული ლიტერატურა, მუსიკალური, კინო, სახვითი და თეატრალური ხელოვნება, არქიტექტურა, რუსთველოლოგია, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები.



*– ვის ენიჭება შოთა რუსთაველის სახელობის პრემია?*

– რუსთაველის პრემია ხელოვნების დარგში ენიჭება – ლიტერატურის, მთარგმნელობითი და კვლევითი, ხელოვნებისა და არქიტექტურის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებისათვის, რომელმაც მხატვრულ ღირსებათა გამო საერთო ეროვნული აღიარება მოიპოვა და გამსჭვალულია თავისუფლების, ჰუმანიზმისა და პატრიოტიზმის ზოგადსაკაცობრიო იდეალებით. პრემია მეცნიერების დარგში გაიცემა – მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული და საყოველთაოდ აღიარებული სამეცნიერო ნაშრომისათვის ან ნაშრომთა ციკლისათვის, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი შეაქვს მეცნიერების განვითარებაში. ასევე ხელოვნებისა და მეცნიერების დარგებში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, რომელმაც საერთო ეროვნულ აღიარება მოიპოვა და განსაკუთრებული წვლილი შეიტანა შესაბამისი დარგის განვითარებაში.

*– რა თანხას გასცემთ რუსთაველის პრემიაზე?*

– შოთა რუსთაველის სახელობის პრემია გაიცემა არა უმეტეს შვიდისა, თითოეული 15 000 ლარის ოდენობით. პირს, რომელიც მოიპოვებს შოთა რუსთაველის სახელობის პრემიას, ენიჭება შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის წოდება და გადაეცემა ლაურეატის დიპლომი, ოქროს მედალი და ფულადი ჯილდო.

*– ვის შეუძლია მოიპოვოს ეროვნული პრემია?*

– საქართველოს ეროვნულ პრემიაზე განაცხადები მივიღეთ შემდეგ დარგებში – მხატვრული ლიტერატურა, მუსიკალური, კინო, სახვითი და თეატრალური ხელოვნება, არქიტექტურა, ტელევიზია, პუბლიცისტიკა, კულტურული მემკვიდრეობა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ჰუმანიტარული მეცნიერებები, მედიცინა, ტექნიკა. საქართველოს ეროვნული პრემია ენიჭება, ხელოვნების დარგში – მაღალმხატვრული ნაწარმოებისათვის, რომელიც ასახავს თანამედროვეობის ყველაზე აქტუალურ პრობლემებს, ნერგავს თავისუფლებისა და მომავლის რწმენას და მოპოვებული აქვს საერთო ეროვნული აღიარება. ასევე მეცნიერების დარგში – მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული და საყოველთაოდ აღიარებული სამეცნიერო ნაშრომისათვის ან ნაშრომთა ციკლისათვის, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი შეაქვს მეცნიერების, ქვეყნის სულიერ, სოციალურ ან/და ეკონომიკურ განვითარებაში.

*– რა თანხით განისაზღვრება ეროვნული პრემია?*

– საქართველოს ეროვნული პრემია გაიცემა არა უმეტეს ათისა, თითოეული 10 000 ლარის ოდენობით. პირს, რომელიც მოიპოვებს საქართველოს ეროვნულ პრემიას, ენიჭება საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატის წოდება და გადაეცემა საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატის დიპლომი, ვერცხლის მედალი და ფულადი ჯილდო.

*– ვინ გამოავლენს საუკეთესოს?*

– სპეციალური კომისია, რომელიც უფლებამოსილია ცალკეულ საკითხთა შესწავლის, ასევე წარმოდგენილ ნამუშევართა (ნაწარმოებთა) რეცენზირებისა და ექსპერტიზის მიზნით შექმნას ქვეკომისიები, რომლებიც კომისიისათვის ამზადებენ საექსპერტო დასკვნას. კომისია შეარჩევს შოთა რუსთაველის სახელობისა და საქართველოს ეროვნული პრემიების ლაურეატობის კანდიდატებს.

*– რამდენი განაცხადი მიიღეთ წელს?*

– მთლიანობაში ორივე პრემიაზე 40-მდე განაცხადი მივიღეთ.

*– როდის იქნება ცნობილი საბოლოო შედეგები?*

– კონკურსის საბოლოო შედეგები და ლაურეატთა სია გამოქვეყნდება არა უგვიანეს 2012 წლის 26 მაისისა. კონკურსის საბოლოო შედეგების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს და პრემიების ლაურეატთა სიას საქართველოს პრეზიდენტი ამტკიცებს.

# გულანის რესტავრაცია დაიწყო

ეკა ირემაშვილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის რესტავრაციის ლაბორატორიაში მე-16 საუკუნის საღვთისმეტყველო-ლიტურგიკულ თხზულებათა კრებულის – გულანის – რესტავრაცია დაიწყო.

– საისტორიო ცენტრალური არქივის ძველ საბუთთა განყოფილებაში დაცული გულანი შესრულებულია ქაღალდზე, ნუსხურით, საზედაო ასოები – ასომთავრულით, სათაურები და მნიშვნელოვანი ადგილები – სინგურით და შედგება 707 ფურცლისა და 12 მინიატურისაგან. ხელნაწერი არქივში 1923 წელს შიო მღვიმის მონასტრიდან შემოვიდა. წიგნი აერთიანებს 10 ნაწილს – მარხვანი, საცისკრო სახარებანი, სადღესასწაულო, პარაკლიტონი (რვა ხმათა საგალობელი), ზატიკის (საგალობელთა წიგნი აღდგომიდან სულთმოფენობამდე) ნაწყვეტი და სხვა. გულანი შემკულია მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებული საუფლო დღესასწაულების სცენებით, აგრეთვე, წმინდანთა გამოსახულებებით. თითოეული მინიატურა იმდენად გამორჩეულია, რომ ეროვნულმა არქივმა მათი გამოყენებით ღია ბარათები გამოსცა. ხელნაწერის მინაწერიდან ირკვევა, რომ იგი ლევან I დადიანს ეკუთვნოდა და მისივე შეკვეთით გადაუწერია სასულიერო პირს – გაბრიელს. წიგნს ახლავს გვიანი ხანის რამდენიმე მინაწერიც, საიდანაც ჩანს, რომ გულანი კათალიკოს ნიკოლოზ ამილახორს შეუწირავს შიო მღვიმის მონასტრისათვის, რომელიც განახლებულა 1890 წლის 27 იანვარს მონასტრის მორჩილის, გიორგი გოგიბერაშვილის მიერ, – განაცხადა ეროვნული არქივის წარმომადგენელმა თეა ქიმერიძემ.

რესტავრაციის ლაბორატორიაში დაგეგმილია ხელნაწერის თითოეული ფურცლის რესტავრაცია-კონსერვაცია, ფურცლები გაიწმინდება და გამაგრდება ნაწერი, მინიატურების აღდგენაზე კი ფერწერის რესტავრატორი იმუშავებს. როგორც თეა ქიმერიძემ აღნიშნა, ხელნაწერის რესტავრაციას, სავარაუდოდ, ერთი წელი დასჭირდება.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა აკლდამის აღდგენასა და გამშვენებაში, დარეკეთ: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608. ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით. შედით მენიუში: სხვადასხვა—საქველმოქმედო—ხობის მონასტერი.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

2012 წლის 10 იანვრიდან ყველა მობილური ოპერატორიდან (ბილაინის გარდა) და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900. ბილაინის აბონენტებს ზარის განხორციელება შეუძლიათ 20 იანვრიდან).




იცხოვრეთ მომავლისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

ცფ,ფყრჯჰტრდბპბნტ,ბ5

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohf-ab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8 fy lfhtrjs5 vfusb7 ]tjctkb7 ,bkfbyb 2 &)) ^)&9 f[fkb mctkt,b 2 &)) ^)*9 cbkmytnb 2 ^)* ^)* ~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8
[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`



## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ. ფასი 40.000 აშშ დოლარი. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში ბიომასაჟით, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების, პროსტატიტის, ცისტიტის, ნევრიტების, რადიკულიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. მის: ქ.თბილისი, თ.აბულაძის ქ.20, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 551-25-45-35, ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ქირავდება ოროთახიანი კეთილმოწყობილი (ტელეფონი, ტელევიზორი, მაცივარი, გაზისა და წყლის გამათბობლები, ავეჯი) ბინა, ვაჟა-ფშაველას II კვარტალში. ტელ: 599-103-183.

# მეტალურგი საჩემპიონოდ შეიმართა, დილა სამეულს უმიზნებს

<u>დილა – ტორპედო 1:0</u>

**გორი.** თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონი

1:0 გურული (61)

**დილა:** სკენდერი, შ.კაშია, სალუქვაძე, ინწკირველი, მეგრელიშვილი, ნოზაძე (თოთაძე 82), ბეჟვაია, ს.გურული, კახელიშვილი, ახალკაცი (ხოჯავა 77), ვაწაძე (ბარაბაძე 90)

**ტორპედო:** მიგინეიშვილი, იოსელიანი, კვახაძე, გამეზარდაშვილი, გ.გურული, გ.დათუნაიშვილი, დილმელაშვილი (ფირცხალავა 69), დოლიძე (ვ.ბოლქვაძე 56), თარხნიშვილი (რიგვავა 81), საბანაძე, გოცირიძე

ტურის ცენტრალური მატჩის ბედი უცნაურმა ფაქტმა გადაწყვიტა. არავინ იცის, როდის შემოიყვანდა თემურ შალამბერიძე მოედანზე ერთადერთი გოლის ავტორ სანდრო გურულს, რომელიც სასტარტო განაცხადში არ იყო. მატჩი ირაკლი ლექვთაძეს უნდა დაეწყო, მაგრამ მატჩისწინა მოთელვისას კუნთი გაეჭიმა და მწვრთნელს მისი შეცვლამდე შეხვედრის დაწყებამდე მოუწია. ასე მოხვდა განაცხადში გურული, რომელიც 61-ე წუთზე ჯარიმიდან გოლის გატანა მოახერხა და გორელებს მოაგებინა. ჰო, ეს სანდროს პირველი გოლია საქართველოს ჩემპიონატში.

გორელებმა ამ მოგებით საქმე ისე გამოიკეთეს, რომ სამეულში მოხვედრის პრეტენზიაც გაუჩნდათ, ქუთაისელებმა კი იქ მოხვედრის შანსი თავად შეიმცირეს. ამასთან, „ტორპედო“ სტუმრად ისე რომ თამაშობდეს, როგორც საშინაო მატჩებში, ვინძლო, ჩემპიონობაზეც ეფიქრა.

კიდევ: გორში ფეხბურთი ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დაბრუნდა და განახლებულ „თენგიზ ბურჯანაძეზე“ დაახლოებით 4.000-მდე ქომაგი შეიკრიბა. მინდორი მშვენიერი იყო, მაგრამ თამაშს დალი სიცხემ დაასვა და მაინცდამაინც ტემპიანი და სანახაობრივი მატჩი არ გამოდგა. პირველ ტაიმში თანაბარი თამაში გაჩაღდა და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ გუნდები ერთმანეთს უგოლოდ დაშორდებოდნენ. გამოსარჩევი მათე ვაწაძის ორი შორეული დარტყმა იყო, რომელიც არაზუსტი გამოდგა. ქუთაისელებსაც ბურთი კი ეჭირათ, მაგრამ რატომღაც კარში დარტყმას „ერიდებოდნენ“.

შესვენების შემდეგ „დილა“ გააქტიურდა და ორჯერ გაიტანა კიდეც, თუმცა, პირველი გაუუქმეს. ომარ მიგინეიშვილმა ლექსო ინწკირველის საჯარიმო მოიგერია და ვაწაძემ დაამატა, თუმცა – თამაშგარე მდგომარეობიდან. მალევე ქუთაისელთა კარში კიდევ ერთი საჯარიმო დაინიშნა, თითქოს – არცთუ სახიფათო. გურულმა ბურთი საჯარიმოში გაგზავნა, მეკარეს კი რეაგირებაში ხელი ვაწაძემ შეუშალა და მიგინეიშვილმაც ნახტომი დააგვიანა.

ამის შემდეგ თამაში ისევ ჩაწყნარდა. გორელები თავსაც კარგად იცავდნენ და ცდილობდნენ, კონტრშეტევებზე თავიანთი შანსი გამოეყენებინათ, თუმცა, მწვავე გაგრძელებების მონახვა უჭირდათ. ქუთათურთაგან კი თუ ვინმე აქტიურობდა, ნიკა საბანაძე იყო, მაგრამ მარტოს უჭირდა მცველებთან განმკლავება. ერთია, ცდას არ აკლებდა და გატანა შორიდანაც სცადა, მაგრამ მეკარემ აულო.



### მატჩის შემდეგ

**გია გეგუჩაძე:**

– პირველ ტაიმში სადავეები ხელში გვეჭირა, შესვენების შემდეგ კი ორი შეცდომა დავუშვით და აქედან ერთი გოლის გაშვებად დაგვიჯდა. გუნდური თამაში აირია და ფეხბურთელები ინდივიდუალურად ცდილობდნენ შეტევას, ასეთ სიცხეში კი ამის გაკეთება ძნელია. „დილას“ ვულოცავ გამარჯვებას“.

**თემურ შალამბერიძე:**

– მაღალი ტემპი არ იყო, რასაც ორი მიზეზი აქვს: ჯერ ერთი, ყოველ მესამე-მეოთხე დღეს თამაში გვიწევს და თანაც სიცხე იყო. ამან განაპირობა გადაღლა. მოხარული ვარ, რომ გავიმარჯვეთ.

<u>მერანი – ზესტაფონი 4:4</u>

**მარტვილი.** ცენტრალური სტადიონი

0:1, 0:2 დვალი (6, 19), 1:2 ფონიავა (20), 1:3 მუჯირი (53), 2:3, 3:3 ჟვანია (62, 72პ), 3:4 გორგიაშვილი (74), 4:4 ჟვანია (89პ)

**მერანი:** ჯ.შეროზია, ჟვანია, იობაშვილი, მელიავა, სუხიაშვილი, დიდავა, ვართაგავა (წოწორია 42), ფონიავა, ე.გრიგალაშვილი, ტაპე (ამბროლაძე 66), ტორონჯაძე (ტორაძე 90)

**ზესტაფონი:** რ.კვასხვაძე, ღონღაძე, გ.ონიანი, კობახიძე, ელიავა, გორგიაშვილი, შარიქაძე, აფციაური (ს.ლომია 83), დ.მუჯირი (სამუშია 78), წინამძღვრიშვილი, დვალი (საჯაია 61)

ფეხბურთი მარტვილსაც პაუზის შემდეგ დაუბრუნდა, თუმცა, მოედანს განახლებისა და რეკონსტრუქციის არაფერი ეტყობა.

მატჩი ისე დაიწყო, ლიდერის გამარჯვება საეჭვო არ უნდა გამხდარიყო, მაგრამ იმერლებმა, რომლებიც მთელი მატჩის განმავლობაში იგებდნენ, მნიშვნელოვანი ქულები გაანიავეს. ექსპერტობას არ დავიჩემებთ და ამაში, ჩვენი აზრით, წვლილი გია ჭიაბრიშვილსაც მიუძღვის. ახალგაზრდა სპეციალისტი „ზესტაფონს“ სანახაობრივ ფეხბურთს კი ათამაშებს, მაგრამ შეცვლებში მოიკოჭლებს და უკვე მერამდენე თამაშია, ლიდერი მნიშვნელოვან ფორას თავადვე ამცირებს მდევართან.

უკვე მე-19 წუთისთვის სტუმრები ჯაბა დვალის დუბლით 2:0-ს იგებდნენ, თუმცა, იქვე პაპუნა ფონიავამ ანგარიშში სხვაობა მინიმალური გახადა – 1:2.

53-ე წუთზე დავით მუჯირმა ჩვეულ სტილში გაისროლა ჯარიმიდან და ბურთი ძელიდან ასხლეტით შევარდა კარში – 1:3.

თითქოს ჩემპიონმა საქმე მოითავა, მაგრამ ჭიაბრიშვილმა მოედანზე ჯაბა დვალის ნაცვლად ედიკ საჯაია შეუშვა. თითქოს გასაკვირიც არაფერია – ჭიაბრიშვილმა უპირატესობა იგრძნო და დაცვა გააძლიერა, მაგრამ, როგორც გაირკვა, საბედისწეროდ.

საჯაიას შესვლით საჯარიმოში ფეხბურთელების რაოდენობამ იმატა, გიგა ჟვანიას დარტყმის შემდეგ როინ კვასხვაძეს სწორედ მცველებმა შეუშალეს ხელი და ბურთიც კარში აღმოჩნდა – 2:3.

71-ე წუთზე მამუკა ტორონჯაძესთან ორთაბრძოლაში საჯაიამ თამაშის წესი დაარღვია და პენალტი გოლად ჟვანიამ აქცია – 3:3.

„მერანს“ გათანაბრებით დიდხანს არ გაუხარია. მარცხენა ფლანგიდან თორნიკე აფციაურმა ჩააწოდა მაღალი ბურთი, გამოცლაზე მეკარეც შეცდა, შემდეგ კი მცველიც და თორნიკე გორგიაშვილმა ისევ დააწინაურა სტუმრები – 3:4.

მარტვილელებმა ბოლომდე იბრძოლეს და 89-ე წუთზე „ზესტაფონის“ საჯარიმოში საჯაიამ ამჯერად გიგა ამბროლაძე წააქცია. ჟვანიამ ისევ ზუსტად დაარტყა და მასპინძლებს ქულა მოუტანა – 4:4.

<u>მეტალურგი – კოლხეთი 1:0</u>

რუსთავი. ფოლადის სტადიონი

1:0 ტატანაშვილი (90)

**მეტალურგი:** ბათიაშვილი, გ.კვარაცხელია, სეთურიძე (ს.თოდუა 46), რაზმაძე, გავაშელიშვილი, ი.მაისურაძე, სიხარულიძე, ქავთარაძე, დობროვოლსკი (ტატანაშვილი 58) გეწაძე (ჯაფარიძე 58), თექთურმანიძე

**კოლხეთი:** ა.მიქაბერიძე, ფოფხაძე, ლომაშვილი, ცხვიტარია, გაბუნია, გოგონაია, ქებაძე (ციცხვაია 77), გვალია, პ.დათუნაიშვილი, პავლიაშვილი (ცხადაია 65), ტუღუში (გულუა 90)

უცნაური სისტემის გამო „მეტალურგს“ ჩემპიონობის შესაშური შანსი გაუჩნდა. ქვემოქართლელები ლიდერთან 21 ქულას აგებდნენ და რვიანში ქულების გადანაწილებისა და ზედიზედ რამდენიმე მოგებული მატჩის შემდეგ „ზესტაფონს“ მხოლოდ ქულითღა ჩამორჩებიან.

თუმცა, „კოლხეთთან“ მოგება რთულიც აღმოჩნდა და საეჭვოც. 29-ე წუთზე მარჯვნიდან დაჩი ფოფხაძის ჩამოწოდებული ბურთი კარიდან გამოსულმა ზურაბ ბათიაშვილმა ვერ შეიმაგრა და პავლე დათუნაიშვილმა გაიტანა. თუმცა, მსაჯმა ილია პავლიაშვილის მხრიდან „მეტალურგის“ მეკარეზე თავდასხმა დააფიქსირა და ბურთი საეჭვოდ არ ჩათვალა.

არბიტრმა ძირითად დროს 5 წუთი დაამატა და „მეტალურგმა“ სამი ქულა მაინც მოიპოვა. ტატანაშვილს გოლის გასატანად ორი ცდა დასჭირდა – ჯერ მიქაბერიძემ კი აულო ბურთი, მაგრამ დამატებაზე ისევ ტატანაშვილმა ივარგა. ერთია, სანამ ტატანაშვილი ბურთს მიიღებდა, თითქოს თამაშგარე მდგომარეობაშიც იმყოფებოდა და ეს გოლიც საეჭვოდ გამოჩნდა.

<u>ბაია – დინამო 2:2</u>

ზუგდიდი. ბაიას საწვრთნელი ბაზა

1:0, 2:0 გაბედავა (22, 40), 2:1 რობერტინიო (56), ძარია (90)

**ბაია:** მაქაცარია, ტყემალაძე, გ.ქვარცხავა, ნ.შონია, კუტალია, სიხარულია (აქუბარდია 84), გაბედავა, აფაქიძე, შ.ლომია (კუკავა74), ზ.ქვარცხავა (პაჭკორია 58) აკობია

**დინამო:** ლორია, თომაშვილი, კვეკვესკირი, ხიზანეიშვილი (ალვარო 54) ხმალაძე (მუმლაძე 80) ოდიკაძე, კოშკაძე, ძარია, კოტო, რობერტინიო, იაგუე (ჩისკო 52)

თბილისის „დინამომ“ პლეი ოფში ზედიზედ მეშვიდე მატჩი ფრედ დაასრულა. როგორც ორი ტურის წინ, გიორგი დევდარიანის შეგირდებმა ანგარიში თამაშის მიწურულს გაათანაბრეს. თუმცა, განსხვავება ის არის, რომ მაშინ თბილისელებმა ერთბურთიანი დეფიციტი აღმოფხვრეს, ხოლო ახლა – ორბურთიანი.

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზესტაფონი | 21 | 11 | 7 | 3 | 38:22 | 40 |
| 2.მეტალურგი | 21 | 12 | 3 | 6 | 30:23 | 39 |
| 3.ტორპედო | 21 | 9 | 5 | 7 | 23:18 | 32 |
| 4.დინამო | 21 | 7 | 9 | 5 | 35:28 | 30 |
| 5.დილა | 21 | 7 | 6 | 8 | 25:23 | 27 |
| 6.კოლხეთი | 21 | 5 | 8 | 8 | 16:24 | 23 |
| 7.ბაია | 21 | 5 | 7 | 9 | 19:28 | 22 |
| 8.მერანი | 21 | 4 | 3 | 14 | 22:42 | 15 |

**ბომბარდირები:** ჯაბა დვალი (ზესტაფონი) – 18 ბურთი; ჩისკო (დინამო) – 12; დიმიტრი ტატანაშვილი (მეტალურგი) – 11; რევაზ გოცირიძე (ტორპედო) – 9.

### პლეი აუტი.

სიონი – მერცხალი ........................ 5:0
ჩიხურა – გაგრა .............................. 2:1
დინამო(ბ) – სპარტაკი ................ 1:0
გურია – ვიტ ჯორჯია ..................... 1:0

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩიხურა | 7 | 5 | 1 | 1 | 12:7 | 16 |
| 2.გურია | 7 | 4 | 2 | 1 | 13:9 | 14 |
| 3.ვიტ ჯორჯია | 7 | 4 | 1 | 2 | 7:4 | 13 |
| 4.სიონი | 7 | 3 | 2 | 2 | 14:8 | 11 |
| 5.სპარტაკი | 7 | 2 | 2 | 3 | 8:9 | 8 |
| 6.დინამო(ბ) | 7 | 2 | 2 | 3 | 5:9 | 8 |
| 7.გაგრა | 7 | 1 | 3 | 3 | 7:8 | 6 |
| 8.მერცხალი | 7 | 0 | 1 | 6 | 1:13 | 1 |

# 19-წლამდელები პორტუგალიიდან მეორე ადგილით ბრუნდებიან

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა პორტუგალიაში ოთხთა ტურნირის ბოლო ტურში სერბეთის ნაკრებს 3:2 სძლია და მეორე ადგილი დაიკავა.

ქართველებმა პირველი ტაიმი 0:1 წააგეს. შეიძლებოდა სხვაობა მეტიც ყოფილიყო, მაგრამ 43-ე წუთზე სერბებმა პენალტი ვერ გამოიყენეს – მეკარე დავით ლეგაშვილმა მოიგერია ბურთი. მეორე ნახევარში კი ოთარ კორღალიძის გუნდმა ზედიზედ 3 ბურთი გაიტანა. თავი ჯერ ლაშა პარუნაშვილმა გამოიჩინა, შემდეგ დავით გელაშვილმა და ბოლოს – ვაკო ყაზაიშვილმა. აქვე სერბებს ფეხბურთელიც გაუძევეს, თუმცა, კაცნაკლულებმა მაინც მოახერხეს სხვაობის შემცირება.

საქართველოს ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა:

ლეგაშვილი, სანდოხაძე, გაგნიძე, გრიგალაშვილი, პაპავა, პარუნაშვილი, ზარნაძე (რუხაძე 71), რეხვიაშვილი (კიკნაველიძე 71), ყაზაიშვილი, ფანცულაია (გელაშვილი 46; სილაქაძე 86), გეგეჭკორი (გაგოშიძე 46).

ტურნირის გამარჯვებული პორტუგალია გახდა, რომელმაც ბოლო ტურში საფრანგეთთან 0:0 ითამაშა და 7 ქულა მოაგროვა.

ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა ვაკო ყაზაიშვილი, რომელმაც 4 გოლი გაიტანა.

შეგახსენებთ, რომ კორღალიძის გუნდმა პირველ ტურში 0:5 წააგო მასპინძლებთან, შემდეგ საფრანგეთს ვაკო ყაზაიშვილის ჰეთ-თრიქით 3:0 სძლია.

### საბოლოო ცხრილი:

1.პორტუგალია 3 2 1 0 8:2 7
2.საქართველო 3 2 0 1 6:7 6
3.საფრანგეთი 3 1 1 1 2:3 4
4.სერბეთი 3 0 0 3 4:8 0

# ყველაზე სკანდალური გერმანელი

დასაწყისი მე-5 გვერდზე

ჩიდან სახლში მიიჩქაროდა, სიჩქარეს გადააჭარბა და პოლიციეს, რომელმაც ის გააჩერა „უკანალი“ უწოდა.

კანონის დამცველებმა არ დაუჯერეს მოთამაშეს, რომელიც ცდილობდა დაერწმუნებია ყველანი იმაში, რომ პოლიციელს მხოლოდ კეთილი საღამო უსურვა, მან კი ეს არასწორად გაიგო. ეფენბერგმა აპელაციას მიმართა, რომლის განხილვის შედეგი მხოლოდ ჯარიმის ცოტაოდენი შემცირება იყო.

– ეს რა ხუმრობაა. თქვენ ხომ მიცნობთ მე – მე რომ ვინმესთვის უკანალი დამეძახა, ჩემი სიტყვებზე უარს ნამდვილად არ ვიტყოდი, – აღშფოთდა ეფენბერგი.

მართლაც და, ვეტერანი განთქმულია თავისი პირდაპირობით და ძირითადათ არ იტვირთება კეთილშობილი გამოთქმების არჩევით. რამოდენიმე წლის წინ, მაგალითად, მან გერმანიის უმუშევრები სიზარმაცეში დაადანაშაულა. მისმა წიგნმა „მე მოვყევი ყველაფერზე“ დიდი ხმაური გამოიწვია თავისი ზედმეტი გულახდილობით. ამ წიგნში მოხვედრილი სკანდალებით გახდა ცნობილი, თუ როგორ ცემა ფეხბურთელმა ახალგაზრდა ინგლისელი გოგონა ღამის დისკოთეკაზე და ხმაურიანი განქორწინება ცოლთან ახალი გატაცების გამო. ჰო, ეფეს მეორე ცოლს ცალკე პრობლემები შეექმნა ზემოთ ნახსენებ პოლიციელთან კონფლიქტის გამო ქმრის სასარგებლოდ ორჯერ ცრუ ჩვენების მიცემისთვის. ქალის ცემა დისკოთეკაზე ერთი შემთხვევა არ ყოფილა ეფენბერგისთვის, ბარში მანდილოსნის ცემისთვის მან ერთხელ 167.000 მარკა გადაიხადა.

ეხლა ეფენბერგი ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს თავის მეორე ცოლთან, კლაუდიასთან ერთად, რომელიც მან თავის ყოფილ პარტნიორს „ბაიერნში“ ტომას შტრუნცს წაართვა: ესეც კიდევ ერთი სკანდალური ისტორია იყო. პირველი ქორწინებიდან მას სამი შვილი ყავს. პირველ მეუღლე მარტინასთან ის საკმაოდ დიდ ხანს ინარჩუნებდა საქმიან ურთიერთობებს, რადგან, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ის მისი აგენტი იყო. სათამაშო კარიერის დასრულების შემდეგ კი ექსმეუღლეების ურთიერთობის არანაირი აზრი არ ქონდა.

## შედეგები

<u>ფეხბურთი</u>

**ინგლისი. პრემიერლიგა**

მანჩესტერი-ასტონ ვილა 4:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ესპანიოლი-ვალენსია ........ 4:0
სარაგოსა-გრანადა ........ 1:0
ბეტისი-ოსასუნა ........ 1:0
მალაგა-სოსიედადი ........ 1:1
ვილიარეალი-რასინგი ........ 1:1
ბილბაო-მალიორკა ........ 1:0
რაიო-ატლეტიკო ........ 0:1

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

სელტა-დეპორტივო ........ 2:3
ხიმნასტიკი-ალკორკონი ........ 0:2

**გერმანია. ბუნდესლიგა**

შალკე – დორტმუნდი ........ 1:2
ბაიერნი – მაინცი ........ 0:0
ჰამბურგი – ჰანოვერი ........ 1:0
კაიზერი – ნიურნბერგი ........ 0:2
ვოლფსბურგი – აუგსბურგი ........ 1:2
ლევერკუზენი – ჰერტა ........ 3:3
გლადბახი – კიოლნი ........ 3:0
ფრაიბურგი – ჰოფენჰაიმი ........ 0:0

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბოხუმი-მიუნხენ 1860 ........ 2:2
ინგოლშტადი-კარლსრუე ........ 2:1
პადერბორნი-კოტბუსი ........ 3:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ლილი-აიაჩო ........ 4:1
ლორიენი-მონპელიე ........ 2:1
ნანსი-ბორდო ........ 2:2
სოშო-დიჟონი ........ 1:0
სენტ ეტიენი-ბრესტი ........ 2:1
ვალანსიენი-ევიანი ........ 0:3
ოსერი-პსჟ ........ 1:1

**ჰოლანდია. ეპედივიზიონი**

გრონინგენი-როდა ........ 0:1
აიაქსი-გრააფსხაპი ........ 3:1
უტრეხტი-ვენლო ........ 4:2
ვიტესი-დენ ჰააგი ........ 1:0
ჰერაკლესი-ვალვაიკი ........ 1:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

**ა ჯგუფი**

სპარტაკი-რუბინი ........ 2:0
ანჟი-დინამო ........ 0:1

**ბ ჯგუფი**

ნალჩიკი-ვოლგა ........ 3:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

სელტიკი-ჰართსი ........ 1:2

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სერვეტი-სიონი ........ 2:2
ციურიხი-ლუცერნი ........ 0:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

აუსტრია-რაპიდი ........ 0:0

**ბელგია. პროლიგა**

**პლეი-ოფი**

ბრიუგე-გენკი ........ 1:0
კორტრაიკი-სტანდარდი ........ 1:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

**პლეი ოფი**

ფენერბახჩე-ტრაბზონი ........ 2:0
სივასი-ბურსა ........ 4:0

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

იაბლონეცი-დუკლა ........ 0:2
ბოჰემიანსი 1905-ბოლესლავი ........ 0:3
სიგმა-პრიბრჟამი ........ 4:4
ჟიჟკოვი-პლზენი ........ 0:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ლეხი-ლეჩნა ........ 2:1
რუხი-გურნიკი ........ 0:0

**დანია. სუპერლიგა**

ნორდსიელანდი-სილკებორგი ........ 2:1
კიოგე-კოპენჰაგენი ........ 0:5
ლუნგბიუ-სონდესრიისკე ........ 0:4
ჰორსენსი-ბრონდბიუ ........ 2:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

სირიანსკა-აიკი ........ 0:1
გიოტებორგი-იორებრო ........ 2:2
მიალბი-ატვიდაბერგი ........ 2:0

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ალესუნდი-ოდ გრელანდი ........ 2:1
ბრანი-სტრომგოდსეტი ........ 1:2
სონგდალი-ჰაუგესუნდი ........ 1:1
ტრომსო-ულფი ........ 3:1
ლილესტრიომი-ვალერენგა ........ 1:1

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ჰიკი-მარიეჰამნი ........ 3:1
ჰონკა-ვპს ........ 1:1
კუუპიო-ჯჯკ ........ 2:2
ლახტი-ჰაკა ........ 1:0
ტპს-მიუპა ........ 0:1

<u>კალათბურთი</u>

**ნბა. რეგულარული სეზონი**

ნიუ იორკი-მაიამი ........ 85:93
ლეიკერსი-დალასი ........ 112:108(ოტ)
ატლანტა-ტორონტო ........ 86:102

*ზაზა ფაჩულიას ტრავმის გამო არ უთამაშია*

დეტროიტი-ჩიკაგო ........ 94:100
კლივლენდი-ორლანდო ........ 84:100
საკრამენტო-პორტლენდი ........ 104:103
შარლოტი-ბოსტონი ........ 82:94
ნიუ ორლეანი-მემფისი ........ 88:75
დენვერი-ჰიუსტონი ........ 101:86

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ჩრდილოეთ კორეის შეიარაღებული ძალები საბრძოლო მზადყოფნაშია

ჩრდილოეთ კორეის მიერ რაკეტის ორბიტაზე გაყვანა წარუმატებლად დასრულდა. უცხოური მედიის ცნობით, რაკეტის ორბიტაზე გაყვანა დღეისათვის იყო დაგეგმილი, მაგრამ შორი მოქმედების რადიუსის „ინხა-3“ აფრენიდან ორ წუთში, ორ ათეულზე მეტ ნაწილად და-



იშალა. რაკეტის ნაწილები აფრენის ადგილიდან 200 კილომეტრში, ოკეანეში ჩავარდა.

მომხდარის მიზეზებზე ოფიციალური ფხენიანის მხრიდან ჯერ ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

რაკეტის გაშვება ჩრდილოეთ კორეის რესპუბლიკის პირველი ხელმძღვანელის, კიმ ირ სენის დაბადებიდან 100 წლის იუბილეს ეძღვნებოდა.

ამასთან დაკავშირებით, ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლებამ ქვეყნის შეიარაღებული ძალები სრული შემადგენლობით საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანა. ამის შესახებ სამხრეთ კორეის თავდაცვის მინისტრ კიმ კვან ჩჯინზე დაყრდნობით ინფორმაციას სააგენტო „ფრანს-პრესი“ ავრცელებს.

სააგენტოს რესპონდენტი ვარაუდობს, რომ ჩრდილოეთ კორეის ეს გადაწყვეტილება სწორედ რაკეტა „ინხა 3“-ის დღეს განხორციელებულ წარუმატებელ გამოცდას უკავშირდება.

ჩრდილოკორეის მიერ რაკეტის გამოცდის ფაქტი საერთაშორისო თანამეგობრობამ უკვე დაგმო.

გაეროს უშიშროების საბჭო ამ საკითხზე რიგგარეშე სხდომისათვის ემზადება.

ჩრდილოეთი კორეა, ოფიციალურად კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა ქვეყანა აღმოსავლეთ აზიაში, უკავია კორეის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთი ნაწილი. მისი დედაქალაქი და უდიდესი ქალაქია ფხენიანი.

კორეის დემილიტარიზებული ზონა წარმოადგენს ბუფერულ ზონას ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის. მდინარეებზე ილუცზიანსა და ტუმენზე გადის საზღვა-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# პატრიარქი ეკლესიის საძირკველს გაჭრის

დასაწყისი მე-12 გვერდზე

სავანე აშენდება. სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე განთავსდება საერთაშორისო საგანმანათლებლო ცენტრი, ღვთისმშობლის მუზეუმი, მომლოცველობის სამსახური და პილიგრიმთა სასტუმრო. ასევე დაარსდება, მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლი და სარეაბილიტაციო ცენტრი. უკვე ცნობილია ტაძრის არქიტექტურული პროექტი, რომლის პრეზენტაციაც ეროვნულ მუზეუმში გაიმართა. პროექტი ომარ ნაფეტვარიძეს ეკუთვნის. რეჟისორმა ლევან კოღუაშვილმა მოამზადა ვიდეო-კლიპი, რომელიც 2011 წლის 12 მაისის ტაძრის საძირკვლის კურხევას ასახავს და ისტორიული მშენებლობის მნიშვნელობის შესახებ გვიამბობს.

ტაძრის საძირკველის გაჭრა, 17 აპრილს, 18:00 საათზე გაიმართება, მრევლს კი მეორე დღესაც შეეძლება ამ ტაძრის მშენებლობაში სიმბოლურად მიიღოს მონაწილეობა.

– მახათას მთაზე ტაძრის მშენებლობის აქციაში 145 ათასი ადამიანია გაწევრიანებული. ისინი გაწევრიანებული არიან ფონდში „ივერიისა“ და სპეციალურად შექმნილ ანგარიშზე ტაძრის ასაგებად თანხას ყოველთვიურად რიცხავენ. ტაძრის მშენებლობის თარიღი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ „ქტიტორთა სათათბიროს“ შეხვედრაზე გაახმოვანა. „ქტიტორთა სათათბიროში“ არიან ცნობილი ადამიანები და მომავალში სათათბირო კიდევ უფრო გაიზრდება. „ქტიტორთა სათათბიროს“ წევრები არიან – გურამ დოჩანაშვილი, რუსუდან ფეტვიაშვილი, ლაშა თაბუკაშვილი, ლია სტურუა, ნინო ქაჯაია, ლევან კოღუაშვილი, დავით ლორთქიფანიძე, კოტე ჯანდიერი, ნინო სუხიშვილი, ანზორ ერქომაიშვილი, ელდარ შენგელაია, ნიკოლოზ რაჭველი. ისინი გააგებინებენ საზოგადოებას, თუ როგორ მიმდინარეობს მშენებლობა. ხალხმა უნდა გაიგოს, რომ ეს არ არის უბრალოდ ეკლესიის და სახლის მშენებლობა, ეს არის საქართველოს სულიერი სიმდიდრე და ტაძარი. ფონდი „ივერიისა“ უკვე ჩამოყალიბდა და მისი საშუალებით 17 აპრილს ტაძრის მშენებლობა დაიწყება. მახათას მთაზე ტაძრის მშენებლობას სიმბოლური და პრაქტიკული ხასიათი აქვს, – განაცხადა პაატა ბურჭულაძემ.

ტაძრის არქივში დაცული იქნება ორი წიგნი – ცოცხალთა და გარდაცვლილთა, სადაც ჩაიწერება აღმშენებელთა გვარ-სახელები. ტაძრის საძირკვლის გაჭრამდე და მშენებლობის დაწყებამდე, მთელი რიგი მოსამზადებელი ეტაპები ჩატარდა – სამების საკათედრო ტაძარში მარმარილოს ფილა „ქრისტე არს ძლევაი“ და ათონის მთიდან, მონასტერ „ივერონიდან“ ჩამოტანილი მიწა დააბრძანეს. ჯგუფის ხელმძღვანელმა, ფონდის „ივერიისა“ დამფუძნებელმა, პაატა ბურჭულაძემ განაცხადა, რომ ეს ფილა და მიწა ფონდის ჯგუფმა, ათონის მთაზე მესამედ სტუმრობისას წამოიღო.

– ჩვენი ჯგუფი 2012 წლის დასაწყისში იმყოფებოდა ამ მონასტერში პატრიარქის ლოცვა-კურთხევით. ბერებმა ჩვენ გადმოგვცეს ფილა, რომელსაც აწერია „ქრისტე არს ძლევაი“, ასევე მიწა. ჩვენ ეს ფილა და მიწა დავაბრძანეთ სამების ტაძარში, ხოლო 17 აპრილს გადავაბრძანებთ მახათას მთაზე, სადაც იწყება ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის მშენებლობა. ეს ფილაც და მიწაც ტაძრის საძირკველში ჩაბრძანდება. ფილა „ქრისტე არ ძლევაი“ და ივერონის მონასტრის მიწა – ხატის „საქართველოს იმედი“ გვერდით არის დაბრძანებული, – განაცხადა პაატა ბურჭულაძემ.

მახათას მთაზე მშენებარე ტაძრის მშენებლობაში კულტურის წარმომადგენლებიც ერთვებიან. მათი ჩართვა საქართველოს პატრიარქის, ილია მეორის კურთხევით ხორციელდება.

– თბილისში, მახათას მთაზე შენდება ივერიის ღვთისმშობლის ხატის ტაძარი და სავანე. ეს არის მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენს ისტორიაში. ყოველი ქართველი, როცა შევა ამ ტაძარში, შევა თავის აშენებულ ღვთის სახლში, – აცხადებს მისი უწმინდესობა.

მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით პაატა ბურჭულაძის მიერ დაარსდა ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობის ფონდი „ივერიისა“, რომელიც სათავეში ჩაუდგა აღნიშნულ პროექტს. მისი ოფიციალური წარდგენა გაიმართა 2010 წლის 14 სექტემბერს. ფონდის მიერ შემოთავაზებული უნიკალური სქემა ყველა ადამიანს აძლევს აქციაში თანაბარი მონაწილეობის საშუალებას. ნებისმიერი შემომწირველი, შეწირული თანხის ოდენობის მიუხედავად, 1 ლარს წირავს თავის სახელზე, ხოლო დანარჩენ თანხას – თავისი ახლობლების, ოჯახის წევრების, გარდაცვლილი წინაპრების ან სოციალურად დაუცველი ადამიანების სახელზე, ვისაც არ აქვს მატერიალური საშუალება შეეწიოს ტაძრის მშენებლობას. სწორედ ამაში მდგომარეობს აქციის თანასწორობის უნიკალური პრინციპი. იქმნება ცოცხალთა და გარდაცვლილთა წიგნი, რომელშიც ტაძრის აღმშენებელი მილიონობით ქართველის გვარ-სახელი ჩაიწერება. პირველი შესაწირი ამ ტაძრის მშენებლობისთვის თავად საქართველოს პატრიარქმა გაიღო თავისი წინაპრების, საქართველოს მეფეებისა და საქართველოს კათოლიკოს პატრიარქების სახელზე.

– მახათას მთაზე, ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარს მთელი ჩვენი საზოგადოება, საქართველოში მცხოვრები ხალხი და ქართული ემიგრაცია ერთად აშენებს. იქმნება ცოცხალთა და გარდაცვლილთა წიგნი, რომელშიც ტაძრის აღმშენებელი მილიონობით ქართველის გვარ-სახელი ჩაიწერება. სახალხო აქციაში უკვე ათასობით ადამიანია გაწევრიანებული! ჩვენ ერთად ავაგებთ ტაძარს, რომელიც გაგვაერთიანებს! ისტორიული მშენებლობა 17 აპრილს იწყება! 2010 წლის 24 მაისს ფონდ „იავნანას“ აქციაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ქართველ ერს აუწყა ისტორიული მშენებლობის შესახებ და კურთხევა მოგვცა ყველას განურჩევლად ეროვნებისა, წოდებისა, განათლებისა თუ ეკონომიკური მდგომარეობისა, გავერთიანდეთ და თანასწორი წვლილის შეტანით ერთად ავაშენოთ ეს უდიდესი სულიერი სავანე. ეს მართლაც უნიკალური მშენებლობა და სახალხო აქციაა, რადგან ტაძარს მთელი საზოგადოება, საქართველოში მცხოვრები ხალხი და მთელი ქართული ემიგრაცია ერთად აშენებს. მსოფლიოში მრავალი ტაძარი აშენებულა რომელიმე ორგანიზაციის ან ბიზნესმენის თანადგომით, მაგრამ მახათას მთაზე ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი გამორჩეულია თითოეული ჩვენგანის თანაბარი მონაწილეობით და იგი ჭეშმარიტად ქართველი ხალხის ერთიანობის, სიყვარულისა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისადმი გულითადი თაყვანისცემის სიმბოლოდ იქცევა. ამ მშენებლობაში მთავარი სწორედ ჩვენი ერთიანობაა ღვთისმშობლის გარშემო, რომელიც სულიერად გამთლიანებულ ერს გაუძღვება ღვთისაკენ მიმავალ გზაზე. მახათას მთაზე ღვთისმშობლის სავანის აგებით, ყოველი ჩვენგანი უპირველეს ყოვლისა, ააგებს საკუთარ სულიერ ტაძარს, თავად გახდება ტაძარი ღვთისა, ჭურჭელი სულისა წმიდისა, რისთვისაც არის კიდეც მოწოდებული ადამიანი. მახათას მთაზე სამონასტრო კომპლექსთან ერთად განთავსდება ასევე საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში ქრისტიანული სწავლების გავრცელებას, თავშესაფარი ობოლი და მზრუნველობამოკლებული ბავშვებისათვის, მონასტერთან ასევე დაფუძნდება ნარკოლოგიის სარეაბილიტაციო ცენტრი, – განაცხადა პაატა ბურჭულაძემ.

2011 წლის 12 მაისს, ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მახათას მთაზე, მთავარი ტაძრის საძირკველი აკურთხა. ცერემონიალზე დასასწრებად, საქართველოს ოცდათვრამეტივე ეპარქიის მრევლი ჩამოვიდა, თბილისს მსოფლიო საპატრიარქოს წარმომადგენლები ეწვივნენ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამ მშენებლობას ისტორიული მოვლენა უწოდა.

– წმიდა სამების საკათედრო ტაძრის შემდგომ ღვთისმშობლის სავანის მშენებლობა მახათას მთაზე არის კიდევ ერთი საშუალება ჩვენი ერის მიერ ღვთისაგან განშორების ცოდვის მონანიებისა. XX საუკუნეში ღვთის თაყვანისცემის შეჩერება საყოველთაო ხასიათს ატარებდა. შესაბამისად, უფალთან დაბრუნება საერთო სახალხო საქმეა. სწორედ ამიტომ ამ ტაძარს ქართველი ერის მეორე ავტოპორტრეტი ეწოდება. ეს მშენებლობა კიდევ უფრო მეტად დაგვაახლოვებს ჩვენს ზეციურ მფარველთან და განგვამტკიცებს ღვთისაკენ მიმავალ გზაზე. ტაძრის მშენებლობა 2012 წლის 17 აპრილს, ივერიის ღვთისმშობლის ხატის ხსენების დღეს დაიწყება. მშენებლობის ვადა კი მხოლოდ ჩვენს კეთილ ნებასა და ჩვენ მიერ გაღებულ შემოწირულობაზეა დამოკიდებული, – აღნიშნა საქართველოს პატრიარქმა.

საზოგადოებაში კარგად არის ცნობილი ივერიის ღვთისმშობლის ხატის ისტორია და მის მიერ აღსრულებული სასწაულები. არსებობს გადმოცემა, რომ სანამ ღვთისმშობლის ხატი ივერთა სავანეში იმყოფება, ათონის მთა მთელ ქვეყნიერებას მოჰფენს მართლმადიდებლობის წმიდა ნათელს. მაგრამ დადგება დრო, როდესაც ეს ხატი გაუჩინარდება ისეთივე იდუმალი გზით, როგორითაც მობრძანდა და მაშინ ბერებმა სასწრაფოდ უნდა დატოვონ წმიდა მთა, რადგან, გადმოცემის თანახმად, სწორედ ეს იქნება სოფლის აღსასრულისა და უფლის მეორედ მოსვლის ერთ-ერთი ნიშანი.

– ივერიის ღვთისმშობლის ხატი გამოხატავს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მადლის განსაკუთრებულ მყოფობას დედამიწაზე, მსოფლიო მართლმადიდებლობის მცველი ეს ხატი ღვთისმშობლის უზენაესი ძალისა და მადლის გამოვლენას წარმოადგენს. ამ ხატს არაერთი სასწაული აქვს მოხდენილი, რომლებიც ჩაწერილია ივერთა და ათონის მთის სხვა მონასტრების მატიანეებში, – აღნიშნა ილია მეორემ.

**პაატა ბურჭულაძე, მსოფლიო ბანი, ფონდ „ივერიისას“ ხელმძღვანელი:**

– ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი სწორედ ჩვენი ერთიანობითა და თანასწორობით იქნება განსაკუთრებული. მსოფლიოში არ არსებობს სხვა ანალოგი, როცა არა რომელიმე ბიზნესმენი ან ორგანიზაცია, არამედ ხალხი, თავისი კეთილი ნებითა და თანაბარი მონაწილეობით ააშენებს უდიდესი მნიშვნელობის ტაძარს. ღვთისმშობლის საკვირველთმოქმედი ხატის სადიდებლად აგებულ სულიერ სავანეში შესულ ყველა დედას შეეძლება თავისი შვილისათვის სიამაყით თქმა, ეს ტაძარი მე და შენ ავაშენეთ მთელ საქართველოსთან ერთად! ტაძრის მშენებლობა იწყება ახლა, მაგრამ ამ საშვილიშვილო საქმეში უკვე ათასობით ადამიანია ჩართული. იმედია მთელი ქვეყანა გაერთიანდება. ჩვენ ყველა თანაბრად ვაშენებთ ამ ტაძარს, მიუხედავად იმისა, ვის რა შესაძლებლობები აქვს. პატრიარქმა მოგვცა საშუალება, რომ მსურველებმა ფიზიკურადაც მივიღოთ მონაწილეობა. პირველი ნიჩბით პირველად მიწას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამოიღებს, შემდეგ მეუფეები და ყველას ექნება საშუალება მონაწილეობა მიიღოს ტაძრის საძირკვლის გაჭრაში.

***– აქტიურობს მოსახლეობა?***

– რა თქმა უნდა და ეს დიდი ბედნიერებაა. ჩვენ ყველანაირი ინფორმაცია გვიდევს ჩვენს საიტზე, თუ როგორ უნდა ჩაერთონ აქციაში ფიზიკური პირები, თუ ქართველები იმყოფებიან საზღვარგარეთ, როგორ უნდა შეწირონ თანხა, თუკი ადამიანები არიან პენსიონერები, სტუდენტები, ან მოსწავლეები. ასევე საკმაოდ ხშირად გვისვამენ კითხვებს როგორ უნდა ჩართონ აქციაში ოჯახის წევრები, არიან თუ არა შეზღუდულები შემოწირული თანხის ოდენობაში. ხშირად ადამიანები გვეკითხებიან, შესაძლებელია თუ არა, თვითმკვლელი და მოუნათლავი ადამიანების სახელზე შესაწირის გაღება? რა თქმა უნდა, შესაძლებელია. მოგეხსენებათ, რომ ეკლესიურად მიუღებელია ადამიანების ლოცვაში მოხსენიება. თუმცა, ეკლესია არ კრძალავს მათ სახელზე კეთილი საქმეების გაკეთებას. ასევე შესაძლებელია შეწირულობის მიღება სხვა აღმსარებლობის ადამიანებისაგან და შეწირულობის გაღება სხვა აღმსარებლობის ადამიანების სახელზე.

**ილია მეორე, საქართველოს პატრიარქი:**

– ასეთია ჩვენი ცხოვრება, ვინც ეკლესია-მონასტრებს აშენებს, თავის სულიერ ტაძარს აშენებს, ხოლო ვინც ანგრევს, საკუთარ სულიერ ტაძარს ანგრევს. მე მახსენდება ერთი შემთხვევა ჩემთან იყო დელეგაცია, რომელთა შორის იყო ერთი ჩინელი ადამიანი და მე ვკითხე მას, რომ ჩინეთი ასეთი მდიდარია ფილოსოფიური აზროვნებით და როგორ მოხდა, რომ ჩინელმა ხალხმა მიიღო კომუნისტური იდეები? მან კი მიპასუხა, რომ ადამიანის და ერის ცხოვრება ემსგავსება სპირალს, არის დაცემები და არის აღმავლობა. ახლა ჩვენ დაცემის პერიოდში ვიმყოფებოთ. ვმადლობ უფალს, რომ ჩვენ ვიმყოფებით აღმავლობის პერიოდში, როდესაც ქართველი ადამიანი აშენებს ტაძრებს და მონასტრებს. ეს იქნება არამარტო ლოცვისა და სულიერი მოღვაწეობის ადგილი, ეს იქნება დიდი მეცნიერული ცენტრი. პირველი და მთავარი პასუხისმგებლობა დავაკისრეთ პაატა ბურჭულაძეს, რომელმაც ეს მორჩილად მიიღო და მე მინდა დავლოცო იგი, არქიტექტორები, მუშები და ყველა, რომელიც შრომობს ამ ტაძრის მშენებლობაზე. როდესაც სამების ტაძარი შენდებოდა, ჩვენ დავწერეთ ჩვენი სახელები ქვებზე და საძირკველში ჩავაყოლეთ, 17 აპრილისთვისაც მოვამზადოთ ასეთი ქვები. ასევე საძირკველში ჩაყოლებული იქნება სიწმინდეები მთელი მსოფლიოდან. ღმერთმა მალე აგვაშენებინოს ეს სავანე.



## h3xცpx3ლბ ,

**შვეულად:** 1. საკუთრებაში არსებული ნივთებისა და ფასეულობათა ერთობლიობა; 2. თანამედროვე ქართველი პოეტი მამაკაცი; 3. ქართული ხალხური ცეკვა; 4. მონასტერი თეთრიწყაროს რაიონში; 8. უძველესი ქართული ხალხური თეატრალიზებული თამაში-სანახაობა; 9. წყალმცენარეების შემსწავლელი ბოტანიკის ნაწილი; 11. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი; 12. უბანი თბილისში; 14. ფრანგული საავტომობილო კომპანია; 16. ზღვისპირა კურორტი საქართველოში; 17. სიახლის შემომტანი რაიმე საქმეში; 19. მდგომარეობა ჭადრაკში; 21. ტროპიკული მცენარე, რომელიც მხოლოდ ერთხელ ყვავის.

**თარაზულად**: 5. აეროპორტი სოხუმის მახლობლად; 6. დედათა მონასტრის წინამძღვარი; 7. უბანი თბილისში; 10. თაღლითი ბანქოს თამაშში; 13. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 15. ორიგინალური ფორმის სურნელოვანი ყვავილების მქონე ბალახოვანი მცენარე; 18. ვაჟა-ფშაველას პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ პერსონაჟი; 20. ქართველი კინოვარსკვლავი ქალი; 22. მეცნიერება ხეხილის ჯიშების შესახებ; 23. კუთხე საქართველოში; 24. შვეულმფრენის ძველებური სახელწოდება.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## ობყფ ყჯვცჰიბ უფვჯმღტ.ყტ,ეპბ h3xცpx3ლთ,Bჩ გფცე[ტ,ბ5

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ნილოსი; 2. აგვისტო; 3. ბახთიარი; 4. ტრავერსი; 8. კეტაშვილი; 9. ბაბანეური; 11. კრახუნა; 12. აბიო; 14. ალია; 16. ჩხოროწყუ; 17. ზაკოპანე; 19. ეფენდი; 21. ცურვა.

**თარაზულად**: 5. ზარზუელა; 6. ავადჰარა; 7. ექსპანსია; 10. სამება; 13. რებუსი; 15. მისხალი; 18. ჩხეიძე; 20. მაროკო; 22. მზეჭაბუკი; 23. ჭყონდიდი; 24. ავტობანი.

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სომელიე; 2. ლელო; 3. დიჯეი; 4. სეგედი; 6. ვიქტორია; 9. ჟენევა; 13. ზღაპარი; 14. გეიმერი; 15. სესილი; 17. ჩორთი; 18. მონრო; 20. ნეფე.

**თარაზულად**: 1. სულგუნი; 5. ფსოვი; 7. პირინეი; 8. მულიაჟი; 10. ციცქა; 11. ესაძე; 12. ნუნისი; 16. ვერსია; 17. ჩექმა; 19. აული; 21. ნისანი; 22. მთვარე; 23. ფინიკი; 24. ლინატე.

# ფინელ მეცნიერს რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობაში ადანაშაულებენ

49 წლის ფინელ მეცნიერს რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობაში ადანაშაულებენ. კოპენჰაგენის უნივერსიტეტის პროფესორ ტიმო კივიმიაკს ეს ბრალდება დანიის ხელისუფლებამ წაუყენა.

მეცნიერს ბრალი სოლიდური თანხის სანაცვლოდ რუსი დიპლომატებისთვის კონსულტაციების გაწევაში ედება. ძიების ვერსიით, რუსი დიპლომატები დაზვერვასთან თანამშრომლობდნენ.

ფინეთის მედიის ცნობით, დანიელი გამომძიებლები პრო-



ფესორის საქმეზე გამოძიებას რამდენიმე წლის განმავლობაში აწარმოებდნენ. ტიმო კივიმიაკი დაკითხვაზეც გამოიძახეს და მის ბინაში ჩხრეკაც ჩაატარეს. შემდეგ კი მას ბრალი ოფიციალურად წარუდგინეს.

სასამართლო პროცესი კივიმიაკის საქმეზე 8 მაისს დაიწყება. თავად ბრალდებული თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს და აცხადებს, რომ „სასამართლომ ჯერ ის უნდა დაადგინოს, იყვნენ თუ არა რუსი დიპლომატები ჯაშუშები“.

— თუ დამტკიცდა, რომ ისინი ჯაშუშები არიან, სასამართლოს იმის დამტკიცებაც მოუწევს, რომ მე ამის შესახებ ვიცოდი, — ამბობს ფინელი პროფესორი.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში პროფესორს ექვს წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

# ჩრდილოეთ კორეის შეიარაღებული ძალები საბრძოლო მზადყოფნაშია

დასაწყისი მე-10 გვერდზე

რი ჩრდილოეთ კორეასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის.

ჩამოყალიბდა საბჭოთა ზონის საფუძველზე 38-ე პარალელის ჩრდილოეთით იაპონიის დამარცხების შემდეგ (1948).

ჩრდილოეთ კორეის უახლესი ისტორიის მთავარი ფიგურა იყო „დიდი ბელადი“ კიმ ირ სენი, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნე განსაზღვრავდა ქვეყნის პოლიტიკას. 1951 წელს შეიჭრა სამხრეთ კორეაში შეერთების საბაბით, რამაც გამოიწვია სამწლიანი ომი. — შეიქმნა დემილიტარიზებული ბუფერული ზონა გაეროს მეთვალყურეობის ქვეშ.

ჩრდილოეთ კორეა არ ცნობს ამ ზონის არსებობას და პერიოდულად აქვს მცდელობები ორი კორეის გაერთიანებისა სამხედრო გზით.

1991 წლიდან გაეროს წევრია. 2000 წელს სამხრეთ კორეის პრეზიდენტის კიმ ტე ჯუნის ფხენიანში ვიზიტის შემდეგ „დათბობის პერიოდი“ დადგა.

მოამზადა
გერა მამულაშვილმა

# ანდერს ბრეივიკმა სასამართლო პროცესზე ტირილი დაიწყო

ოსლოში, გასული წლის 22 ივლისს ორი ტერაქტის განხორციელებისას 77 ადამიანის მკვლელობაში ბრალდებულის, ანდერს ბრეივიკის სასამართლო დაიწყო, — ამის შესახებ ადგილობრივი მედია იუწყება.

სასამართლო დაინტერესდება, ცნობს თუ არა ბრეივიკი თავს დამნაშავედ. ასევე, განიხილავს ნორვეგიელი დამნაშავის დანაშაულებათა სიას.

ანდერს ბრეივიკის პროცესი, სავარაუდოდ, 10 კვირის განმავლობაში გაგრძელდება. მოხდება იმის დადგენა, არის თუ არა ტერორისტი შეურაცხადი.

აღსანიშნავია, რომ სასამართლოს მიერ დანიშნული ორი ექსპერტიზის შედეგად, ერთი დასკვნით ის შეურაცხადია, მეორეს თანახმად — არა.




მიმდინარე წლის მარტში სასამართლომ ანდერს ბრეივიკი ოფიციალურად დაადანაშაულა ტერორიზმში. მას 21 წლით თავისუფლების აღკვეთა, ან უვადო პატიმრობა ემუქრება.

„ნორვეგიელი ტერორისტი თავს დამნაშავედ არ ცნობს“, — ამის შესახებ ტელეკომპანია „სქაი ნიუსი“ იუწყება.

სასამართლო სხდომის დაწყებამდე მან განაცხადა, რომ თავს „სამხედრო მეთაურად“ მიიჩნევს, ამიტომ მისი საქმე სამხედრო ტრიბუნალმა უნდა განიხილოს და არა ჩვეულებრივმა სასამართლომ.

სასამართლოზე, რომელიც ოსლოში დაიწყო, 800 ჟურნალისტია აკრედიტებული. მოწმედ გამოვა 150 ადამიანი. პირველ კვირას, 16-23 აპრილის ჩათვლით ჩვენებას თავად განსასჯელი მისცემს.

ნორვეგიელმა ტერორისტმა უკვე მოახერხა ოსლოში მიმდინარე სასამართლო პროცესის დამსწრეები გაეოცებინა, როცა უეცრად, ტირილი დაიწყო. მას ცრემლი თვალებზე მაშინ მოერია, როცა პროკურორებმა მისი პროპაგანდისტული ვიდეორგოლის ჩვენება დაიწყეს.

აღნიშნული ვიდეო თავად ბრეივიკმა გადაიღო და მკვლელობების ჩადენამდე რამდენიმე საათით ადრე ინტერნეტით გაავრცელა.

ამავე დროს, როგორც ოსლოში მიმდინარე სასამართლო პროცესის დამსწრე ჟურნალისტები იუწყებიან, ბრეივიკს თავი არანორმალურად მშვიდად უჭირავს. ის ახდენს იმის დემონსტრირებას, რომ შესანიშნავ ხასიათზეა და მუდმივად იღიმის.

მოსამართლის კითხვაზე, თუ რა საქმიანობას ეწევა, ტერორისტმა განაცხადა, რომ არის მწერალი და ციხიდან მუშაობს.

შეგახსენებთ, ბრეივიკი თავს არ სცნობს დამნაშავედ და ამბობს, რომ მის მიერ განხორციელებულ მკვლელობათა სერია ემიგრანტების მიერ მისი ქვეყნის ოკუპირების საწინააღმდეგო თავდაცვის აქცია იყო.

**და მაინც, როგორ აღმოჩნდა ბრეივიკი კუნძულ უტოიაზე?**

გასული წლის 22 ივლისს, ადგილობრივი დროით 15:22 საათზე, ოსლოს სამთავრობო კვარტალში აფეთქების ხმა გაისმა. პოლიციის ინფორმაციით, ავტომანქანა „ფოლცვაგენ ქრაფთერში“ 500 კილოგრამი ტროტილის ეკვივალენტური ბომბი იყო ჩამონტაჟებული. პირველი შეტყობინება აფეთქების შესახებ სამართალდამცველებმა აფეთქებიდან 4 წუთში მიიღეს. პირველ ტერორისტულ აქტს 8 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, დაზარალებულებს შორის აღმოჩნდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები, დაზიანდა მიმდებარე შენობები. პოლიციამ მოქალაქეებს ქალაქის ცენტრის დატოვებისკენ მოუწოდა.

ზუსტად ნახევარ საათში ბრეივიკი მსუბუქი ავტომობილით კუნძულ უტოიას საბორნე გადასასვლელთან მივიდა. წელიწადის ამ დროს კუნძულზე, ტრადიციულად, ახალგაზრდული ბანაკის შეკრება იმართება. 22 ივლისს კუნძულზე, ქვეყნის მმართველი პარტიის ორგანიზებით, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 14-25 წლის 700-მდე ახალგაზრდა იმყოფებოდა.

უკვე მომხდარი აფეთქება ბრეივიკმა კუნძულზე მოსახვედრად გამოიყენა: პოლიციელის ფორმაში გამოწყობილმა დაცვის წევრები დაარწმუნა, რომ დედაქალაქში მომხდარი აფეთქების გამო საზაფხულო ბანაკის მონაწილეებს უსაფრთხოების წესები უნდა აუხსნას.

დასავლური პრესა წერს, რომ დაცვის თანამშრომლებს ბრეივიკის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის უტყუარობაში ეჭვი არ შეჰპარვიათ. შედეგად, რამდენიმე წუთში მან ბანაკის მთავარი შენობაში, სადაც საკონფერენციო დარბაზია, ახალგაზრდები შეკრიბა და დამიზნებით სროლა დაიწყო.

**რატომ დაიგვიანა პოლიციამ**

მომხდარის გამო ნორვეგიასა და სხვა ქვეყნებში პოლიციის მისამართით არაერთი პრეტენზია გაისმა. რა გახდა იმის მიზეზი, რომ სამართალდამცველებმა მთელი საათ-ნახევრით დააგვიანეს?

— განგაშის სიგნალის მიღებიდან 25 წუთში ჩვენი თანამშრომლები კუნძულთან იყვნენ უკვე, — ამბობს ოსლოს პოლიციის შეფი ერთ-ერთ რუსულ გამოცემასთან საუბრის დროს, — „მაგრამ თქვენ უნდა გაიგოთ, რომ ეს კუნძულია. ნავების მოძებნას 9 წუთი მოანდომეს“.

მომხდარის მიზეზების არაოფიციალური ვერსიაც არსებობს. პოლიციის სროლის შესახებ შეტყობინება 17:27 საათზე შევიდა, 17:52 საათზე სამართალდამცველები მართლაც იდგნენ სანაპიროზე, თუმცა კუნძულზე მოხვედრა ვერ მოახერხეს.

— როცა ნავი ხალხით და აღჭურვილობით დაიტვირთა, ძრავა ჩაქრა და ნავი წყლით გაივსო, — ამბობს ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენელი ერიკ ბერგა. სპეცდანიშნულების რაზმის წევრებმა კი, ვერტმფრენით სარგებლობაც ვერ შეძლეს — ის დედაქალაქიდან 60 კილომეტრით იყო დაშორებული. შედეგად კი, ბრეივიკს მთელი საათ-ნახევარი ჰქონდა, გასწორებოდა თავის უმწეო და დაუცველ მსხვერპლებს.

ადგილზე ჩასულმა პოლიციელებმა (უფროს სწორად, კონტრ-ტერორისტული რაზმის წევრებმა) ბრეივიკი დაჭრეს. დაკავების დროს ბრეივიკს უთქვამს: „მე დავამთავრე“.

პოლიციელების თქმით, სასაკლაოს მოწყობის დროს ბრეივიკს აიპოდის ყურსასმენებით ფილმ „ბეჭდების მბრძანებლის“ საუნდტრეკს, ცნობილი კომპოზიტორის კლინტ მანსელის ნაწარმოებს, „რეკვიემ ფორ ე თაუერ-ს“ უსმენდა.

მას ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლით (ტერორიზმი და ტერორისტული საქმიანობა) წაუყენეს ბრალდება. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, ბრეივიკს 21-წლიანი პატიმრობა ელის.

**ვინ არის ანდერს ბერინგ ბრეივიკი**

2011 წლის 22 ივლისამდე ბრეივიკი რიგით ნორვეგიელი იყო, რომელიც ბოსტნეულის მოყვანით იყო დაკავებული, ჰქონდა საკუთარი საწარმო „ბრეივიკ გეოფარმი“.

იზრდებოდა დიპლომატ ინს დავიდ და მედდა ვენკე ბრეივიკების ოჯახში. მშობლები მუდმივად მხარს უჭერდნენ ნორვეგიის „შრომის პარტიას“. საგულისხმოა, რომ სწორედ ამ პარტიის მიერ იყო ორგანიზებული უტოიას საზაფხულო ბანაკი. შვილის მიერ ჩადენილი ამბების გაგების შემდეგ, მამამ განაცხადა, რომ უმჯობესი იყო, ვაჟიშვილს თავი მოეკლა. სხვადასხვა წყაროს ცნობით, ბრეივიკის დედა და სამი და დაცვის ქვეშ არიან, მოსალოდნელი შურისძიებისგან თავის ასარიდებლად.

ბრეივიკმა განათლება ონლაინრეჟიმში, ნორვეგიის მენეჯმენტის სკოლაში მიიღო, არ უმსახურია ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში.

მისი პოლიტიკური აქტიურობა 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება. 1997 წლიდან მონაწილეობს პარტია „პროგრესის“ ახალგაზრდული ფრთის საქმიანობაში. „პროგრესი“ ნორვეგიაში უდიდეს მემარჯვენე პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს. ქალაქის საბჭოშიც კი, იყრიდა კენჭს, თუმცა უშედეგოდ.

2000 წლიდან მისი პოლიტიკური შეხედულებები რადიკალურად იცვლება: საკუთარ თავს ნაციონალისტს უწოდებდა და ხელიდან შესაძლებლობას არ უშვებდა, გამოეხატა სიძულვილი მულტიკულტურული სისტემისადმი, მუსულმანებისამი, რომლებიც, მისი აზრით, ნორვეგიულ საზოგადოებას ანადგურებდნენ და ევროპული პასპორტებით ხელში, „ალ-ქაიდას“ ტეროტირისტულ საქმიანობას უწყობდნენ ხელს. ჯერ კიდევ გასულ ათწლეულში მისულა დასკვნამდე, რომ დემოკრატიული მეთოდებით მიზანს ვერ მიაღწევდა და საჭირო იყო ბრძოლა შეიარაღებული ფორმით.

სხვადასხვა წყაროს ცნობით, ბრეივიკი ჟოჰანნესის მასონური ლოჟის წევრი იყო. ამტკიცებდა, რომ 2002 წელს ნორვეგიული მხრიდან ის საიდუმლო „ტამპლიერ რაინდთა“ ორგანიზაციაში გაწევრიანდა, ალბათ ამიტომ უწოდებდა საკუთარ თავს „თეთრ რაინდს“, რომელიც „ჯვაროსნების ნაციონალიზმის“ სასარგებლოდ იბრძოდა. ამავე ორგანიზაციაში მას ახალი სახელი — სიგურდი მიუღია.

ნორვეგიული პრესა განსაკუთრებით უსვამს ხაზს, რომ ანდერსი გამოკვეთილი კონსერვატორი იყო და მიგრანტების წინააღმდეგ პროტესტს გამოხატავდა.

მისი კრიტიკის მთავარი ობიექტი მულტიკულტურალიზმი იყო.

პოლიცია ამტკიცებს, რომ ის არ იყო ნეონაცისტური ორგანიზაციის წარმომადგენელი. ცნობილია, რომ მას იმანუელ კანტის, ადამ სმიტის ნაწერების კითხვა მოსწონდა, არაერთხელ გამოუთქვამს სურვილი, შეხვედროდა ვლადიმერ პუტინს და რომის პაპს. გარკვეულ სიმპათიას გამოხატავდა რუსეთში მოქმედი ორგანიზაციის „ნაშის“ მიმართ.

საკუთარი იდეოლოგიური შეხედულებები ბრეივიკმა გამოაქვეყნა მანიფესტში, რომელიც 1500 გვერდისგან შედგება. ამ პოლიტიკური ტრაქტატის რამდენიმე აბზაცი ამერიკელი ტერორისტის თეოდორ კაჩინსკის ანალოგიური დოკუმენტიდან არის აღებული.

ფსიქოლოგებმა, რომელთაც ბრეივიკი ციხეში გამოიკვლიეს, განაცხადეს, რომ ის არის ნარცისი, რომელიც თავს როკ-ვარსკვლავად მიიჩნევს. თავის მანიფესტშიც ბრეივიკი წერდა, რომ რეგულარულად დადის სპორტდარბაზსა და სოლარიუმში, იყენებს კოსმეტიკურ საშუალებებს.

**როგორ ცხოვრობს ნორვეგია ორმაგი ტერაქტის შემდეგ**

ნორვეგიაში მომხდარის ასეთი ვერსიაა ყველაზე მეტად გავრცელებული: ბრეივიკი მარტოხელა ფანატიკოსია; რომ ნორვეგიისთვის ნაციონალური და რელიგიური შუღლი დამახასიათებელი არ არის.

— საშინელებაა, რომ ეს ყველაფერი ნორვეგიელმა ჩაიდინა, — ამბობს არნე ვიბორგი, ოსლოში მდებარე ერთ-ერთი რესტორნის მფლობელი.

— უკვე რამდენიმე ათეული წელია, მშვიდად ვცხოვრობთ, ყველაზე დიდი კამათი არჩევნების წინ არის: ხმა „შრომის პარტიას“ მივცეთ თუ — „პროგრესის პარტიას“. საღამოობით ლუდს ვსვამდით და ვიშლებოდით შინ, — იხსენებს ვიბორგი ტერაქტებამდელ ყოველდღიურობას.

ნატო-ს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი კი ამბობს: ყველაზე სახიფათო ის არის, რომ ეს ყველაფერი ერთმა ადამიანმა ჩაიდინა. როგორც ჩანს, ის ფსიქიკურად ჯანმრთელი არ არის, თუმცა არც სულელია. სწორედ ეს იწვევს საშიშროებას. ასევე ისიც, რომ ასეთი რამე შეიძლება ნებისმიერმა ადამიანმა ჩაიდინოს, რომელიც გონებაში რაღაც იდეა ფიქსს ჩაიჭედავს.

**კიდევ ერთი დეტალი**

აღმოჩნდა, რომ ანდერს ბრეივიკის ერთ-ერთი საყვარელი ფილმია ლარს ფონ ტრიერის „დოგვილი“. დანიელი რეჟისორი წუხს, რომ მისი ფილმი ტერორისტის საყვარელ ნაწარმოებებს შორის აღმოჩნდა.

— ძალიან ცუდად ვხვდები, როცა ვფიქრობ, რომ ჩემი საუკეთესო ფილმი შესაძლოა, მომხდარის ერთგვარი სცენარი ყოფილიყო, — განუცხადა რეჟისორმა გამოცემა „პოლიტიკენს“.

უცხოური მედია წერს, რომ „დოგვილის“ ფინალური სცენა, სადაც მთავარი გმირი ხოცავს მთელი სოფლის მოსახლეობას, საოცრად ჰგავს 22 ივლისს, უტოიაზე დატრიალებულ ტრაგედიას.

## TV პროგრამა

**სამშაბათი 17 აპრილი**

09.00, 12.00, 16.00, 19.00 მოამბე 11.00 სამოთხის ვაშლები 12.45 მხ. ფილმი **"იმპერიის მშვენებლობა"** 13.50 10|10 15.00 სერ. **"დეტექტივი"** 17.00 მედ-ინფო 17.30 დამზადებული საქართველოში 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. **"მიმინო და მტრედი"** 21.00 სერ. **"დეტექტივი"** 22.00 დიალოგი დავით პაიჭაძესთან 22.40 **ფეხბურთი — ჩემპიონთა ლიგა**: ნახევარფინალი 00.00 მხ. ფილმი **"ჩვეულებრივი ეჭვმიტანილები"** 02.35 მოამბე 02.55 მხ. ფილმი **"მოთამაშე"**

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00 დოკ. ფილმი 14.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 17.00 19.00 სერ. **"ხუთი და"** 20.00 მხ. ფილმი **"მოულოდნელი სიყვარული"** 21.30 ევროკავშირი და საქართველო 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 მხ. ფილმი **"ბრაუნინგის ვერსია"**

07.30 იმედის დილა 10.05 სერ. **"მოპარული ბედნიერება"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 11.30 სერ. **"ქალის სიტყვა"** 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. **"ღვინის გზა"** 15.40 ღამის შოუ (გან.) 17.40 სერ. **"ევა ლუნა"** 18.40 სერ. **"შურისძიების სახელით"** 21.00 სერ. **"მემკვიდრეები"** 22.00 ნანუკას შოუ 23.40 თბილისი ლაივი 00.50 მხ. ფილმი **"რას სურთ ქალებს"** (მ. გიბსონი) 03.30 მხ. ფილმი **"წინასწარმეტყველი"** (12) (ნ. კეიჯი) 05.15 მხ. ფილმი **"სამუშაო"**

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"დედის გული"** 11.00 სერ. **"კლონი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.30 ვანოს შოუ 17.00 სერ. **"ტერეზა"** 18.45 სერ. **"მიყვარხარ ლოლა"** 19.50 სერ. **"ველური ყვავილი"** 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 თქვენი შოუ 23.00 შიშის ფაქტორი 00.00 შუა დღე 01.30 პატრული 02.00 მხ. ფილმი (ტიტ.)

08.00 ან. ფილმი 08.55 სერ. **"მარია ემილია"** 10.00 მხ. ფილმი 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. **"ტაქსის მძღოლი"** 15.30 მხ. ფილმი 17.10 სერ. **"ველური მთვარე"** 18.00 მხ. ფილმი 21.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 22.00 იცხოვრე ფეხბურთით 22.50 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 02.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 სერ. **"სიამაყე"** 10.30 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.00 "დრო" 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.25 სერ. **"ქალი გაიცნობს"** 12.50 სერ. **"მომიყევი ერთი ამბავი"** 13.50 სახლი ბათუმში 15.15 სერ. **"სიამაყე"** 15.50 დოკ. ფილმი 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 19.35 სერ. **"მონტალბანო"** 21.00 ზღაპრის კონა 23.00 დოკ. ფილმი "ისინი" 23.40 მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** 08.30 განთიადი 10.00 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10 სიახლენი 10.35 ლექსით ქვებათა ქვება 10.40 გუთნისდედა 11.20 საღვთისმეტყველო საუბრები 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი **"რაც გინახავს, ვეღარ ნახავ"** 13.35 კონცერტი — შვეიცარიის კულტურის დღეები 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ. ფილმი "მოგზაურობა ბართ ვულფთან ერთად". 15.55 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 16.20 მხ. ფილმი **"მე, ბებია ილიკო და ილარიონი"** 18.10 დოკ. ფილმი "წმინდა მიწაზე" 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.30 დროის ჩანაწერები 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია 22.25 მგზავრების წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.10 დოკ. ფილმი "ივერიის ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული" 23.25 მოკ. ფილმი **"ღვინის ქურდები"** 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 კონცერტი — შოთა მილორავა

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


17 aprili

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,639

ევრო —2,1551

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6114

რუსული რუბლი — 0,0549

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 21–25, ღამით — 10–14

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18–21, ღამით — 8–10

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 19–23, ღამით — 7–9

**ამინდის პროგნოზი 17 აპრილისთვის**




# ქართველი ძალოსანი რაულ ცირეკიძე ევროპის ჩემპიონია!



თურქეთის ქალაქ ანტალიაში ცირეკიძემ პირველ მოძრაობაში 160, 163 და 165 კგ დაძლია და მხოლოდ თურქ ფატიჰ ბაიდარს ჩამორჩა, რომელმაც 166-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა. რაულმა მცირე ვერცხლის მედალი მოიპოვა აკვრაშიც, სადაც თანმიმდევრულად 193, 196 და 200-კილოგრამიან შტანგას გაუმკლავდა. ამ მოძრაობაში ქართველზე კილოგრამით მეტი გერმანელმა ტომ შვარცბახმა ასწია.

ცირეკიძემ, ჯამში, 365 კგ მოაგროვა და ოქროს მედალიც სამართლიანად დაიმსახურა, მეორე ბაიდარი (359 კგ) გახლდათ, ბრინჯაო კი რუმინელ გაბრიელ სინკრაიანს ერგო, რომელიც თურქ ძალოსანს მხოლოდ პირადი წონით ჩამორჩა.

ბრინჯაოს მედალი ერგო მძიმე წონით კატეგორიაში ირაკლი თურმანიძეს. ჩვენებურმა ატაცში 195 კგ დაძლია და მცირე ოქროს მედალი მიიღო, აკვრაში კი მხოლოდ 228-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა და მე-5 გახლდათ. საბოლოოდ, ირაკლიმ თავისი 423 კგ მოაგროვა და მე-3 ადგილი დაიკავა, მის წინ კი რუსი რუსლან ალბეგოვი (429 კგ.) და გერმანელი მატიას შტეინერი (424 კგ) აღმოჩნდნენ.

105 კგ წონით კატეგორიაში უძლიერესი ჯგუფის ცხრა მონაწილეს შორის მე-8 ადგილი დაიკავა ალუდა მანაგაძემ. ქართველმა ძალოსანმა ატაცში 170-კილოგრამიანი შტანგა დაძლია, თუმცა, შემდეგ ორივე მისვლა (175 და 177 კგ) გაუცუდდა. აკვრაში ალუდა ჯერ 201 კგ-ს გაუმკლავდა, ხოლო მერე – 206 კგ-ს, დასკვნით მისვლაზე კი 210 კგ ვერ დაძლია. მანაგაძემ, ჯამში, 376 კგ მოაგროვა, ისევე, როგორც ფერენც იურკოვიჩმა, თუმცა, ქართველმა უნგრელ ვეტერანს დაბალი პირადი წონის წყალობით აჯობა. ამ კატეგორიაში ოქროს მედალი რუსმა დავიდ ბეჯანიანმა (405 კგ) აიღო, მეორეზე ასევე რუსი მაქსიმ შეიკო (401 კგ) გავიდა, ბრინჯაო კი ბელარუს მიხაილ ავდეევს (395 კგ) ერგო.

# პატრიარქი ეკლესიის საძირკველს გაჭრის

ეკა ირემაშვილი



**17 აპრილს მახათას მთაზე ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის ისტორიული მშენებლობა იწყება. ამ დღეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მახათაზე პარაკლისს გადაიხდის, რის შემდეგაც ტაძრის საკურთხევლის ადგილზე პირველ მიწას ამოიღებს.**

როგორც ფონდ „ივერიისას“ მიერ გავრცელებულ საგანგებო განცხადებაშია აღნიშნული, ტაძრის საძირკველში ჩაზრძანებული იქნება მსოფლიოს სხვადასხვა წმინდა ადგილებიდან და საქართველოს ეპარქიებიდან ჩამობრძანებული სიწმინდეები. ისტორიულ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად მრევლი საქართველოს 38-ვე ეპარქიიდან ჩამოვა. საქართველოს პატრიარქის კურთხევით, მოსახლეობა ქვებს მოიტანს, რომლებზეც, ლოცვასთან ერთად, მათი ოჯახის წევრებისა და მათთვის ძვირფასი ადამიანების სახელები იქნება დატანილი. ეს ქვები ტაძრის საძირკველში იქნება ჩაზრძანებული.

სპეციალურად ამ დღისთვის, პატრიარქის კურთხევით, დაიწერა ანგია წინასწარმეტყველის ხატი, რომელიც მშენებლობის მფარველად მიიჩნევა. მშენებლობის დაწყების ცერემონიალში მონაწილეობას მიიღებს ფონდ „ივერიისას“ დამფუძნებელი პაატა ბურჭულაძე, რომელიც პატრიარქის ლოცვა-კურთხევით მახათას მთაზე, ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის ისტორიულ მშენებლობას უდგას სათავეში.

როგორც პაატა ბურჭულაძემ განმარტა, ტაძარს საზოგადოება და ემიგრაციაში მყოფი ქართველები ერთად აშენებენ. სახალხო აქციაში უკვე 145 ათასი ადამიანია ჩართული. იქმნება ცოცხალთა და გარდაცვლილთა წიგნი, რომელშიც ტაძრის აღმშენებელი მილიონობით ქართველის გვარ-სახელები ჩაიწერება.

მშენებლობის მონაწილეებს საკუთარი სახელის ნახვა უკვე შეუძლიათ ფონდის ვებგვერდზე მახათა.ჯი. აქციაში მონაწილეობის მსურველებს ყოველთვიურად 1 ლარის გადარიცხვა, ნებისმიერი სატელეფონო ოპერატორიდან შეუძლიათ ნომერზე: 0901 77 77 77.

მახათას მთაზე ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის და

გაგრძელება მე-10 გვერდზე


28 მარტიდან

ეუბრფკეპბ გპჯტმნბ

„ახალ თაობასთან“ ერთად იყიდება უნიკალური პროექტის

„ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი“

22-ე ტომი

ფბყინფბყბ

3!)) ობუყიბ4 იცლბც
ბვ ფლფვბფყსფ ,ბჯუპფაბც,ბ7
პჯვცჯსფნ ლბლბ hღფჯბ
ლფნჯღცც ვცჯაჯბჯ
გჯჯბნბhფიბ7 ვცნყბცპც,ფცფ
ლფ hეჯნეპფიბ8




უფპტსბ ლფ ობუყბ ტპსფლ
* კფპბ


.ლტაფვ უფბსლფჯბცობყცს=
წარმატებული დღეა

fcnhjghjuyjpb
!& ფგპბჯბცსლბც

**ვერძი** — მშვენიერი დღე გელოდებათ. **კურო** — ზედმეტი აქტიურობა დღეს არ ღირს, წარმატება ისედაც გელოდებათ. **ტყუპები** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ, **კირჩხიბი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით სიურპრიზი. **ლომი** — თქვენი საქმე კარგად მიდის, მთავარია ვინმემ ხელი არ შეგიშალოთ. **ქალწული** — თავს კრიტიკულად უყურებთ, ზედმეტი არ მოგივიდეთ. **სასწორი** — პატარა პრობლემას ადვილად მოაგვარებთ. **ღრიანკალი** — ბედი გწყალობთ, გახარებული ხართ. **მშვილდოსანი** — არ აყვეთ ჭორებს, ასე აჯობებს. **თხის რქა** — სადღესასწაულო განწყობა არ გტოვებთ, ასე განაგრძეთ. **მერწყული** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **თევზები** — ოპონენტები გააქტიურდნენ, მიხედეთ მაგ საქმეს.

უბცეპღც,ს ,ცლყბცპ ლქცს=

hპჯცღჯპლბ ფ

**შვეულად:** 1. ლითონის ფულის ერთ-ერთი მხარე; 2. ხორვატიის კუნძული ადრიატიკის ზღვაში, პოპულარული საკურორტო ზონა; 3. დაბალი ხარისხის ალმასი; 4. სამელექტროდიანი ელექტროვაკუუმური ნათურა; 6. ბაქტერიების მშთანთქმელი უჯრედი ცოცხალ ორგანიზმში; 9. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 13. ბასრწვერიანი, ძველებური ქართული საბრძოლო იარაღი; 16. ქართული ავიაკომპანია; 17. რძის პროდუქტების მწარმოებელი ფინური ფირმა; 18. მოცარული დარტყმა ბილიარდში; 20. აბრეშუმის ჭია.

**თარაზულად:** 1. მოკლემეტრაჟიანი ქართული კინოკომედია; 5. თავადაზნაურთა მემკვიდრეობითი ტიტული ევროპაში; 7. ცხოველთა სადგომი ზოოპარკში; 8. ჰაერის, აირის გაუხშოებული მდგომარეობა ჭურჭელში, სიცარიელე; 10. ავსტრალიური ველური ძაღლი; 11. სამეჯლისო ცეკვა; 12. გულიანი ხვეულა ნამცხვარი; 16. ზღვის ყაჩაღი, მეკობრე; 17. ბრიტანული არაყი; 19. თანდაყოლილი ფერადი გამონაზარდი კანზე; 21. თანამედროვე ქართველი მოქანდაკე; 22. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 23. მთიანეთი შუა აზიაში; 24. ადგილი მაყურებელთა დარბაზში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

